# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 22 იანვარი 2000 №10 (1032) | ფასი 50 თეთრი

**3** ესპანელებს ქართველი მოუნდათ

რიგის სკონტოელ დავით ჩალაძეს ესპანური მეორე დივიზიონის „კორდობა“ აკვირდება

**4** გენერალმა ფეხბურთისკენ მოიხედა

არმიულ კლუბს ორი ჯონი, ფირცხალაიშვილი და ჯანელიძე უსარდლებენ

**7** ბრაზილია დაიწუნეს

ზიკოს უთხრეს, ორგანიზატორული ნიჭი არ გივარგათ, ფეხბურთს კი დიდებულად თამაშობთო

**8** შარშანდელი ევროლიგის ჩემპიონი უმერვედფინალოდ დარჩა

**15** დისიდენტ ტაისონის ვალები და აფორიზმები



ეგ თქვენი ამერიკა ვირთხების დოლია

# ქართველები მხოლოდ აჯახუნებენ

## უფულობამ ეს იცის!

გუშინ საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეხუთე მატჩი გამართა. ჩვენებმა ბელარუსს უმასპინძლეს და 30:27 მოიგეს. თუმცა ეს მოგება პლეი ოფში გასასვლელად ველარ დაეხმარებათ. ეს უფრო კარის გაჯახუნებას ჰგავს. უფულობის გამო საქართველოს ნაკრებმა წინა ოთხივე შეხვედრა სტუმრად ჩაატარა და ოთხჯერვე დამარცხდა. გუშინდელი გამარჯვებით და, უპირველეს ყოვლისა, თამაშით, ჩვენებურებმა დაამტკიცეს, ფული რომ ჰქონოდათ და ტურნირისთვის სათანადოდ მომზადებულიყვნენ, პლეი ოფში გასვლის ძალა ნამდვილად შესწევდათ.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



ბელარუსები ცალკე ასკ-ს გაყინულმა დარბაზმა და ცალკე გარი თურქიამ (№15) შეაწუხეს

# გადაიდო...

## ცუგცვანგი ვერის ბაღში: რიგგარეშე ისევ რიგშია



ზურაბ აზმაიფარაშვილი და კახი ასათიანი: გასარკვევი კიდევ ბევრია

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის ჩატარება იყო სწორედ ის მთავარი თემა, რომლის განსახილველადაც გუშინ ჭადრაკის სასახლის არცთუ მყუდრო სააქტო დარბაზში 7 საათი ებრძოდა სიცივეს ფედერაციის ალმასკომის 75 წევრი, 30-მდე სტუმარი და ხუთიოდე ჟურნალისტი.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

# პისტოლეტმა ბოლოს გაისროლა

ავსტრალიის ღია პირველობის მეხუთე დღემ უიმბლდონური ამინდის გარდა სხვა მოულოდნელობა არ მოიტანა. როდ ლეივერის სახელობის გადახურულ ცენტრალურ კორტზე წვიმას შეფარებულმა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, „პისტოლ“ პიტ სამპრასმა თავის ქომაგებს ნერვები დააწყვიტა — ჩია ზიმბაბველ უეინ ბლექს სამი საათი ეჯაჯგურა, თუმცა დაძაბული შეხვედრა მაინც ამერიკული „ჰეფი ენდით“ დასრულდა.

იხილეთ მეცხრე გვერდი



AP ფოტო

პიტ სამპრასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ ჯავახაძის ფოტო



გიორგი მეგრელაძე და ბადრი ახვლედიანი ანთალიაში „ტორპედოს“ შარშანდელი შეკრებისას

# ორშაბათიც გათენდება

ეს თურქეთიო, ეს ბულგარეთიო და, ჰა, გამგზავრების დროც მოახლოვდა. ორშაბათს „ტორპედო“ სალორიის ბაზიდან გუდა-ნაბადს აიყრის. ამის შესახებ ადრეც ვიუწყებოდით. ქუთაისელები ათდღიან შეკრებას გეგმავენ თურქეთის სამხრეთ ზღვისპირეთში, იქედან კი ბულგარეთში გადაინაცვლებენ და საკმაოდ სოლიდურ საერთაშორისო ტურნირში მოსინჯავენ ძალას.

დიახ, ზეგ დილით ტორპედოელები მსუბუქად ივარჯიშებენ, საუზმეს მიირთმევენ და ანთალიის გზასაც დაადგებიან საკუთარი „დაფით“.

— მგზავრობა ერთობ მომქანცველი იქნება, ანთალიაში 30-32 საათში ჩავალთ. სამაგიეროდ იქ ჩვენთვის კარგად ნაცნობი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ოფო“ გველის — გვითხრა გუშინ კლუბ „ტორპედოს“ გენერალურმა დირექტორმა მურად ქუთათელაძემ. ანთალიაში „ტორპედო“ ადრეც ყოფილა შეკრებაზე, ასე რომ იქაურობას იოლად შევეგუებით. უკვე ვიცით, რომ ვარჯიშის და საკონტროლო თამაშების პრობლემა არ შეგვაწუხებს. ანთალიაში „ტორპედო“ სულ მცირე ოთხ გუნდს გაეჯიბრება. ისინი რუსული უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგელები, შესაბამისად მოსკოვის „ტორპედო“, იაროსლავლის „შინიკი“ და ნოვოტროიცკის „ნოსტა“ იქნებიან. მეოთხე თურქეთის მეორელიგელი „ქემერსფორია“. თუ შესაძლებლობა მოგვეცა, სხვა გუნდებსაც ვეთამაშებით. ვნახოთ, ეს ადგილზე გამოჩნდება.

ანთალიიდან პირდაპირ ბულგარეთში გავემგზავრებით. შავიზღვისპირა კურორტ ალბენაში გასამართ საერთაშორისო ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. ჩვენთვის ცნობილია, რომ იქ სოლიდური შემადგენლობა მოიყრის თავს. კონკრეტულად კი იმიტომ ვერაფერს გეტყვით, რომ ჯერჯერობით ბულგარეთიდან ფაქსი არ მიგვილია. ალბენაში 5 თებერვალს ჩავალთ. მეორე დღეს ტურნირიც დაიწყება. ბულგარეთიდან სავარაუდოდ 17 თებერვალს დავბრუნდებით.

მურად ქუთათელაძეს გუშინ უცხოეთში გასამგზავრებელ ტორპედოელთა ვინაობის დასახელებაც ვთხოვეთ. მწვრთნელებ-მოთამაშეებიან-მომსახურე პერსონალიანად სიაში 31 კაცი ირიცხება, მაგრამ ორშაბათამდე შეიძლება ზოგი რამ შეიცვალოსო — გვითხრა გენდირექტორმა.

სავარაუდო სია (მოთამაშეთა) კი ასეთია:

*მეკარეები: გია ჭანტურია, გიორგი სომხიშვილი, ზვიად სტურუა.*

*უკანა ხაზი: ალეკო შეყრილაძე, ბადრი ახვლედიანი, ვახტანგ თურმანიძე, ვახტანგ ხვადაგიანი, ალექსანდრე ამისულაშვილი, ირაკლი მაღლაკელიძე, მიხეილ მახვილაძე, გოდერძი გოგოლაძე, ჯაბა თავბერიძე.*

*შუა და წინა ხაზი: კახა კვეტენაძე, კახა ჩხეტიანი, გიორგი გოგიაშვილი, ზაზა ვაჩიბერაძე, მალხაზ ასათიანი, კახა ვადაჭკორია, ზურაბ იონანიძე, გიორგი მეგრელაძე, დავით ჯანაშია, გრიგოლ იმედაძე, მიხეილ ბობოხიძე, რევაზ კვერნაძე, შოთა ბაბუნაშვილი.*

როგორც ხედავთ, სიაში 25 მოთამაშეა შეყვანილი. ამ 25-დან ორი ზედმეტი ყოფილა. ორ უიღბლოს ქუთაისში დარჩენა მოუწევს. „ტორპედოს“ მესვეურები ეჭვობენ, რომ ჯაბა თავბერიძემ და რევაზ კვერნაძემ, რომლებმაც ახლახან გაიკეთეს მენისკის ოპერაცია, გუნდთან ერთად ინტენსიური წვრთნა შეძლონ, თუმც ყველაფერი „ტორპედოს“ თავკაც დავით ყიფიანზე და გუნდის ექიმის დასკვნაზე იქნება დამოკიდებული. შეიძლება ისეც მოხდეს, ორივე ნაოპერაციევი გაჰყვეს გუნდს, მათ ნაცვლად კი „ტორპედოს“ ლაშქარს სხვები ჩამოაშორონ.

სიაში უცხო გვარები თუ გენიშნათ, ნუ გაგიკვირდებათ. კახა ვადაჭკორია, გოდერძი გოგოლაძე და შოთა ბაბუნაშვილი „ტორპედოს“ ფარმკლუბელები — ინტერელები არიან.

ერთსაც დავძენთ, ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული ვახტანგ ხვადაგიანი და ზურაბ იონანიძე ბულგარეთში შეუერთდებიან „ტორპედოს“.

**იუზა ქაციტაძე ქუთაისიდან**

# აირევი იბერია?

ბადრი ქეთილაძის ფოტო



სოსო ფრუიძე ელოდება...

ამას წინათ გაუწყეთ, პირველი ჯგუფის გუნდებს შორის ყველაზე გაურკვეველი ვითარება სამტრედიის „იბერიაში“ რომ იყო — იმერლებს შეკრება 15 იანვარს უნდა დაეწყოთ. რაც ვერ მოხერხდა. მეტსაც გეტყვით, სამტრედიელებმა ეს დღემდე ვერ მოახერხეს. მათი მთავარი მწვრთნელი სოსო ფრუიძე კი იმედოვნებდა, რომ ორ-სამ დღეში ყველაფერი გაირკვეოდა, მაგრამ ასე არ მოხდა და „იბერიაში“ იგივე სიტუაციაა. ჯერაც ვერ ხერხდება იმერელთა პრეზიდენტ ნუგზარ ნიკოლეიშვილთან აზრის გაზიარება და, ბუნებრივია, არც ის ვიცით, კონკრეტულად რა უშლის ხელს „იბერიას“ მოსამზადებელი პროცესების დაწყებას.

— ვფიქრობ, ნიკოლეიშვილი ქვეყნის ფარგლებს გარეთაა და ამიტომ ვერ გეხმაურებათ, ყოველ შემთხვევაში, გუნდის სამომავლო გეგმების შესახებ სრულ ინფორმაციას მასზე უკეთ ვერავინ მოგცემთ — უთხრა სოსო ფრუიძემ „სარბიელს“.

ასეა თუ ისე მწვრთნელებიც და ფეხბურთელებიც უსაქმოდ არიან, სამტრედიელებს, შეიძლება ითქვას, მომზადებული სტადია ჩაუვარდათ, რაც უთუოდ იქონიებს გავლენას მათ XI ეროვნულში გამოსვლაზე.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



# დიალოგი აქტუალურ თემაზე

იიჰ! კაია, შენ ნუ მომიკვდები. ოთხი მილიონიც კაია და ისიც, ქართველი ფეხბურთელი „ჩელსიში“ რომ ითამაშებს. რა სჯობია, ბიძია, ძოლას და ფლოს გვერდით ბურთის გორებას — მინდორს დაიწუნებ, ტრიბუნას, გულშემატკივარს თუ სხვა რამეს, მე შენ გეტყვი და ბაზაზე შუქს ჩაგიქრობენ ან კოჭებამდე ლაფში მოგიწევს კოტრიალი.

რაო, რაო, სკამზე დასვამდენო? დასვამენ და დასვან, ძმიშვილო, „ჩელსიში“ ფლო, ძოლა, პეტრესკუ და დესაი უზით სკამზე და ეს ჩვენი ბიჭი რომ დასვან, სწორედ ნუ გაუკვირდება ნურავის — მოვა დრო და ათამაშებენ, აბა რას იზამენ, ჰგვანან არისტოკრატი ინგლისელები ფულის აქეთ-იქეთ მფანტველ ხალხს?! თუ ვიალია ფანტიაშვილი ოთხი მილიონი სკამზე დააფინოს.

დასვამენ და დასვან-მეთქი, ერთიორი თვე ჯდომით დიდი არაფერი წაუხდება. ცუდად და წასახდენად მაშინ იქნება საქმე, ამ ჩვენი ფარჩაკი ჩემპიონატიდან აყვანილი კაცი პირდაპირ პრემიერლიგის გრანდის ძირითადში რომ ჩასვან — მოგჭამა მაშინ ჭირი „ჩელსიმაც“ და ინგლისურმა ფეხბურთმაც.

ისე, მეც წავიკითხე და ჯერ ეს ოთხი მილიონი რა იყო, მერე კურსიც რა საეშმაკოდ დაემთხვა, შევხედე იმ ექვსიანებს და ანგელოზები დამიფრთხა. არ დაგიმალავ. სულ თფუი და ფუი ვუგზავნე ეშმაკსაც და ეშმაკის ბიძაშვილსაც. მაგრამ ეს არაფერი, დამთხვევაა უბრალო და ნუ გეცინება, არ ვარ მასე გულუბრყვილო ექვსიანების და ვალუტის კურსის მეშინოდეს. ვერც ჩვენ ბიჭს დააკლებს რამეს, ესეც ვიცი.

მიხარია, შენ ნუ მომიკვდები, და ახლა კარგზე მეტად ვფიქრობ, ვიდრე ცუდზე და სამაკვარანცხოზე. რაც მთავარია, „ჩელსიმ“ მოინდომა და აწი რა უნდა დაუდგეთ წინ — ფული მაგათ ხელშია და გავლენა, ჟინი, სურვილი და მონდომებაც. ასეა, ბიძიკო, დრო მოვიდა ისეთი, ფულიან კაცს ბევრი ვერ უდგება წინ და ამ ფულის მეშვეობით იყო — ორ დღეში რომ გადმოაცუნცულეს ვეა მილანიდან ლონდონში. ჩვენც იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა.

გვეშველებაო? მაგი, ბიძია, სანთელი დაანთე და ღმერთს შეეკითხე, ეგება დაგასიზმროს რამე. ისე მეკითხები, ვითომ ბლატერთან მქონდეს „ბლატები“. თუ ფეხბურთს ეშველება საერთოდ, უნდა გვეშველოს ჩვენც — ტრადიციით და ისტორიით ბევრს დავაკუსინებთ თვალებს, ნიჭიერები ხართ, სხვებიც გვეძახიან და შრომას რა უდგას წინ, ბიძიკო, უშრომლად გამოსული საქმის კი რა მითქვამს.

ერთი მერცხელი რომ გაზაფხულს ვერ მოიყვანს, შენზე ადრე მასწავლეს მე სკოლაში. ასე ახალგაზრდა და ამისათანა ხელჩაქონეული? არ გაბედო, ბიძია, გულის გატეხვა, სხვა თუ არაფერი არ უხდება შენს ასაკს და შენ რომ ამ დღეში დაგინახავ, მე რა მეთქომით მაშინ. ერთ მერცხალს მეორე მოყვება აუცილებლად, მეორეს — მესამე და მოვა ის გაზაფხულიც. არ მოვა და მოიყვანო უნდა, ესეც შუქი და ელექტრონი ხომ არაა, რომ დააყენეს უსაშველო.

„ალანიაო“. მეუბნები. მერე? რა უნდა გაუკეთოს იმ „ალანიამ“ ისეთი მა ბიჭს, რომ უკეთეს გუნდში და უკეთეს პირობებში მოახვედროს. გაწელე-გამოწელე ჰოლანდიურ ან გერმანულ ლიგაში გაუზერხოს ადგილი, ეგება იტალიაშიც, მაგრამ ჯობია რომელიმე „ჩელსის“ და პრემიერლიგას? თუ არა და, ისიც ხომ მართალია, ნაადრევი რომ კარგია სიკვდილის გარდა ყველაფერი. იყოს, ძმისშვილო, ეს ჩვენი ფეხბურთელი „ჩელსიში“, სკამზე იქნება თუ მინდორზე, ახალგაზრდაა ჯერ და იქ უკეთ გაიგებს ანს და ბანს, თუკი ვერ დაძლევს იმ ძოლების და ფლოების კონკურენციას, შეცვლაზე ითამაშებს, თუ შეცვლაზეც არ შეიყვანენ, სხვა გუნდს მოუძებნიან დროებით და ის დროც დადგება, თავის სათქმელს იტყვის, როგორც საჭიროა იმგვარად.

ერთი რამე მხვდება გულზე სხვანაირად და რომ არ გითხრა, ვერ მოვისვენებ — დათვალე ერთი, რამდენი ხანია ინგლისიდან აქ ჩამოვიდა მაგ ბიჭი. ოთხამდე წელი ხომ? მერე, გულზე ხელი დაიდე, ბიძიკო, და ისე მითხარი — ისწავლა რამე სახეირო ამ ოთხიოდე წელიწადში? მოუმატა რამეში? კი გაქონდა ამ ბოლოს ორ-ორი და სამ-სამი. მაგრამ რა, მასვი-მაჭამე მე რომ მინდა ისე და ერთ-ორს მეც გავიტან, რავარც მოხუცი ვარ. ყოველ შემთხვევაში პენალტის გატანის მერე თავში ხელს ნამდვილად არ წავივლებ.

იცინე, იცინე, შენ და ყველაზე უკეთესი ისაა, ამ თავზე ხელის წავლობიას რომ გაექცა ეს ნიჭიერი ბიჭი. მე ჩემი გავლიე, ბიძია, და როცა ამისთანა ბითურობებს ვუყურებ, ბრაზით ნაკერავზე ვსკდები პირდაპირ — გაგონილა ხალხის და მაყურებლის ამნაირი აბუჩად აგდება? მოდი, ამის მერე და მოთხოვე ფეხბურთელს პროფესიონული იყავიო. რაც შორს წავა აქედან, მით უკეთესია მოთამაშისთვის, ბიძიკო, და ერთი, მეორე, მესამე, მეათე რომ გაუგებს პატიოსან და ჯიგრიან ფეხბურთის გემოს, სხვებსაც გაეხსნებათ აპეტიტი — წყალი არ გაუვა ამას.

ასე რომ, აღარ დაასველო ენა მეორედ სკამზე და მინდორზე. სამოთხის გუნდში სკამზე ჯდომას, ჯოჯოხეთში ბურთის გორება სჯობია, მარა თუკი იმ სამოთხის გუნდში რამეს გპირდებიან, უნდა დახუჭო თვალები და ენდო დაუყონებლივ. შენც მოიგებ, შენი პატრონიც და გულშემატკივარ-მყვარებელიც.

ასე ეს და წყალი არ გაუვა ამას.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

ბადრი ქეთილაძის ფოტო



რატი ალექსიძე (შუაში)

# დავით ჩალაძეს კორდობა აკვირდება



ლატვიურ „დიენაში“ გაჩნდა ცნობა, რომ რიგის „სკონტოსთან“ მოლაპარაკებას აწარმოებს ესპანეთის მეორე დივიზიონის ერთ-ერთი აუტსაიდერი „კორდობა“, რომელსაც რიგელთა ქართველი ფორვარდის დავით ჩალაძის შეძენა სურს.

„კორდობა“ არაფრით გამორჩეული კლუბია, ბოლოს პრიმერა დივიზიონში 1973 წელს უთამაშია. წლევანდელ სეზონში გუნდი ბოლოდან მესამეა და მესამე დივიზიონში გავარდნის კანდიდატია. დავით ჩალაძემ კი ვლადიკავკაზის „ალანიაში“ მომხდარი გაუგებრობის შემდეგ შარშან „სკონტოში“ ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩაატარა. ჩალაძემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ევროთასებზეც, მის გადაბირებას თითქოს „გალათასარაი“ და ბუქარესტის „რაპიდი“ ცდილობდნენ. თუმცა, როგორც „დიენა“ აცხადებს, ყველაზე მეტად ესპანური „კორდობა“ აქტიურობს.

ჩალაძე თანაგუნდელ ზურაბ მენთეშაშვილთან ერთად ეროვნულ ნაკრებში კვიპროსის ტურნირზეა გამოძახებული, სადაც ორივე ქართველი ლატვიის ნაკრებთან ერთად ჩაფრინდება.

სიმონ მენაბდე



ლევან ცქიტიშვილი და ლევან კობიაშვილი

# აიაქსი შოთას გარეშე აგებს



შოთა არველაძე

ამსტერდამის „აიაქსმა“ მეორე წრისთვის მზადება შოთა არველაძის გარეშე დაიწყო. ქართველი ფორვარდი, რომელმაც პირველი წრის ბოლოს მუხლის ოპერაცია გაიკეთა, ჯერჯერობით მსუბუქად ვარჯიშობს და ინდივიდუალურად ემზადება.

„აიაქსმა“ შოთას გარეშე ორი ამხანაგური ითამაშა და ორივე წააგო. ჯერ ტუნისში იქაურ ეროვნულთან 1:2 დამარცხდა („აიაქსიდან“ გოლი რეისერმა გაიტანა), შემდეგ კი ბრიუსელში „ანდერლეხტთან“ შერცხვა — 0:3.

მომდევნო საკონტროლო მატჩს ხვალ „აიაქსი“ საკუთარ „არენაზე“ ითამაშებს იაპონიის „ურავას“ წინააღმდეგ.

სიმონ მენაბდე

# კობიაშვილმა ჰამბურგს გაუტანა

## ფრაიბურგელი და მოსკოველი ქართველები ერთმანეთს პორტუგალიაში დაუპირისპირდებიან

ალექსანდრე იაშვილის, ლევან კობიაშვილისა და ლევან ცქიტიშვილის „ფრაიბურგი“ ამ დღეებში მეორედ ეწვია პორტუგალიას. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ შეგირდები მეორე შეკრებაზე წაიყვანა.

აღსანიშნავია, რომ გერმანელებს შეთხელებული შემადგენლობით უწევთ შეკრების გავლა. ტრავმების გამო გუნდს ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი, მათ შორის ჩვენებური ლევან ცქიტიშვილიც დააკლდა. სამშაბათის „სარბიელში“ იაშვილისა და ცქიტიშვილის გამოჯანმრთელების შესახებ გამცნეთ. თუმცა როგორც აღმოჩნდა, გერმანული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ეს ცნობა ნაჩქარევი გამოდგა. საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „ფრაიბურგის“ თავდამსხმელმა ვარჯიში მართლაც განაახლა. იაშვილი გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებას, ალბათ, სრულ მზადყოფნაში შეხვდება. ცქიტიშვილის საქმე კი სხვაგვარადაა. ლევანს „ფრაიბურგის“ მატჩების ცქერა გარკვეულ ხანს ტრიბუნიდან მოუწევს — მას ტრავმა, რომელიც თითქმის სამი თვეა, აწუხებს, კვლავ არ მოუშუშებია. ცქიტიშვილის გარდა, ასევე დამტვრეულნი არიან გუნდის პირველი და მეორე მეკარეები — რიხარდ გოლცი და მანუელ შოპელი, ასევე თურქი ნახევარმცველი ალი მეჰმეთ გიუნეში და მცველი დანიელ შუმანი.

„ფრაიბურგმა“ პირველი შეკრება, როგორც მოგეხსენებათ, პორტუგალიურ ალბუფეირაში იანვრის პირველ ნახევარში მოაწყო. იქ გერმანელებს ერთი ამხანაგური მატჩიც არ ჩაუტარებიათ, მაშინ ფინკემ ყურადღება ძირითადად გუნდის ფიზიკურ მომზადებაზე გაამახვილა. შინ დაბრუნებულებმა კი ბერლინში გამართულ დარბაზის ფეხბურთის ტურნირში ითამაშეს. „ჰერტასთან“, მეორე ბუნდესლიგის „ბოხუმთან“ და „ზანქტ პაულისთან“ ჭიდილში, გეცოდინებათ, ფინკეს გუნდი ბოლო ადგილს დასჯერდა.

პირველისგან განსხვავებით, მეორე პორტუგალიური შეკრების განმავლობაში „ფრაიბურგის“ ხელმძღვანელობამ სამი საწვრთნელ-საკონტროლო მატჩის გამართვა დაგეგმა. პირველი უკვე ითამაშა კიდეც. ხუთშაბათს „ფრაიბურგმა“ ბუნდესლიგის წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ „ჰამბურგს“ 3:1 მოუგო. გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა ლევან კობიაშვილმაც, რომელმაც მეორე გოლის გატანა შეძლო. თავიდან „ჰამბურგი“ დაწინაურდა. თუმცა ჰოლერბახის ნაადრევად შეგდებული ბურთი ფრაიბურგელთა ახალწვეულმა აბდერ რამდანემ 35-ე წუთზე გაქვითა. ორ წუთში კობიაშვილმა თავისიანები დააწინაურა, მატჩს წერტილი კი ტუნისელმა ზუბაიარ ბაიამ 65-ე წუთზე დაუსვა. ითამაშა თუ არა ამ შეხვედრაში იაშვილმა, ამის შესახებ გერმანული საინფორმაციო წყაროები არაფერს იუწყებიან.

დღეს „ფრაიბურგი“ მეორე საწვრთნელ მატჩს გამართავს. გერმანული კლუბი ზაზა ჯანაშიას მოსკოვის „ლოკომოტივს“ დაუპირისპირდება. ორშაბათს კი „ფრაიბურგი“ „დუისბურგთან“ შეამოწმებს სამეორეწრეო მზადების ხარისხს.

ვანო ოქროპირიძე

# ქინქლაძე 90 წუთი არ ითამაშებს



გიორგი ქინქლაძე

გიორგი ქინქლაძე არც დღეს იქნება „დერბი ქაუნთის“ ძირითადში, რომელიც „პრაიდ პარკზე“ „ქოვენთრის“ უმასპინძლებს.

„ქინქლაძე არც მომდევნო მატჩებში ითამაშებს 90 წუთს“ — ამის შესახებ „დერბის“ მენეჯერმა ჯიმ სმიტმა განაცხადა. „ქართველი ასეთი დატვირთვებისთვის ჯერ მზად არ არის. „აიაქსში“ იგი საერთოდ არ ასპარეზობდა. მისი ფორმაში შესვლა კი საშობაოდ შეყრილმა გრიპმა შეაფერხა. ამიტომ იგი ერთი ხანობა იმავე გრაფიკით ითამაშებს, როგორც „მიდლსბროსთან“ იყო“ — თქვა სმიტმა.

მეორე მხრივ, ჯიმ სმიტმა ქინქლაძის თამაშს „მიდლსბროსთან“ მაღალი შეფასება მისცა. „როდესაც „ბოროს“ მეორე გოლი გავუტანეთ, ისინი ძალიან გააქტიურდნენ. პოომს პენალტის აღებაც კი მოუხდა. ამის შემდეგ ქინქი შემოვიდა და თამაში დააწყნარა. მან მშვენიერი საგოლე პასიც გაუკეთა ბარლის“.

დღევანდელი მატჩისთვის, როგორც სმიტმა გამოაცხადა, შემდეგი ფეხბურთელები მოემზადებიან: პოომი, ლაურსენი, ელიოტი, კარბონარი, დელაპი, ბარლი, ბოჰინენი, ჯონსონი, შნური, შტრუპარი, ბარტონი, ქრისტი, ოაკესი, ნიმნი, სტარიჯი, ქინქლაძე, პრიორი, ბოერტიენი, რობინსონი.

აღსანიშნავია, რომ „ქოვენთრის“ არ ეყოლება მაროკოელთა დუეტი, რომლებიც აფრიკის თასზე უნდა გამოვიდნენ.

გუშინვე გაცხადდა, რომ ქინქლაძე 25 იანვარს „მიდლსბროს“ წინააღმდეგ „დერბის“ სარეზერვო გუნდის ძირითადში ითამაშებს.

სიმონ მენაბდე

# ქეცბაიას კიდევ უფრო გაუჭირდება

„ნიუკასლისა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების ვარსკვლავ თემურ ქეცბაიას, რომელსაც „ჯორდების“ ძირითადში ადგილი საშობაო არდადეგების დროს ათამაშებულმა შოტლანდიელმა დანკან ფერგიუსონმა დააკარგვინა, უახლოეს მომავალში კიდევ უფრო დიდი კონკურენციის გადალახვა მოუწევს.

ბობი რობსონმა, რომელმაც ახალი სული შთაბერა „ნიუკასლს“, თავისი მზერა სამხრეთ ამერიკას მიაპყრო და ქეცბაიას ამპლუის ერთბაშად ორი ფეხბურთელის შეძენა განიზრახა.

რობსონი 3,4 მილიონი გირვანქას დახარჯვას აპირებს. სერ ბობი 2,4 მილიონ გირვანქას სთავაზობს არგენტინის „ველეზ სარსფილდს“ პლეიმეიკერ კრისტიან ბასედასში, პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონის „ჩერო პორტენოდან“ კი 19 წლის თინეიჯერის, დიდი მომავლის მქონე დიეგო გალივანის გადაბირებას ცდილობს.

სანამ ეს ტრანსფერები შედგება, რობსონი, ალბათ, ქართველს კიდევ ერთ შანსს მისცემს და დღეს ათამაშებს „უიმბლდონის“ წინააღმდეგ. ამის თქმის უფლებას ის გვაძლევს, რომ მან ამ კვირაში ჩვენებური „ნიუკასლის“ დუბლებში აღარ გაამწესა („ჯორდების“ დუბლებმა ლივერპულს 1:0 აჯობეს).

სიმონ მენაბდე

# სიომინთან სიომინის ჩამოსვლამდე

## ვლადიმერ კაკაშვილი ლოკომოტივში გაისინჯება

ერთ დროს პოლიციელთა „აკადემიაში“ მოთამაშე ვლადიმერ კაკაშვილი XI ეროვნული ჩემპიონატის დაწყების წინ „თბილისში“ ჩაირიცხა, თუმც ახალგაზრდა ფეხბურთელს ამ კლუბის შემადგენლობაში არ უთამაშია. არადა, იგი თავის დროზე ნოდარ ახალკაცის ხელდასმულია — კაკაშვილი და ჯაკობია დიდ ფეხბურთს ითამაშებენო, უთქვამს აწ განსვენებულს.

1996 წელს ვლადიმერ კაკაშვილი იმ „ოქროს გუნდის“ წევრი იყო, რომელმაც კოპალეიშვილის ხელმძღვანელობით პორტუგალიაში, ევროპის ახალგაზრდულ თამაშებზე პირველი ადგილი დაიკავა.

გუშინწინ ახალგაზრდა ფეხბურთელი რუსეთის გზას დაადგა. კაკაშვილი „ლოკომოტივში“ გასასინჯად გაემგზავრა მოსკოვს. ვიცე-ჩემპიონი იური სიომინის თაოსნობით პორტუგალიაში განაგრძობს მზადებას. კაკაშვილს კი უმცროსი სიომინი — ანდრეი უმასპინძლებს. იგი კლუბში სასელექციო საქმიანობითაა დაკავებული და ამჟამად „ლოკომოტივის“ ახალწვეულებს ავარჯიშებს.

ქართველ ფეხბურთელსაც მისი მეთვალყურეობით მოუწევს ვარჯიში, მერე კი იური სიომინიც დაბრუნდება პორტუგალიიდან და ვინ იცის, ვლადიმერ კაკაშვილი იქნებ რკინიგზელთა მეორე ქართველი ფეხბურთელიც გახდეს ზაზა ჯანაშიას შემდეგ.

პაატა ძვანტალიანი

# გენერალმა ფეხბურთისკენ მოიხედა



[illegible] ფოტო

ჯონი ჯანელიძე



[illegible] ფოტო

ჯონი ფირცხალაიშვილი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „არსენალი" მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპს მნიშვნელოვნად სახეშეცვლილი შეხვდება. როგორც შევიტყვეთ, დაბრუნება გადაუწყვეტია კლუბის ყოფილ პრეზიდენტს, გენერალ ჯონი ფირცხალაიშვილს, რომელიც ბევრი ცვლილების მოხდენას აპირებს.

მოგეხსენებათ, ფირცხალაიშვილმა და ვიცეპრეზიდენტმა ჯემალ ჩიქოვანმა „არსენალი" პირველი ეტაპის მსვლელობისას მიატოვეს. გუნდის შენახვის საშუალება აღარ გვაქვს, რაც გინდათ, ის ქენითო, შეუთვალეს პრეზიდენტ-ვიცეპრეზიდენტმა მწვრთნელ-ფეხბურთელებს. ამის შემდეგ აღარც გუნდის მთავარი მწვრთნელი დავით ჩახავა გამოჩენილა. „არსენალიც" დაშლის პირას მივიდა. კლუბი მწვრთნელების — მამუკა გეგეჭკორისა და მერაბ თევზაძის, აგრეთვე ფეხბურთელთა მონდომებამ იხსნა. მათი თავგამოდებით „არსენალმა" პირველი ეტაპი ჩაამთავრა.

სამეორეეტაპო სამზადისს „არსენალი" ცოტა ხნის წინ შეუდგა. პატრონ-მომკითხავი სულ რომ არავინ გამოჩნდეს, მეთერთმეტე ჩემპიონატს ბოლომდე მივიყვანთო, ამბობდნენ ავლაბრელები. პატრონი კი გამოჩნდა, მაგრამ იმ მწვრთნელ-ფეხბურთელებმა, რომ ჩემპიონატი ჩაამთავრონ, ძალიან საეჭვოა.

„არსენალი" უახლოეს მომავალში ძალიან გადახალისდება. მთავარი მწვრთნელის პოსტი ფირცხალაიშვილს საქართველოს მოყვარულ ფეხბურთელთა ნაკრების თავკაც ჯონი ჯანელიძისთვის შეუთავაზებია. ისიც დათანხმებულა. გეგეჭკორს კი (მიუხედავად კლუბის წინაშე დიდი დამსახურებისა) „არსენალის"დატოვება მოუწევს. თავის მხრივ საკადრო პოლიტიკის გატარებას ჯანელიძეც აპირებს. ამ გუნდიდან რამდენიმე კაცს დავტოვებო, უთქვამს მას. ვის? ეს მწვრთნელს ჯერ არ დაუკონკრეტებია.

ამჟამად „არსენალი", როგორც გუნდი, არ ვარჯიშობს. ფეხბურთელები ინდივიდუალურად ემზადებიან. ყველაფერი დღე-დღეზე უნდა მოგვარდეს.

და ერთიც. კლუბის პრეზიდენტად დაბრუნებულ ჯონი ფირცხალაიშვილს ვინ უმაგრებს ფინანსურად ზურგს, ჯერჯერობით უცნობია. ის კი ნაღდია, რომ კლუბი ძველებურად თავდაცვის სამინისტროზე აღარ იქნება (ფინანსურად) დამოკიდებული. „არსენალის" ახალი სპონსორი ინკოგნიტოდ ალბათ დიდხანს არ დარჩება.

ᲕᲐᲜᲝ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ

# ძმები კილასონიები საქართველოს ნაკრებში

ᲕᲐᲠᲚᲐᲛ და გია კილასონიები საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრებს დაეხმარებიან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე.

როგორც ცნობილია, დარბაზის ფეხბურთელები საამისოდ გამალებით ემზადებიან. ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს — ლევან ყიფიანი და ეს გუნდი თებერვლის პირველ რიცხვებში მიხეილ მესხის სახელობის ტრადიციულ ტურნირშიც მიიღებს მონაწილეობას. ნაკრების ხელმძღვანელობა ამას წინათ მოლაპარაკებას აწარმოებდა გიორგი ანჩაბაძესთან, მაგრამ მისი თამაში მიზეზთა გამო არ მოხერხდა, სამაგიეროდ, დაიყაბულეს მინი-ფეხბურთში კარგად გაითვითცნობიერებული ძმები კილასონიები.

გიორგი კილასონია, მას შემდეგ, რაც გასული სეზონი „სამგურალში" ჩაამთავრა, არსად გამოჩენილა, მისი უფროსი ძმა კი XI ეროვნული ჩემპიონატის პირველ ეტაპზე რუსთავის „გორდაში" თამაშობდა. ნაკრების ახალწვეულებს გუნდში კიდევ ერთი პირველლიგელი დახვდათ — დავით სოლოლაშვილი მეორე ეტაპზეც ბოლნისურ „სიონში" თამაშს აპირებს. კილასონიების ახალი კლუბების (თუ კლუბის) ვინაობა კი ჯერ-რაც გაურკვეველია, რადგან „გორდას" დატოვება უფროს კილასონიასაც განუზრახავს.

რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს, შეგახსენებთ, რომ იგი ბაქოში ჩატარდება. ქვეჯგუფში ჩვენი მეტოქეები მასპინძელთა გარდა ჩეხები, ხორვატები და ბერძნები იქნებიან. მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე კი ქვეჯგუფში გამარჯვებული მოხვდება.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲫᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ტორპედო *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი(სიონი),კ.ჯანაშია(სამგურალი),ვ.მასურაძე(თბილისი),ჩხაბერიძე(თავისუფალიაგენტი) | | |
| დინამო *ოთარ კორღალიძე* | აშვეთია(ალანია,რუსეთი),ალექსიძე(ჩელსი,ინგლისი),ლომაია(ლოკომოტივი),ხიზანიშვილი(სპარტაკი,ვარნა,ბულგარეთი),ხომერიკი(ბათუმი),თ.კობიაშვილი(ვიტ ჯორჯია) | გოგიჩაიშვილი,ქებაძე(ლოკომოტივი),კერძევაძე(ქაფაზი,აზერბაიჯანი),ქემოკლიძე,ო.გველესიანი,ზამთარაძე,რუხაძე,მიქაძე,ა.ჩიხრაძე,(თბილისი),დათუაძე(სიონი),შელია(მანჩესტერსიტი,ინგლისი),ლობჟანიძე(უეფასმიერდისკვალიფიცირებულიიყო),გადელია(ბათუმი) | ვიტ ჯორჯია3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 2:2 |
| კოლხეთი *გია ტყებუჩავა* | ქობონელიძე (თსუ), ტრაპაიძე (შერიფი, მოლდოვა), დავითნიძე (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ბულუხია (თამაშიმიატოვა),მელაძე(?) | მ.ქობულაძე,შავგულიძე(ლოკომოტივი),გ.ჩიტაია(დილა) | |
| ბათუმი *ჯანი კარნეველე* | პაპიძე(თბილისი), კანტიძე (თამაშიმიატოვა),გადელია (დინამო),უვაკვე(?) | ხომერიკი(დინამო),ჩლაიძე,თარგამაძე(არსენალი),პეტრიაშვილი(სამგურალი),ბარნოვი(ლოკომოტივი),გ.ნოზაძე(საუ), კაკაბაძე(ცხუმი) | |
| ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე* | კ.ალადაშვილი(გორდა),მაზიაშვილი(ლოკომოტივი) | ლ.მელქაძე(თბილისი),ი.ხაჭაპურიძე(სამგურალი),მერლანი,ახალაძე(თსუ),თ.კობიაშვილი(დინამო),ვ.კაკაშვილი(თბილისი) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0 |
| სიონი *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე(დინამო),დ.გოდერძიშვილი(ლოკომოტივი),ნ.მინდიაშვილი,მ.მინდიაშვილი(?) | მაზანიშვილი(ტორპედო),ისიანი(თბილისი),დაუშვილი(არსენალი) | |
| დილა *მერაბ კოჭლაშვილი* | გ.ჩიტაია(კოლხეთი) | | ვიტ ჯორჯია 0:1 |
| იბერია *სოსო ჩრუიძე* | | | |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი,ქებაძე(დინამო),მ.ქობულაძე,შავგულიძე(კოლხეთი),ბარნოვი(ბათუმი), ლ.მიქაძე(ანჟი,რუსეთი),დ.ჯანელიძე,დოლაბერიძე(?) | ლომაია(დინამო),კვარაცხელია, ზ.ხიზანიშვილი(თბილისი),ხუროძე(სკონტო,ლატვია),ძოძუაშვილი(სამგურალი),რ. ახალკაცი(შუმენი,ბულგარეთი),გამცემლიძე(ტრავმისგამოართამაშობდა),დ. გოდერძიშვილი(სიონი),პარამონოვი(თბილისი2),მაზიაშვილი(ვიტ ჯორჯია),ჯულელი(მეტალურგი,ლიპეცკი,რუსეთი) | დინამო 2:1, მერანი 2:2 |
| გორდა *იასონ ალადაშვილი* | | კ.ალადაშვილი(ვიტ ჯორჯია) | |
| თსუ *თენგიზ კაცია* | მერლანი,ახალაძე(ვიტ ჯორჯია),ნინუა(?) | ფუტკარაძე(ინტერი),ჯავახიშვილი(განთიადი),ნანიშვილი(ცხუმი),სულავა(ნორჩიდინამოელი) | ვიტ ჯორჯია 4:6 |
| მერანი *სერგო გაბელაია* | ხარებავა,ე.ალადაშვილი(არსენალი) | კოშკაძე,ავალიანი,მელიქა,კვანტალიანი,მიკუჩაძე(ამირანი),თ.დოლიძე,ქოიავა,მოსულიშვილი(?) | ლოკომოტივი 2:2 |
| თბილისი *რამაზ შენგელაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი(ლოკომოტივი), ისიანი(სიონი),ლ.მელქაძე(ვიტ ჯორჯია),ვ.გაგუა(სკონტო,ლატვია) | გონჩაროვი(არსენალი),ვ. მასურაძე(ტორპედო),პაპიძე(ბათუმი) | |
| სამგურალი *იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი.ხაჭაპურიძე(ვიტ ჯორჯია),პეტრიაშვილი(ბათუმი),კოპალიანი(XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია (ტორპედო), გაბუნია(მეტალურგი), გ. ჯანელიძე(ტრავმის გამო არ თამაშობდა) | |
| ხობი *ფრიდონ გოცირიძე* | | | |
| არსენალი *ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე,თარგამაძე(ბათუმი),გონჩაროვი(თბილისი), დაუშვილი(სიონი);მამუკა გეგეჭკორი(მწვრთნელი,დაითხოვეს) | ხარებავა,ე.ალადაშვილი(მერანი); ჯონი ჯანელიძე(მწვრთნელი) | |

**ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი ქვეყანა, ერთი ფედერაცია



№10

ელგუჯა ჭერიშვილი

**დასაწყისი ოთხშაბათის „სარბიელში“**

— *გეთანხმებით, სპორტი და პოლიტიკა სხვადასხვა ცნებებია, მაგრამ ერთ რამეში თქვენც უნდა დამეთანხმოთ: ჩვენ ისეთი არეულ-დარეულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სრულებითაც არ არის გამორიცხული პოლიტიკისა და სპორტის ინტერესების თანხვედრა. დღეს საქართველო პოლიტიკური სუვერენიტეტისთვის იბრძვის და ამ ბრძოლაში ყველა თავის წილ საქმეს აკეთებს. თუმცა, ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობას რომ აცხადებდა, დამფუძნებელი ყრილობა უწინარესად სწორედ ფეხბურთის ინტერესებით ხელმძღვანელობდა. პირდაპირ გეტყვით: რუსული ფეხბურთის სამსახურს ქართულის სამსახური ვამჯობინეთ და ამაში ვერაფერს ვხედავ დასაძრახსა და უკანონოს.*

— ქართული ფეხბურთი ამით ვერ მოიგებს. ეს უპერსპექტივო გზაა. ჩვენი ძალა ერთობაშია. იყო დრო, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ხუთი-ექვსი ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა, საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებით გამოდიოდა თბილისის „დინამო“. განა ეს საამაყო არ არის? განა ჩვენი ბრალია, რომ ბოლო ხანს ნაკრებშიც შემოგაკლდათ ხალხი და თბილისის „დინამოც“ რიგიანად ვერ თამაშობს? ამისთვის პასუხი, პირველ ყოვლისა, თქვენს მწვრთნელებსა და ფეხბურთის ხელმძღვანელებს უნდა მოსთხოვოთ. ჩვენ მზად ვიყავით და დღესაც მზად ვართ ყველანაირად დაგეხმაროთ, ოღონდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ პოზიციები უნდა გადასინჯოს და კონფრონტაციაზე ხელი აიღოს.

— *საქართველოს ფედერაცია სხვას ითხოვს თქვენგან: აღიაროთ დამოუკიდებელ ორგანიზაციად და ითანამშრომლოთ მასთან, როგორც თანასწორუფლებიან პარტნიორთან.*

— ამ პირობით ჩვენ საერთო ენას ვერ გამოვნახავთ. იმასთან, ვინც საკავშირო ფედერაციის წესდებას არ ცნობს, საქმეს ვერ დავიჭერთ. ვიმეორებ, ჩვენ ერთ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და ამ სახელმწიფოს ინტერესებს უნდა ვემორჩილებოდეთ. ასეთია ფიფას პოზიციაც.

— *საქართველო, სხვათა შორის, სუვერენული სახელმწიფოა. ასეა ჩაწერილი კონსტიტუციაში.*

— რომელ კონსტიტუციაში, თქვენსაში? საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში მსგავსი არაფერი წერია.

— *თქვენ ეტყობა, ფიფას წესდებას უკეთ იცნობთ, ვიდრე... კონსტიტუციები ხელთ არა მაქვს, მაგრამ სიტყვაზე თუ მენდობით, ორივე მუხლი ზეპირად მახსოვს. საქართველოს სსრ კონსტიტუცია, მუხლი პირველი: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო (სახელმწიფო და არა სახელმწიფოს ნაწილი!); სსრ კავშირის კონსტიტუცია, მუხლი სამოცდამეთექვსმეტე: მოკავშირე რესპუბლიკა არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო...*

— მე, როგორც საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე, ვიცავ საბჭოთა კავშირის ინტერესებს.

— *ისევ სსრ კავშირის კონსტიტუციას და კიდევ ერთ დოკუმენტს დავიმოწმებ. მუხლი მეოთხმოცე: მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს... მონაწილეობდეს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში. ახლა გადავხედოთ თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ სკკპ პლატფორმას: „რესპუბლიკებს... უნარჩუნდებათ სუვერენიტეტის ისეთი ხელშეუვალი ნიშანი, როგორიცაა ჰქონდეთ ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან“. ფიფა, ისევე როგორც უეფას ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციაა. კონსტიტუციით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სრული უფლება აქვს იბრძოლოს ამ ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად.*

— მაგრამ ამის უფლებას არ იძლევა ფიფას წესდება. ფიფა ცნობს მხოლოდ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციას.

— *მოდით, რამდენიმე წუთით დავივიწყოთ, რომ თქვენ საბჭოთა ფეხბურთის ხელმძღვანელი ბრძანდებით, მე კი რიგითი კორესპონდენტი პერიფერიიდან. თავი დავანებოთ კონსტიტუციას და წმინდა სპორტულ პრინციპებზე შევჩერდეთ. გულწრფელად მითხარით, როგორც ფეხბურთის სპეციალისტს, მართლა გჯერათ, რომ დამოუკიდებლობა დაღუპავს ქართულ ფეხბურთს?*

— ის, რომ საქართველოს გუნდები საკავშირო ჩემპიონატში არ მონაწილეობენ, დიდი დანაკარგია ჩვენთვის. ეს უდავოა. მაგრამ ასევე უეჭველია ისიც, რომ ამით ქართული ფეხბურთი უფრო დაზარალდება, ვინემ საბჭოთა. მიზეზი მარტივია: თქვენი ფეხბურთი, თქვენივე სურვილით, იზოლაციაში მოექცა. ღმერთმა ქნას, ამას „ვარსკვლავთცვენა“ მოჰყვეს, მაგრამ სპორტული სამყაროს გამოცდილება სხვას მეტყველებს. საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვას არასოდეს მოჰყოლია ფეხბურთის დონის ამაღლება. ევროპის პატარა სახელმწიფოები, მართალია, ეროვნულ ჩემპიონატებს მართავენ, მაგრამ ამავე დროს, აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრებაში. საქართველოს გუნდები საერთაშორისო ტურნირებში ვერ გამოვლენ და სწორედ ეს არის თვითიზოლაცია.

— *ესე იგი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას კომპრომისის გარდა სხვა გზა არ დარჩენია.*

— თუ ახალკაცს და მის კოლეგებს ამის სურვილი ექნებათ, ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკებისათვის. ხომ ხედავთ, უმაღლეს ლიგაში დამატებით არც ერთი გუნდი არ შეგვიყვანია. მე საქართველოს ფედერაციას ხუთი კითხვით მივმართე და, სამწუხაროდ, ხუთივეზე უარყოფითი პასუხი მივიღე, აი, აქ მიდევს თბილისიდან გამოგზავნილი დეპეშა. ბუნებრივია, ამგვარი პასუხის შემდეგ იძულებული ვიყავით გაგვერიცხა თქვენი ფედერაცია. ახალკაცისთვის და ალბათ ფეხბურთის გულშემატკივრებისთვისაც ცნობილია ფიფას პოზიციაც. ამას წინათ მოსკოვში ფიფას გენერალური მდივანი ჩამოვიდა და საგანგებოდ შევახვედრე საქართველოს დელეგაციას. ბლატერის პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო. ფიფა რესპუბლიკურ ფედერაციასთან საქმეს არ დაიჭერს. იგივე გაიმეორა ბლატერმა მეორე დღეს, პრესკონფერენციაზე.

— *იმ პრესკონფერენციას მეც ვესწრებოდი. სხვათა შორის, ბლატერმა ისიც თქვა, თუ რესპუბლიკებს ფიფასთან საქმის დაჭერა სურთ, ეს საკავშირო ფედერაციის მეშვეობით უნდა გააკეთონო.*

— ფიფას წესდების თანახმად, მე ამის უფლება არა მაქვს. ბლატერი უბრალო მიწერ-მოწერას გულისხმობდა და არა გაწევრიანებას. ფიფა 166 ეროვნულ ფედერაციას აერთიანებს და გადაწყვეტილებას ხმის უმრავლესობით იღებს. არა მგონია, საერთაშორისო ფედერაციის წევრებმა წესდების გადასინჯვა მოითხოვონ. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ დიდი ბრიტანეთისათვის.

— *საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში დამკვიდრებულია მიმდინარე მოვლენებისადმი მიდგომის ტრადიციული ფორმა: იცვლება სიტუაცია — იცვლება დამოკიდებულება. დამეთანხმებით, საბჭოთა ფეხბურთში სიტუაცია იცვლება (საქართველო, ლიტვა, ესტონეთი). მაშასადამე, უნდა შეიცვალოს დამოკიდებულებაც. ფეხბურთს რომ თავი დავანებოთ, იცვლება პოლიტიკური ვითარებაც: მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენიტეტისთვის იბრძვიან. ხომ არ გეჩვენებათ, რომ საბჭოთა ფეხბურთის მართვის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემა და თქვენი კურსი უპირისპირდება გარდაქმნას და გორბაჩოვის პოლიტიკას?*

— საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრებას ფიფას წესდება არეგულირებს და არა საბჭოთა კავშირში ამჟამად მიმდინარე პროცესები. რესპუბლიკას მხოლოდ მაშინ შეუძლია დასვას ფიფაში გაწევრიანების საკითხი, როცა დამოუკიდებელი გახდება. გადით საბჭოთა კავშირიდან და დაგეხმარებით ფიფაში.

— *გმადლობთ ... წეღან სპორტი და პოლიტიკა ახსენეთ. სოხუმის „დინამოს“ თაობაზე საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილება სცილდება სპორტის ფარგლებს და ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. ამასთან დაკავშირებით თქვენ პრესაში განაცხადეთ, რომ აღმასკომის გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება საკავშირო ფედერაციის წესდებას. კონკრეტულად წესდების რომელ მუხლს გულისხმობთ?*

— ჯერ ერთი, ჩვენს წესდებაში გარკვევით წერია, რომ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის იურისდიქცია ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ახლა წესდების მეოთხე მუხლის მეათე ნაწილს წაგიკითხავთ: „ფედერაციის კოლექტიური წევრები შეიძლება იყვნენ ტერიტორიული, პროფკავშირული, საუწყებო ფედერაციები და სხვა საფეხბურთო გაერთიანებები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ ამ წესდების შესაბამისად“.

— *ახლა მეც მომისმინეთ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იურისდიქცია ვრცელდება რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთი კი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. აღმასკომის ბოლო სხდომაზე საქართველოს ფედერაცია საკავშიროდან დაითხოვეთ, სოხუმის „დინამო“ კი საკავშირო პირველობაში დაუშვით. ერთი გადაწყვეტილება გამორიცხავს მეორეს... რაკი საქართველოს ფედერაცია ამიერიდან თქვენი წევრი არ არის, წესდებაც შესაბამისად ასე უნდა შეგეცვალათ: „სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის იურისდიქცია ვრცელდება საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, გარდა იმ რესპუბლიკებისა, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელი ფედერაცია და არ ცნობენ ამ წესდებას“...*

ამბობენ, შავიზღვისპირეთში რომ მოსამზადებლად ჩასული გუნდებისთვის საქართველოს ფეხბურთელებთან საკონტროლო შეხვედრის გამართვაც კი აგიკრძალავთ. მართალია?

— დიახ, გავეცით ასეთი განკარგულება.

— *ბლოკადას გვიწყობთ?*

— რაც გინდათ, ის დაარქვით, საქართველოს გუნდებთან არავითარი კონტაქტი არ გვექნება. ფიფამაც საგანგებოდ გააფრთხილა ამ ორგანიზაციაში შემავალი ეროვნული ფედერაციები.

— *ამ დღეებში შვეციის საკლუბო გუნდმა რამდენიმე ამხანაგური მატჩი ითამაშა საქართველოში...*

— როგორც ჩანს, შვეციის ფედერაციას ჯერ არ მიუღია ფიფას მითითება.

— *„კომსომოლსკაია პრავდას“ ინიციატივაზე რას იტყვით? ამ გაზეთმა ითავა საშემოდგომო „ოთხთა ტურნირის“ ორგანიზება საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, თასის მფლობელის, საქართველოს ჩემპიონისა და ლიტვის საუკეთესო გუნდის მონაწილეობით.*

— ასეთი ტურნირი არ გაიმართება. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს გუნდს ვერ დავუშვებთ. რაც შეეხება ლიტველებს, ჯერჯერობით ურთიერთობა არ გაგვიწყვეტია — ისინი ცნობენ ჩვენი ფედერაციის წესდებას. ბალტიისპირა რესპუბლიკები, როგორც შევიტყვე, რეგიონალური ჩემპიონატის მოწყობას აპირებენ. ვნახოთ, რა გამოუვათ. ესტონეთმა, მაგალითად, ფინანსური სიძნელეების გამო დატოვა საკავშირო ფედერაცია და ეს ოფიციალურად შეგვატყობინა.

— *„საფეხბურთო თვითგამორკვევის“ პროცესს იქნებ სულ სხვა მიზეზები აქვს? უთუოდ გეცოდინებათ, რომ მოლდაველებიც ამ გზას დაადგნენ. როგორც ამბობენ, უკრაინაშიც გამოუთქვამთ დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნის სურვილი.*

— არა მგონია, უკრაინა დღეს მზად იყოს ამისთვის. მე ერთი რამ მაკვირვებს: აქამდე სავსებით სამართლიანად გვაკრიტიკებდნენ, საბჭოთა ფეხბურთს არაპროფესიონალები და ფუნქციონერები მართავენო. ახლა ვითარება შეიცვალა — შეიქმნა პროფესიული საფეხბურთო ორგანიზაცია, გადაწყდა ფეხბურთელებისა და მწვრთნელების საპენსიო უზრუნველყოფის, მათი სოციალური დაცვის, უცხოეთის კლუბებთან თავისუფალი ურთიერთობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რესპუბლიკები კი სწორედ ახლა გარბიან ჩვენი ფედერაციიდან.

— *არა მარტო ფეხბურთის ფედერაციიდან... რაც თქვენ ჩამოთვალეთ, ყველა ამ საკითხის გადაჭრას უშუალოდ რესპუბლიკებიც მოახერხებენ. საკავშირო წესდება არ იძლევა ფეხბურთის სამყაროსთან დამოუკიდებელი ურთიერთობის შესაძლებლობას და, ჩემი აზრით, სწორედ ეს არის მთავარი პრობლემა. აი, მაგალითად, საქართველოს სურს ეროვნული ნაკრებით ჩაებას მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში. გულწრფელად მითხარით, განა ეს სამართლიანი მოთხოვნა არ არის?*

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ ეს კანონიერი გზით უნდა გაკეთდეს. პოლიტიკურ პროცესებს წინ ნუ გაუსწრებთ. უმაღლესი საბჭოს სესიამ უკვე მიიღო კანონი კავშირიდან რესპუბლიკების გასვლის შესახებ. ისარგებლეთ ამ კანონით, თუმცა ალბათ, არც აჩქარება ვარგა. გორბაჩოვი ისეთი ფედერაციის შექმნას აპირებს, მე მგონი, გასვლას აღარავინ მოისურვებს.

— *თქვენ არ აპირებთ ფეხბურთის ფედერაციის წესდების გადასინჯვას? რესპუბლიკებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ფეხბურთის ლიგათა კავშირთან ვამკლავებაც არ უნდა იყოს იოლი. პონედელნიკი, ეტყობა, ფარ-ხმალს არ დაყრის.*

— ლიგათა კავშირს, რა თქმა უნდა, აქვს არსებობის უფლება. მაგრამ მისი ფუნქცია მხოლოდ საშინაო საქმეებით უნდა შემოიფარგლოს, საერთაშორისო ურთიერთობა ფედერაციის კომპეტენციას განეკუთვნება — ფიფას გენერალური მდივანი პონედელნიკს პირადად შეხვდა და ამის თაობაზე ყველა საჭირო განმარტება მისცა, უფრო ადრე კი საგანგებო მემორანდუმიც გამოგვიგზავნა. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას, ცხადია, სერიოზულად აფიქრებს საბჭოთა ფეხბურთში შექმნილი ვითარება. მსოფლიოს ჩემპიონატამდე თითქმის არაფერი რჩება, მაგრამ ბლატერმა მაინც გამონახა დრო მოსკოვში ჩამოსასვლელად.

— *პრესკონფერენცია რომ დასრულდა, ერთმა ჩემმა კოლეგამ მითხრა, კოლოსკოვმა ბლატერი ლიგათა კავშირისა და საქართველოს ფედერაციის დასაშინებლად ჩამოიყვანაო... რას იტყვით?*

— ბლატერმა თვითონ მოისურვა მოსკოვში ჩამოსვლა და, ჩემი აზრით, ეს იყო საჭირო და სასარგებლო ვიზიტი. ყველამ უნდა იცოდეს ფიფას პოზიცია და ამის მიხედვით იმოქმედოს.

... ჩვენი საუბარი აქ შეწყდა, მდივანმა შემოაღო კარი: „ვიაჩესლავ ივანიჩ, საათზე მეტია სადირინი გელოდებათ“. კოლოსკოვმა კარამდე გამომაცილა და ვიდრე ერთმანეთს დავემშვიდობებოდით, სტუმარი წარმომიდგინა: „გაიცანით, ეს ცსკას მწვრთნელია, საბჭოთა კავშირის მომავალი ჩემპიონის. არმია ფეხბურთშიც ჩემპიონი უნდა იყოს!“...

კიდევ რაღაც თქვა, მაგრამ მე უკვე სხვა სიტყვები ჩამესმოდა: „უყურებენ ერთმანეთს და ჰკვირობენ, ან მე რად უნდივარ ამასაო, ან მე იგი რად მინდაო, ის ჩემთვის მუნჯი და ყრუიაო, მე იმისათვისაო“.



ვიაჩესლავ კოლოსკოვი

СПОРТ-ЭКСПРЕСС ФУТБОЛ

გიო ახვლედიანის

სვეტი

## მაინცდამაინც ეს

ძველ დროში, კომუნისტების დროში, ერთ ჩემს ნათესავს შრომის წითელი დროშის ორდენი მიანიჭეს. იმ დროს უძრაობის ხანა დაერქვა, ჩემი ნათესავი კი მეტად გაკვირვებული დარჩა ამ დიდი კომუნისტური ორდენით. მხრებს იჩეჩავდა და ამბობდა, ნეტავ რას უდა ნიშნავდესო.

მართლაცდა საკვირველი იყო — ჯერ ორმოციც არ შესრულებოდა და ერთი ჩვეულებრივი ინჟინერი გახლდათ. თანაც, ისეთი ერთ სამუშაო ადგილას რომ გული არ უდგებათ. მთელი საბჭოეთის მასშტაბით დახეტიალობდა და სამოთხ თვეს თუ შერჩებოდა სამუშაო ადგილს, ან ქალაქს. ბოლოს სამშობლოშიც შემოიარა და ერთ-ერთ ქარხანაში მოეწყო ინჟინრად. ორიოდ თვეში დირექტორმა დაიბარა და უთხრა პარტიამ გადაწყვიტა, შრომის წითელი დროშის ორდენით დაგაჯილდოვოსო. რა დასამალია და ჩემი ნათესავი შეშინდა, შეცდომა იქნება, ეგეთი არაფერი მიშრომიაო. პარტია არ ცდებაო, მიუგია დირექტორს და მიუნჭიებიათ ეს ორდენი.

ამ დაუდეგარ კაცს კი კიდევ კარგახანს შინებია, რა მიზეზია, რატომ მომანიჭეს ეს ორდენიო. ნეტავ რას მიპირებენო. ბოლოს კიდევ მორიგი განცხადება დაუწერია, მივდივარ ამ სამსახურიდანო. დირექტორს უთქვამს, ორდენოსანს ვერ დავითხოვო და მისი ორდენის ამბავიც მოუყოლია: ცეკაში მითხრეს, ამადაამ ასაკის ინჟინერი, ამდენი და ამდენი წლის პარტიული თუ მუშაობს შენთან, იმას უნდა მივანიჭოთ ორდენი. მითითებაა ასეთიო, რომ ოთხი გამოყოფილი ორდენიდან ერთი ასეთს უნდა მიეცეს, მეორე ისეთს, ის ორიც ისეთებსო. მეც ავდექი, კადრებში ქაღალდები მივქექე და ამნაირი შენ გამოდექი. ჰოდა, რაღა მექნა, წარგადგინეო.

ეს ამხელა ამბავი იმიტომ გავაჭრელე აქა, რომ მეთქვა:

თქვენი არ ვიცი და ზოგიერთი საფეხბურთო პრეზიდენტი თუ მწვრთნელი მე სწორედ იმ ცეკას მაგონებს: რომ დაადგამს თვალს რომელიმე ფეხბურთელს და იტყვის, მაინცდამაინც ასეთი მინდა და გადავიხდი ორმოც მილიონსო. ცნობილია, რომ ის ფეხბურთელი არ ღირს ორმოცი მილიონი, მაგრამ რახან ამ კაცს მაინცდამაინც ის მოთამაშე უნდა, იხდის შეუსაბამო თანხას.

ეს ერთგვარი სიგიჟეა, საბჭოთა სიგიჟეს ჰგავს.

მაინცდამაინც ამაში, მაინცდამაინც ამდენი. მაინცდამაინც ორდენი, მაინცდამაინც ოცდათვრამეტი წლისას...

ახლა რა გავიხსენოთ?

1967 წელს ლისაბონში, გლაზგოს „სელტიკმა“ ჩემპიონთა თასის ფინალი მოუგო მილანის „ინტერს“ და ამ თასის მომგები პირველი ბრიტანული გუნდი შეიქნა. „სელტიკის“ შემადგენლობაში თამაშობდა ათი ფეხბურთელი, რომლებიც „სელტიკ პარკის“ სტადიონიდან თორმეტი მილის რადიუსში დაიბადნენ და გაიზარდნენ. მხოლოდ მეთერთმეტე, ბობი ლენოქსი დაბადებულიყო აქედან ოცდაათი მილის მოშორებით, აირშიში.

დიახ, იყო დრო, ჩემპიონთა თასს უბნის გუნდები იგებდნენ. თქვენ იტყვით, რომ ადრე ნელა თამაშობდნენ. მე კი გიპასუხებთ, რომ დენილსონის ყიდვას, უბნის გუნდის კეთება ჯობს. თქვენ იტყვით, რომ ეს ძველმოდური ლაპარაკია, მე კი გიპასუხებთ, რომ მოდა ყოველთვის ბრუნდება, ოდნავ სახეცვლილი, ძველი ფორმით და ახალი იერითა და მოყვანილობით.



სანტანდერის „რასინგის“ თავდამსხმელი სალვა ბალესტა (№9) მეტოქეებს ხშირად აწიოკებს

# ესპანეთის ბომბარდირი პილოტობაზე ოცნებობდა

90-იან წლებში ესპანეთის ჩემპიონატის ბომბარდირთა სიის სათავეში ცნობილ სახელებს ამოიკითხავდით. უგო სანჩესი, რომარიო, რონალდო — აი, ფეხბურთელები, რომელთაც სხვადასხვა სეზონში ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს და არა მარტო ესპანურ, არამედ მსოფლიო ფეხბურთშიც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს. გაცილებით ადრე, 50-იან წლებში, ესპანეთის ჩემპიონატის მეგოლის საპატიო ტიტულს ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანო და ფერენც პუშკაში ფლობდნენ.

მიმდინარე სეზონში პრიმერადივიზიონში, ბომბარდირთა დავაში სრულიად უცნობი ფორვარდი შეიჭრა — სალვა ბალესტა, სანტანდერის „რასინგის“ მოთამაშე, რომელმაც 20 ჩატარებულ შეხვედრაში 21 ბურთი გაიტანა და საუკეთესო მეგოლეთა შორის ერთპიროვნულად დაწინაურდა.

ვინ არის სალვა? გამორჩეულად ნიჭიერი ფორვარდი, რომელსაც შეუძლია ახალი რეკორდის დამყარება და მსოფლიოს საფეხბურთო ისტორიაში დამკვიდრება, თუ ლიდერად შემთხვევით ქცეული ბომბარდირი, რომლის სახელი ყველას მალევე დაავიწყდება?

ცნობისთვის, შეგახსენებთ, რომ პრიმერადივიზიონის რეკორდი დღესაც ერთდროულად ორ პიროვნებას ეკუთვნის. 50-იანი წლების ბილბაოს „ატლეტიკის“ ფორვარდ ტელმო ზარას, რომელმაც ერთ სეზონში 38 გოლი გაიტანა და მისი გაუმჯობესება დღემდე ვერავინ შეძლო. 1989-90 წლებში მადრიდის „რეალის“ მექსიკელმა თავდამსხმელმა უგო სანჩესმა ზარას შედეგი მხოლოდ გაიმეორა.

დღეს კი მავან სალვას, 24 წლის აქამდე შეუმჩნეველ ფეხბურთელს, დიდებული შანსი აქვს, თავისი სახელი სამუდამოდ დაუკავშიროს ესპანურ ფეხბურთს.

### რას ფიქრობს სალვა საკუთარ თავზე?

„მე მხოლოდ ფეხბურთელი ვარ, რომელსაც წარმატებული სერია დაებედა. გამოგიტყდებით, ფეხბურთი რომ არ მეთამაშა, ჩემი წინაპრების დარად ჯარში ვიმსახურებდი. ბავშვობაში მამაჩემის და ბაბუაჩემის მსგავსად საჰაერო ძალების პილოტობაზე ვოცნებობდი“ — ამბობს სალვა.

საინტერესოა, მიაპყრობდა თუ არა პილოტი სალვა ხალხის ყურადღებას ისე, როგორც ფეხბურთელი, რომელმაც მთელი საფეხბურთო ევროპა დააინტერესა.

### გზა წარმატებისკენ

სინამდვილეში სალვამ დღევანდელი წარმატების მისაღწევად რთული გზა განვლო. 19 წლის ასაკიდან იგი „სევილიის“ სარეზერვო გუნდში თამაშობდა. გუნდს იმჟამად ესპანეთის ნაკრების ახლანდელი თავკაცი, ხოსე ანტონიო კამაჩო ავარჯიშებდა.

თუმც ახალგაზრდა ბლესტამ თავი ვერაფრით გამოიჩინა, ის კი არა, კლუბის შემადგენლობაში მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა. „სევილიამ“ სალვა იმხანად მეორედივიზიონელ „ეჩიხაში“ გაანათხოვრა, სადაც ფეხბურთელმა ერთი წელი დაჰყო, მაგრამ დასამახსოვრებელი ვერც იქ გააკეთა რაიმე — სეზონში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. მომდევნო წელს სალვა კვლავ „სევილიაში“ დაბრუნდა. მას ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ დიდ ფეხბურთს ითამაშებდა.

კამაჩომ გადაწყვიტა, ფეხბურთელისთვის შანსი კვლავ მიეცა და გუნდში აიყვანა. სალვამ მწვრთნელის ნდობას პირველივე სეზონში ჩატარებულ 34 შეხვედრაში გატანილი 13 ბურთით უპასუხა, ამის შემდეგ კი მისი კარიერის ალმავლობის პერიოდი დაიწყო.

1996-97 წელს მისით ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცი სალვათი დაინტერესდა და გუნდშიც მიიწვია. მართალია, იმ სეზონში ბალესტას კლუბმა „სევილიამ“ პრიმერადივიზიონი დატოვა, მაგრამ თავად სალვა 1998 წელს ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონი გახდა.

სანტანდერის „რასინგმა“ ახალგაზრდა, პერსპექტიული ფორვარდის შეძენის შანსი ხელიდან არ გაუშვა და გადაიბირა კიდეც, მაგრამ სალვამ გასული სეზონი აშკარად უხეიროდ ჩაატარა: შემადგენლობაში მხოლოდ 16-ჯერ გამოჩნდა, აქედან 10-ჯერ შეცვლაზე შევიდა. შედეგიც ერთობ მოკრძალებული ჰქონდა — მხოლოდ ორი გოლი გაიტანა.

### რა ხდება წლეულს?

წლეულს ყველაფერი სხვაგვარადაა. სალვამ სეზონი თავიდანვე შემართებით დაიწყო და პირველივე ტურში გამოიჩინა თავი, როდესაც მრისხანე „ვალენსიას“ ორი ბურთი შეუგდო. ამის შემდეგ ფორვარდი მართლაც შეუჩერებელი შეიქნა. ოქტომბერში „რეალ სოსიედადის“ წინააღმდეგ გამართული მატჩის 23-წუთიან მონაკვეთში გატანილმა ოთხმა გოლმა დაამტკიცა, რომ სალვას ნამდვილად ძალუძს დიდი ფეხბურთის თამაში.

„წინა წლებში ჩემს პოტენციალს ტრავმების გამო ვერ ვავლენდი. აი, თუნდაც შარშან, როცა „რასინგში“ ჩასვლისთანავე დავშავდი და ოპერაცია დამჭირდა. დღემდე ყოველგვარ წარუმატებლობას ტრავმებს ვაბრალებ, თუმც არ გეგონოთ, წლეულს მიღწეული შედეგით დავკმაყოფილდე. ვიმეორებ იმას, რასაც ყოველთვის ვამბობდი — ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლო და დავხვეწო. გამოგიტყდებით, ხანდახან თავადაც არ მჯერა, რომ პრიმერადივიზიონის ბომბარდირი ვარ. ხომ წარმოგიდგენიათ, დაახლოებით ათი წლის წინ ეს ტიტული უგო სანჩესს ეკუთვნოდა. იგი ჩემი ბავშვობის კერპი იყო. მაგრამ ჯერჯერობით მე არც ესპანეთის ჩემპიონატის ბომბარდირი ვარ და უგო სანჩესის წარმატებამდეც ბევრი მიკლია“ — აცხადებს თავად სალვა.

მეტის მიღწევა კი სალვას ნამდვილად შეუძლია. ამას თავად უგო სანჩესი აღიარებს. „ამ ბიჭს ფორვარდობა სისხლში აქვს გამჯდარი, მას გოლის გატანის უტყუარი ალღო აქვს. სალვა დიდი ფეხბურთელი დადგება და ჩემს სიტყვებს ხვალ საქმით დაამტკიცებს. სულაც არ გამოვრიცხავ, რომ უახლოეს მომავალში ხოსე ანტონიო კამაჩომ იგი ესპანეთის ნაკრებში მიიწვიოს. მან, როგორც სალვას ყოფილმა მასწავლებელმა, კარგად იცის, რაოდენ დიდია სალვას პოტენციალი. მერწმუნეთ, ესპანეთის დიდ ნაკრებს სალვა უკვე იმსახურებს“.



უგო სანჩესი



ალფრედო დი სტეფანო

კითხვა • პასუხი

— *აბა, გამოალაგე შენი საგანძურები.*

— კი, ბატონო, აი, ჩემი პირველი...

— *ეხლა არ დაიწყო ოუენიო და რამეო. რაც გაბაზრებულია, არ გვინდა.*

— ოუენიო? ბიჭს მიგინებ?

— *არავინ გიგინებს? ოღონდ, რო ამბობ, ბევრი ვარსკვლავი ვიცი ინგლისშიო, ოუენი არ თქვა.*

— რატომ არ უნდა ვთქვა?

— *იმიტომ რომ ყველამ ვიცით.*

— კარგი. პირველი — კინი.

— *კინი ირლანდიელია.*

— ირლანდიელია, აფხაზი ხომ არ არის?

— *თანაც ბებერია.*

— არა, კაცო, რობი კინი.

— *რობი კინი, როი კინის ნამდვილი სახელია.*

— აი, რა იცის პრიმერა დივიზიონის ყურებამ.

— *პრიმერა დივიზიონში გოლი მაინც არ გადის რეკოშეტით. პრემიერლიგაში კიდევ დაარტყამს ვინმე ცენტრიდან, მოხვდება ერთს, მეორეს, მესამეს, ბოლოს აუცილებლად ჰენინგ ბერგს და შევარდება კარში.*

— ამით რისი თქმა გინდა?

— *არაფრის, უბრალოდ არ გამიგია ეგ რობი კინი.*

— კარგი, კოულიც არ გაგიგია?

— *ჰმ, კოულიო... ეგ აბა რაღა ვარსკვლავია?*

— ამნაირი ნიჭის ფეხბურთელი ახლა არც კი ჩანს. კრუიფად იზრდება...

— *რაღა დროს მაგის გაზრდაა, თმა სცვივა.*

— ვისა, ბიჭო?

— *ვისა და მაგ შენ კოულსა. ჯერ ერთი გასარკვევია, კოულს რომ ამბობ, იორკს ხომ არ გულისხმობ?*

— აი, პრიმერას ცქერაში დაბრმავებული კაცი. განა მე ენდი კოულს ვამბობ?

— *აბა, მაშ ვისა?*

— ჯო კოულს.

— *რას არ მოიგონებს ეს ხალხი...*

— ჯო კოული, სრულიად ბავშვი, „ვესტ ჰემის“ ლიდერია.

— *ეგ რომელი „ვესტ ჰემი“ ჩვენ რო დავამყნეთ?*

— მაშინ ჯო კოული დაბადებულიც არ იყო.

— *ეგ არაფერს ნიშნავს.*

— მაშ მხოლოდ ჯო კოული ნიშნავს რამეს?

— *და გაზა?*

— რა შუაშია გაზა?

— *ევებ გაზაც ახსენო ახალბედა ვარსკვლავებში?*

— მიდი რა, სერია A-ს უყურე.

— *ეგ რა, წყევლაა?*

— არა, უბრალოდ ანგარიშებია საინტერესო. ვთქვათ „ინტერმა“ შტანგით კუთხური მოიგო.

— *რას ბოდავ? მარტო შევჩენკოს თერთმეტი აქვს გატანილი.*

— თერთმეტივე მშვიდობაში მოგახმაროს ღმერთმა.



ზიკოს (მარცხნივ) ფიფაში განაცხადი შეაქვს

# ბრაზილია დაიწუნეს

## ზიკოს უთხრეს, ორგანიზატორული ნიჭი არ გივარგათ, ფეხბურთს კი დიდებულად თამაშობთო

ფიფა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველი ქვეყნების შემოწმებას განაგრძობს. შესაბამის კომისიას ვინმე ალან როზენბერგი ხელმძღვანელობს. ფიფას ექსპერტებმა ოკეანე გადაკვეთეს და ამჯერად ბრაზილიას ეწვივნენ.

აქამდე ბატონმა როზენბერგმა ინგლისსა და გერმანიაში იმოგზაურა, იქაურ ატმოსფეროს გაეცნო, ლონდონში ყოფნისას „უემბლის" მწვანე მინდორზეც გაიარა და ვოიაჟი გრანდიოზული ბანკეტით დაასრულა, რომელიც ინგლისელებმა გაუმართეს. ერთი სიტყვით, კმაყოფილი დარჩა. ბრაზილიაში სულ სხვა ამბები დატრიალდა. სამხრეთამერიკელთა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის მზადყოფნა კომისიამ საეჭვოდ მიიჩნია. იქნებ როზენბერგს ბრაზილიური კერძები არ ეამა, ხმამაღლა კი ეს თქვა: „მსოფლიოს ჩემპიონატის გასამართად ქვეყანას კარგად განვითარებული საფეხბურთო (და არა მარტო) ინფრასტრუქტურა უნდა ჰქონდეს. ამისთვის უზარმაზარი მოცულობის სამუშაოების ჩატარებაა საჭირო. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ბრაზილიას საამისოდ საკმარისი ფინანსური რესურსები არ გააჩნია". ასეთ დასკვნამდე კომისიის წევრები ხუთი დღის განმავლობაში მივიდნენ. სწორედ ამდენი დრო დაუთმეს მათ ბრაზილიაში ვიზიტს. ექსპერტები ქვეყნის ოთხ ქალაქს — პორტუ ალეგრეს, კურიტიბას, სან პაულუს და რიო დე ჟანეიროს ეწვივნენ, ადგილობრივ ხელისუფალთაც შეხვდნენ. ცხადია, კრიტიკული შენიშვნების გარდა როზენბერგი მასპინძლებს ერთი-ორ ტკბილ სიტყვასაც (თუნდაც ზრდილობის გამო) ეტყოდა. უპირველესად, მან ბრაზილიელებს ფეხბურთისადმი სიყვარული შეუქო. ბრაზილიელების დარი მოთამაშეები არსად მინახავს და ოთხჯერ მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება ვინმეს ადვილი არ ეგონოსო — დაამატა.

როზენბერგის მასპინძელთა შორის ვინმე არტურ ანტუნეშიც ერია. ადრე ამ კაცს მაისურაზე ზიკო ეწერა და მინდორზეც ჭკვიანურად ირჯებოდა. ჰოდა, ზიკომ სტუმრის ნათქვამი სწორად გაიგო და მაშინვე განაცხადა, 2006 წლამდე ბევრი დროა და ზიკო არ ვიყო, იქამდე თუ ყველა პრობლემა არ მოვაგვაროო. თან ყველაზე ცნობილი თანამემამულე (ზოგს ბრაზილიური ყავის რეკლამიდან რომ ახსოვს) დაიმოწმა, ისიც გვერდით გვიდგასო.

თუ მოინდომებ და ჯიბეც გახვრეტილი არ გაქვს, ექვს წელიწადში მართლაც ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. მაგრამ ამდენ ხანს ვინ მოიცდის? ფიფას ალმასკომმა საბოლოო სიტყვა 5 ან 6 ივლისს უნდა თქვას.

როზენბერგის შემდეგი გაჩერება კი მაროკო იქნება.

გიორგი დარჯანია

# ვიქტორ კოლოტოვი 1949-2000

გარდაიცვალა 70-იანი წლების კიევის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი ვიქტორ კოლოტოვი...

...კოლოტოვი, კიევური კლუბის შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი, ორგზის თასის მფლობელი, 1975 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასისა და ევროპის სუპერთასის მფლობელი...

...კოლოტოვი, საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ კიევის „დინამოს", კიევისვე „ბორისფენის", ივანო-ფრანკოვსკის „პრიკარპატიესა" და უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი...

...კოლოტოვი, კაცი, რომელმაც 1999 წლის 20 მარტს უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებს თბილისში, „შევარდენის" სტადიონზე ქართველ თანატოლებთან მატჩში უხელმძღვანელა...

...მას შემდეგ, რაც 80-იანი წლების ბოლოს ერთ-ერთმა საბჭოელმა ჟურნალისტმა დაუმსახურებლად გააკრიტიკა, ყოველგვარ ინტერვიუზე უარს აცხადებდა...

...თუმცა, ქართველებთან მატჩამდე ვიქტორ მიხაილოვიჩი ინტერვიუზე თავაზიანად დაგვთანხმდა, რომლესაც ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლამდე კიევში დავუკავშირდით...

...ახლახან კი ვიქტორ კოლოტოვს გულმა უმტყუნა...



ვიქტორ კოლოტოვი

# აფრიკის თასი: განა ნიგერია 2000

**A ჯგუფი** განა, კამერუნი, კოტ დივუარი, ტოგო

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 | იანვარი | აკრა | განა — კამერუნი |
| 24 | იანვარი | აკრა | კოტ დივუარი — ტოგო |
| 27 | იანვარი | აკრა | განა — ტოგო |
| 28 | იანვარი | აკრა | კამერუნი — კოტ დივუარი |
| 31 | იანვარი | აკრა | განა — კოტ დივუარი |
| | | კუმასი | კამერუნი — ტოგო |

**B ჯგუფი** სამხრეთ აფრიკა, გაბონი, ალჟირი, კონგოს დრ

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 | იანვარი | კუმასი | სამხრეთ აფრიკა — გაბონი |
| 24 | იანვარი | კუმასი | კონგოს დრ — ალჟირი |
| 27 | იანვარი | კუმასი | სამხრეთ აფრიკა — კონგოს დრ |
| 29 | იანვარი | კუმასი | ალჟირი — გაბონი |
| 2 | თებერვალი | კუმასი | სამხრეთ აფრიკა — ალჟირი |
| | | | კრა კონგოს დრ — გაბონი |

**C ჯგუფი** ეგვიპტე, ზამბია, სენეგალი, ბურკინა ფასო

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 | იანვარი | კანო | ეგვიპტე — ზამბია |
| 25 | იანვარი | კანო | ბურკინა ფასო — სენეგალი |
| 28 | იანვარი | კანო | ეგვიპტე — სენეგალი |
| 29 | იანვარი | კანო | ზამბია — ბურკინა ფასო |
| 1 | თებერვალი | კანო | ეგვიპტე — ბურკინა ფასო |
| | | ლაგოსი | ზამბია — სენეგალი |

**D ჯგუფი** კონგო, მაროკო, ნიგერია, ტუნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 | იანვარი | ლაგოსი | ნიგერია — ტუნისი |
| 25 | იანვარი | ლაგოსი | მაროკო — კონგო |
| 28 | იანვარი | ლაგოსი | ნიგერია — კონგო |
| 29 | იანვარი | ლაგოსი | ტუნისი — მაროკო |
| 3 | თებერვალი | ლაგოსი | ნიგერია — მაროკო |
| | | კანო | ტუნისი — კონგო |

**მეოთხედფინალი**

| | | |
|---|---|---|
| 6 თებერვალი | აკრა | A1 — B2 |
| | კუმასი | B1 — A2 |
| 7 თებერვალი | კანო | C1 — D2 |
| | ლაგოსი | D1 — C2 |

**ნახევარფინალი**

| | | |
|---|---|---|
| 10 თებერვალი | აკრა | A1/B2-B1/A2 |
| | ლაგოსი | C1/D2-D1/C2 |

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

12 თებერვალი აკრა

**ფინალი.** 13 თებერვალი ლაგოსი

# მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

**II ჯგუფი: ჰოლანდია, პორტუგალია, ირლანდია, კვიპროსი, ანდორა, ესტონეთი**

***2000 წელი***

| | |
|---|---|
| 16 აგვისტო | ესტონეთი — ანდორა |
| 2 სექტემბერი | ანდორა — კვიპროსი, ჰოლანდია — ირლანდია |
| 3 სექტემბერი | ესტონეთი — პორტუგალია |
| 7 ოქტომბერი | ანდორა — ესტონეთი, კვიპროსი — ჰოლანდია, პორტუგალია — ირლანდია |
| 11 ოქტომბერი | ირლანდია — ესტონეთი, ჰოლანდია — პორტუგალია |
| 15 ნოემბერი | კვიპროსი — ანდორა |

***2001 წელი***

| | |
|---|---|
| 14 თებერვალი | პორტუგალია — ანდორა |
| 24 მარტი | ანდორა — ჰოლანდია, კვიპროსი — ირლანდია |
| 28 მარტი | ანდორა — ირლანდია, კვიპროსი — ესტონეთი, პორტუგალია — ჰოლანდია |
| 25 აპრილი | ირლანდია — ანდორა, ჰოლანდია — კვიპროსი |
| 2 ივნისი | ესტონეთი — ჰოლანდია, ირლანდია — პორტუგალია |
| 6 ივნისი | ესტონეთი — ირლანდია, პორტუგალია — კვიპროსი |
| 15 აგვისტო | ესტონეთი — კვიპროსი |
| 1 სექტემბერი | ანდორა — პორტუგალია, ირლანდია — ჰოლანდია |
| 5 სექტემბერი | კვიპროსი — პორტუგალია, ჰოლანდია — ესტონეთი |
| 6 ოქტომბერი | ირლანდია — კვიპროსი, ჰოლანდია — ანდორა, პორტუგალია — ესტონეთი |

**IX ჯგუფი: გერმანია, ინგლისი, საბერძნეთი, ფინეთი, ალბანეთი**

***2000 წელი***

| | |
|---|---|
| 2 სექტემბერი | გერმანია — საბერძნეთი, ფინეთი — ალბანეთი |
| 7 ოქტომბერი | ინგლისი — გერმანია, საბერძნეთი — ფინეთი |
| 11 ოქტომბერი | ალბანეთი — საბერძნეთი, ფინეთი — ინგლისი |

***2001 წელი***

| | |
|---|---|
| 24 მარტი | გერმანია — ალბანეთი, ინგლისი — ფინეთი |
| 28 მარტი | ალბანეთი — ინგლისი, საბერძნეთი — გერმანია |
| 2 ივნისი | ფინეთი — გერმანია, საბერძნეთი — ალბანეთი |
| 6 ივნისი | ალბანეთი — გერმანია, საბერძნეთი — ინგლისი |
| 1 სექტემბერი | გერმანია — ინგლისი, ალბანეთი — ფინეთი |
| 5 სექტემბერი | ინგლისი — ალბანეთი, ფინეთი — საბერძნეთი |
| 6 ოქტომბერი | ინგლისი — საბერძნეთი, გერმანია — ფინეთი |

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მე-9 შესარჩევი ჯგუფის მონაწილე გუნდებმა ერთმანეთში გასამართი შეხვედრების კალენდარი შეათანხმეს. ჯგუფის უდავოდ ცენტრალური შეხვედრა ინგლისის და გერმანიის ნაკრებებს შორის მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს ინგლისში გაიმართება.

ალსანიშნავია, რომ ინგლისის ნაკრების მშობლიური არენა „უემბლი" ამ პერიოდისთვის უკვე დაკეტილი იქნება, რადგან ამ სარბიელს რეკონსტრუქცია ელის. ინგლისელთა თავკაცი კევინ კიგანი შეხვედრის ჩასატარებლად ადგილს ეძებს. კანდიდატურა საკმაოდ მრავლადაა: ლივერპულის — „ენფილდი", მანჩესტერის — „ოლდ ტრეფორდი", ბირმინგემის „ვილა პარკი", ლიდსის — „ელანდ როუდი", ნიუკასლის — „სენტ ჯეიმსიზ პარკი". არჩევანი ინგლისის ფეხბურთის ფედერაციაზეა.

გერმანიის ნაკრების თავკაცმა ერიხ რიბეკმა განაცხადა, რომ ახალი კალენდრით კმაყოფილია, რადგან ინგლისთან სტუმრად შეხვედრა ტურნირის საწყის ეტაპზე უწევს. მანამდე ისინი შინ საბერძნეთს უმასპინძლებენ. მთავარი მწვრთნელი იმედოვნებს, რომ მის შეგირდებს ბერძნების ძლევა არ გაუჭირდებათ და ინგლისს მაღალი ფსიქოლოგიური განწყობით ესტუმრებიან.

კიგანი, რომელიც გერმანულ ფეხბურთში საკმაოდ გათვითცნობიერებულია, თავიდანვე აცხადებს, რომ შესარჩევ ჯგუფში მათი მთავარი მეტოქე სწორედ გერმანია იქნება. შეგახსენებთ, რომ ერთხანს კიგანი ბუნდესლიგაში თამაშობდა და „ჰამბურგის" ღირსებას იცავდა.

„მიუხედავად ჯგუფში მონაწილე გუნდებისადმი დიდი პატივისცემისა, თავიდანვე ვაცხადებ, რომ ინგლისის ნაკრების მთავარი მეტოქე გერმანია იქნება" — ამბობს კიგანი.

## ესპანეთი

**თასის მერვედფინალი. I წრე**

**ორენსე 1:2 ბარსელონა**

0:1 ლუის ენრიკე (43), 0:2 დანი (51), 1:2 ოსკარ მარტინესი (60)

## მალტის ტურნირი

**მალტა 2:0 ყატარი**

1:0 კარაბოტი (393), 2:0 ბუზუტილი (48)

## სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი

**პარაგვაი 3:1 ბოლივია**

1:0 კუევასი (4), 2:0 რამირესი (27), 2:1 ლიმბერგი (29), 3:1 პარედესი (90)

**არგენტინა 1:1 პერუ**

0:1 პიზარო (8), 1:1 კუფრე (75)

**კოლუმბია 4:2 ეკვადორი**

1:0 ვივეროსი (6), 1:1 კანდელარიო (24), 2:1 კანდელო (31), 2:2 კავიედესი (38), 3:2 კანდელო (45), 4:2 კასტილიო (47)

**ბრაზილია 1:1 ჩილე**

1:0 ალექსი (63), 1:1 პიზარო (79)

# უძვირესი რივალდოს მყიდველი გამოუჩნდა

„სარბიელის" მკითხველს უკვე ვაუწყეთ, რომ ესპანეთის ჩემპიონ „ბარსელონას" პრეზიდენტმა, ხოსეპ ლუის ნუნიესმა ოფიციალურად განაცხადა, თუ რივალდოსა და ვან გაალს შორის კონფლიქტი არ მოგვარდება, ფეხბურთელს გავყიდითო.

ნუნიესის მოსაზრება გუშინ ოფიციალურად რივალდოს აგენტმა, ხოსეპ მანგელამაც დაადასტურა, რომელმაც ერთ-ერთ რადიოინტერვიუში თქვა, მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა უახლოეს მომავალში შესაძლოა, „ბარსელონა" მართლაც დატოვოს და რომელიმე წამყვან ევროპულ გუნდში გადაბარგდესო.

კატალონიური კლუბი რივალდოს საფასურად 40 მილიონ გირვანქას ითხოვს. პოტენციური მყიდველებიც უკვე გამოჩდნენ. ცნობილია, რომ ინგლისის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი" და იტალიის ვიცე-ჩემპიონი რომის „ლაციო" რივალდოს შეძენის სურვილს გამოთქვამენ და თანახმანი არიან, ფეხბურთელში აქამდე არნახული თანხა გადაიხადონ.

კატალონიურ ტელევიზია TV3 იუწყება, რომ მომავალ უქმეებზე რივალდოს აგენტი მინგელა, სამ ოფიციალურ პირთან ერთად რომს ეწვევა, სადაც „ლაციოს" პრეზიდენტ სერჯიო კრანიოტისთან შესაძლო ტრანსფერის პირობებს შეათანხმებს.

40 მილიონი გირვანქა დაახლოებით 64 მილიონი დოლარია, ამ თანხად კი ჯერ არც ერთი ფეხბურთელი არ შეფასებულა. თუ შეთანხმდნენ, რივალდო მსოფლიოსა და ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელობასთან ერთად მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელიც გახდება. შეგახსენებთ, რომ დღემდე ასეთი იტალიის ნაკრებისა და მილანის „ინტერის", ფორვარდი კრისტიან ვიერი გახლდათ, რომელიც სეზონის დასაწყისში 50 მილიონ დოლარად გაიყიდა.

GhanaNigeria2000

# აფრიკის თასი

განანიგერია-22იანვარი13თებერვალი

რამდენიმე საათიც და აფრიკის თასის გათამაშება დაიწყება. ტურნირში 16 გუნდი ჩაებმება. მათგან 12 „სარბიელმა“ უკვე წარმოგიდგინათ. დარჩენილ ოთხსაც დღეს გაგაცნობთ. რა იქნება შემდეგ? შემდეგ იქნება ფეხბურთი, გულშემატკივართა ყიჟინა, ნიჭიერი აფრიკელი ფეხბურთელების აღმოჩენის მომლოდინე ევროპელი სელექციონერები, კიდევ ბევრი რამ. ბოლოს კი რომელიმე გუნდის კაპიტანი თასს მაღლა ასწევს და შეჯიბრიც ისტორიის კუთვნილება გახდება. იქამდე კი:

## D ჯგუფი კონგო, მაროკო, ნიგერია, ტუნისი

### კონგო

ომმა კონგოელ ხალხს შორის საზღვარი გაავლო. აქეთ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკაა, იქით — უბრალოდ, კონგო. დემოკრატებიც და დანარჩენი კონგოელებიც აფრიკის თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე გავიდნენ. მადლობა ყველა აფრიკულ სალოცავს, ისინი წილისყრისას ერთ ჯგუფში არ მოხვდნენ. ყოფილ ზაირელებს რა უჭირთ, კონგოელებს კი ნამდვილად ერჩივნათ, სხვა ჯგუფში ყოფილიყვნენ. დანარჩენი სამივე D ჯგუფელი იმდენად ძლიერია, რომ კონგო იმთავითვე უდავო აუტსაიდერად მონათლეს. წილისყრის შემდეგ ცენტრალური აფრიკის ფეხბურთის ფედერაციის (ასეთი ორგანიზაციაც არსებობს) პრეზიდენტის, სილვესტრ ბონგოს ნათქვამი, მეოთხედფინალში გასვლის შანსი ყველა გუნდს აქვსო, ზრდილობის ნორმებისადმი ხარკის მოხდას უფრო ჰგავს. არა, წარმატებისთვის კონგოელებსაც მიუღწევიათ. 1972 წელს ისინი ჩემპიონები იყვნენ, მაგრამ მათი კარგი თამაში იმდენად იშვიათი რამ არის, კონგოს სერიოზულ ძალად არ აღიქვამენ. პოპულარული კონგოელი სპორტული ჟურნალისტი სალომონ პანგუ ამბობს, ჯგუფიდან გასვლის არცთუ დიდი შანსი გვაქვს, მაგრამ კონგოურ ფეხბურთს ფინალურ ეტაპზე მოხვედრაც ბევრს შესძენსო.

რით შეუძლიათ იამაყონ დღეს კონგოელებმა? საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მათ ძლიერი მეტოქე — სამხრეთ აფრიკა დაამარცხეს. ეს არის და ეს. უკანასკნელ ათ წელიწადში ეს მათი ერთადერთი მნიშვნელოვანი გამარჯვებაა.

ნაკრების მწვრთნელი დევიდ მემი იმედებს რამდენიმე ფეხბურთელზე ამყარებს. ესენი არიან: მახამბეს იუნგა-მუჰანი კიოლნის „ფორტუნადან“, როლფ გუიე მიენი „აინტრახტიდან“ და რიშარ ბოკტოლა, რომელიც „კარლსრუეში“ თამაშობს. გუნდის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი წევრი კი მეკარე ბრის სამბაა. აგერ მეათე წელია, ის ნაკრების ღირსებას იცავს და შარშან კოტდივუარულ „აფრიკა სპორტსთან“ ერთად კონტინენტის თასების მფლობელთა თასსაც დაეუფლა.

დაბოლოს, კონგოელები თავიანთ ნაკრებს „წითელ ეშმაკუნებს“ უწოდებენ. ამ მეტსახელის მქონე ორიოდე ევროპული კლუბი თუ ნაკრებიც ვიცით. აფრიკელი ეშმაკები ჩრდილოელებს დიდად ჩამორჩებიან კლასით.

### მაროკო

D ჯგუფი რომ მართლაც უძლიერესია, ეს ფაქტიც მოწმობს — აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის მონაცემებით, მაროკო კლასიფიკაციაში პირველია. ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე მაროკოელთა არცთუ ურიგო თამაშიც მათ სიძლიერეზე მიგვანიშნებს. „ატლასის ლომების“ ფრანგი თავკაცი ანრი მიშელი ამბობს: „ნიგერიას და ტუნისს უძლიერესი გუნდები ჰყავთ. არც კონგოელები არიან ხელწამოსაკრავნი. სამწუხაროა, რომ შემდეგ ეტაპზე მხოლოდ ორი ქვეყანა გადის. მეოთხედფინალში აუცილებლად გავაღწევთ. ვფიქრობ, ბედი ამჯერად არ გვიმუხთლებს და იქ უფრო სუსტი მეტოქე გვეყოლება“.

„ატლასის ლომებს“ აფრიკის თასის წინა გათამაშება მწარედ ახსოვთ. ფავორიტად შერაცხულებმა ჯგუფი ადვილად გაიარეს, მეოთხედფინალში კი სამხრეთაფრიკელებს დაუპირისპირდნენ და წააგეს. იმავე წელს საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე მაროკოელები ჯგუფში ჩარჩნენ, თუმცა საფეხბურთო სამყარო აალაპარაკეს. შოტლანდიასთან ბრწყინვალედ მოგებული მატჩის შემდეგ აფრიკელთა ბედი ბრაზილიელთ ჩაუვარდათ ხელში. მსოფლიოს ჩემპიონებმა ნორვეგიელებთან მატჩში ერთობ საეჭვო პენალტი „აიკიდეს“ და მაროკოელებს შინ დასაბრუნებელი ბილეთების ყიდვა მოუხდათ.

ზემოთ ვთქვით, აფრიკული კლასიფიკაციით მაროკო კონტინენტზე უძლიერესია. ფიფაც ამ აზრს იზიარებს. ფიფა-კოკა კოლას ვერსიითაც მაროკო აფრიკელთაგან საუკეთესოა.

ზემოთქმულის ფონზე „ატლასის ლომები“ ჯილდოთა სიმრავლით არ გამოირჩევიან. 1976 წელს ეთიოპიაში მოგებული აფრიკის თასი მათ ისტორიაში ერთადერთია.

ბურკინა ფასოში განცდილი მარცხის შემდეგ ანრი მიშელს შორს მიმავალი მიზანი დაუსახავს. გამოცდილ ფეხბურთელთა მხარდამხარ ის ახალგაზრდებსაც ათამაშებს. მაროკოული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი ადილ რამზი ჰოლანდიური „ტილბურგის“ ღირსებას იცავს და ჩემპიონთა ლიგაშიც უთამაშია. ვეტერანებიდან მცველ ნაიბეტს, გამთამაშებელ მუსტაფა ჰაჯის და ნაკრების ბომბარდირ სალაჰედინ ბასირს გამოარჩევენ.

### ნიგერია

უკვე რამდენიმე გუნდზე ვთქვით, ფავორიტები არიანო. აფრიკული ფეხბურთის სპეციალისტები [illegible] რიის ნაკრები მათ შორის [illegible] აო. ის, რომ ნიგერიელები ტურნირის თანამასპინძლები არიან, მთავარი არგუმენტი სულაც არ არის — იქაურ ფეხბურთს სულ სხვა ძალა აქვს.

ნიგერიელებმა აფრიკის თასი ბოლოს 1994 წელს მოიგეს, რაც თასის გათამაშების შემდეგი ფინალური ეტაპის საგზურის ავტომატურად მოპოვებას ნიშნავდა. თუმცა 1996 წელს სამხრეთ აფრიკაში და კიდევ ორი წლის შემდეგ ბურკინა ფასოში ისინი არ გამოჩენილან. თუ პოლიტიკური სიტუაციის შეცვლამ სამხრეთ აფრიკა საფეხბურთო ოჯახს დაუბრუნა, ნიგერია პირიქით, მოკვეთა. ქვეყნის მაშინდელმა სამხედრო ხელისუფლებამ რეპრესიები მოაწყო და ადამიანის უფლებების დარღვევაში მხილებულ ნიგერიას აფრიკის თასზე მონაწილეობაზე უარი უთხრეს. აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციისგან განსხვავებით, სხვა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებს ნიგერიის წინააღმდეგ სანქციები არ მიუღიათ. 1996 წელს ნიგერიელმა ფეხბურთელებმა ატლანტის ოლიმპიადის ოქრო მოიპოვეს, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი „სიკვდილის ჯგუფიდან“ ადვილად გააღწიეს (საინტერესოა, რომ ნიგერია საფრანგეთშიც D ჯგუფში იყო განთესილი). ამიტომაც ნიგერიული ფეხბურთის თაყვანისმცემლები ამბობენ, სამხრეთაფრიკელები და ეგვიპტელები ვერაფერს მოიგებდნენ, ნიგერია რომ ყოფილიყო.

ნაკრების ახლად დანიშნულმა მწვრთნელმა ჯო ბონფრერემ რიგი მიზეზების გამო გრძელვადიანი მოსამზადებელი შეკრების ჩატარება ვერ შეძლო. ეს უპირველესად ნაკრებში ვარსკვლავთა სიმრავლითაა განპირობებული. ნიგერიელ ფეხბურთელთა სოლიდური ნაწილი ევროპის წამყვან კლუბებში თამაშობს და მათი გამოძახება ყოველთვის დიდი პრობლემაა. თუმცა ნიგერიელთა გაჩემპიონების შანსს ეს ფაქტი არ ამცირებს.

ნიგერიელთა წამყვან ფეხბურთელებზე დეტალურად საუბარი ვფიქრობთ, ზედმეტია. კანუ, ოკოჩა, ოლისე, ბაბანგიდა, ამუნიკე, ვესტი — მათზე იმდენი ითქვა და დაიწერა, ახალს ვერაფერს ვიტყვით.

### ტუნისი

. ტუნისი აფრიკაში ძლიერ საფეხბურთო ქვეყნად ითვლება, ფეხბურთის მოყვარულებმა ეს იციან. საოცარია, რომ ტუნისელებს კონტინენტის პირველობა არასდროს მოუგიათ, და სხვა ფავორიტებისგანაც ამით გამოირჩევიან. ტუნისის ნაკრებს ერთი თავისებურებაც ახასიათებს. თუ ნიგერიელი, სამხრეთაფრიკელი ანაც სხვა წამყვანი აფრიკული ქვეყნების ფეხბურთელები ძირითადად ევროპაში არიან გაბნეულნი, ტუნისელები შინ თამაშს ამჯობინებენ. ამის საბაბიც აქვთ. ტუნისური კლუბები კონტინენტზე უძლიერესნი არიან. მაგალითისთვის, შარშან ტუნისელებმა სამივე აფროტურნირის ფინალში ითამაშეს. ნაკრების მწვრთნელი ფრანჩესკო სკოლიო, რომელსაც მშობლიურ იტალიაში „პროფესორს“ უწოდებენ, ამბობს, „სიკვდილის ჯგუფიდან“ თუ გავედით, თასსაც უცილობლად დავეპატრონებითო. „ვფიქრობ, ნიგერია, მაროკო, განა და ტუნისი უდავო ფავორიტები არიან. მათ შანსებს თანაბრად ვაფასებ. პირველი მატჩი ნიგერიის წინააღმდეგ ურთულესი იქნება. გამარჯვების შემთხვევაში წინ ვერავინ გადაგვეღობება“ — ესეც სკოლიოს სიტყვებია.

ზემოთ ტუნისური კლუბები ვახსენეთ. „ეტოილ საჰელმა“ კონფედერაციის თასი მოიგო. „აფრიკანი“ თასების მფლობელთა თასის (მადლობა ღმერთს, აფრიკაში მაინც შემორჩენილა) ფინალში დამარცხდა, ხოლო „ესპერანსმა“ მსოფლიოს პირველ საკლუბო ჩემპიონატზე თამაშის პატივი მაროკოულ „რაჯა კასაბლანკას“ დაუთმო. ამ კლუბების ხსენება კი იმიტომ დაგვჭირდა, რომ ესენი ნაკრების საბაზო გუნდებია. სკოლიომ რამდენიმე ლეგიონერიც მიიწვია. თავდამსხმელი ადელ სელიმი და ნახევარმცველი ზუბეირ ბაია ფრაიბურგელები არიან, მუნირ ბუკადიდა კი „ვალდჰოფში“ თამაშობს.

აფრიკის თასზე ტუნისელთა საუკეთესო შედეგი 1996 წელს ფინალში გასვლაა. ორი წლის წინ კი ბურკინა ფასოში ისინი მასპინძლებმა მეოთხედფინალიდან პენალტებით გამოთიშეს.

**გიორგი დარჯანია**

### კონგო

აფრიკის კონფედერაციის წევრი: 1962 წლიდან; აფრიკის თასზე მონაწილეობდა (5): 1968, 72, 74, 78, 92; ჩემპიონი (1): 1972; ფინალისტი (1): 1980; სულ ფინალურ ეტაპზე: 19 თამაში, 5 მოგება, 5 ფრე, 9 წაგება, 21:32 ბურთები

| | | | |
|---|---|---|---|
| **მკარეები:** | | | |
| 1. | ბრის სამბა | 28 | აფრიკა სპორტსი, კოტ დივუარი |
| 16. | ტიერი ეტუაო | 22 | ASEC აბიჯანი, კოტ დივუარი |
| 22. | ბარელ მუკო | 20 | მანჩესტერი |
| **მცველები:** | | | |
| 3. | ლუკ-არსენ დიამესო | 25 | BV კლოპენბურგი, გერმანია |
| 5. | კამილ ოპანგა | 21 | რედ სტარი, საფრანგეთი |
| 10. | ელიე-როკ მალონგა | 24 | BV კლოპენბურგი, გერმანია |
| 13. | მორის ნტუნუ | 27 | პასი სარ იორი, საფრანგეთი |
| 15. | ტუსან სერვივსი | 25 | ეტოილ დუ კონგო |
| 18. | ლუსიენ ფილზ იბარა | 25 | ბურეოლჟაუზენი, გერმანია |
| 21. | ჟუს ტჩიმბაკალა | 28 | ლე მანი, საფრანგეთი |
| **ნახევარმცველები:** | | | |
| 2. | ანისე ბიტუმბუ | 19 | ეტოილ დუ კონგო |
| 4. | ჟან-სილვესტრ ნკოა | 20 | აფრიკა სპორტსი, კოტ დივუარი |
| 6. | ბადელ მოიმბუაბეკა | 22 | 105 ლიბრევილი, გაბონი |
| 7. | რიშარ ბოკტოლა-ლოსომბო | 21 | კარლსრუე, გერმანია |
| 8. | როკ სიმპლის ემბინგუ | 31 | VFL ჰალე 96, გერმანია |
| 14. | როლფ-კრისტელ გუიე მიენი | 22 | აინტრახტი, გერმანია |
| 17. | მოდესტ ეტა | 18 | TP მისტერე |
| **თავდამსხმელები:** | | | |
| 9. | რიშარ აკიანა | 30 | რედ სტარი, საფრანგეთი |
| 11. | ოსკარ ევოლო | 21 | ამიენი, საფრანგეთი |
| 12. | მახამბეს იუნგა-მუჰანი | 25 | ფორტუნა, კიოლნი, გერმანია |
| 19. | ჯორჯ ნანიტელამო ნგომა | 21 | საბე, კოტ დივუარი |
| 20. | ფრანსის მაკაია | 24 | VFR აალენი, გერმანია |

*მწვრთნელი: დევიდ მემი*

### ნიგერია

აფრიკის კონფედერაციის წევრი: 1959 წლიდან; აფრიკის თასზე მონაწილეობდა (6): 1965, 68, 86, 90, 92, 94; ჩემპიონი (2): 1980, 94; ფინალისტი (3): 1984, 88, 90; სულ ფინალურ ეტაპზე: 46 თამაში, 22 მოგება, 12 ფრე, 12 წაგება, 68:55 ბურთები

| | | | |
|---|---|---|---|
| **მკარეები:** | | | |
| 1. | იკე შორუნმუ | 32 | ბეშიქთაში, თურქეთი |
| 12. | ნდუბიუსი ეგბო | 26 | ალ მასრი, ეგვიპტე |
| 22. | მერფი აკანჯი | 22 | ჯულიუს ბერგერი |
| **მცველები:** | | | |
| 2. | გბენგა ოკუნოვო | 20 | ბენფიკა, პორტუგალია |
| 3. | სელესტინ ბაბაიარო | 21 | ჩელსი, ინგლისი |
| 5. | ფურო იენემი | 23 | სიონი, შვეიცარია |
| 6. | ტარიბო ვესტი | 25 | მილანი, იტალია |
| 15. | სანდი ოლისე | 25 | იუვენტუსი, იტალია |
| 16. | ეფეტობორე სოდჯე | 27 | ლუთონი, ინგლისი |
| 21. | გოდვინ ოკპარა | 27 | პსჟ, საფრანგეთი |
| **ნახევარმცველები:** | | | |
| 7. | ჯორჯ ფინიდი | 28 | ბეტისი, ესპანეთი |
| 8. | მუტიუ ადეპოჟუ | 29 | სოსიედადი, ესპანეთი |
| 10. | აუგუსტინ „ჯეი-ჯეი“ ოკოჩა | 26 | პსჟ, საფრანგეთი |
| 11. | გარბა ლავალი | 25 | როდა, ჰოლანდია |
| 13. | ტიჯანი ბაბანგიდა | 26 | აიაქსი, ჰოლანდია |
| 20. | ვიქტორ იკპება | 26 | ბორუსია, დორტმუნდი, გერმანია |
| **თავდამსხმელები:** | | | |
| 4. | ნვანკვო კანუ | 23 | არსენალი, ინგლისი |
| 9. | ჯონათან აკპობორი | 31 | ვოლფსბურგი, გერმანია |
| 14. | ემანუელ ამუნიკე | 29 | ბარსელონა, ესპანეთი |
| 17. | ჯულიუს აგაოვა | 18 | ესპერანსი, ტუნისი |
| 18. | რაფაელ ჩუკვუ | 24 | ბარი, იტალია |
| 19. | ბენედიქტ აკვუეგბუ | 25 | გრაცერი, ავსტრია |

*მწვრთნელი: ჯო ბონფრერე*

### მაროკო

აფრიკის კონფედერაციის წევრი: 1960 წლიდან; აფრიკის თასზე მონაწილეობდა (6): 1965, 68, 86, 90, 92, 94; ჩემპიონი (1): 1976; ფინალისტი: არ ყოფილა; სულ ფინალურ ეტაპზე: 33 თამაში, 12 მოგება, 13 ფრე, 8 წაგება, 34:28 ბურთები

| | | | |
|---|---|---|---|
| **მკარეები:** | | | |
| 1. | მუსტაფა ჩადილი | 26 | რაჯა კასაბლანკა |
| 12. | ხალიდ ფუამი | 27 | დინამო, ბუქარესტი, რუმინეთი |
| 22. | აბდერაფი გაზი | 27 | როიალ არმედ ფორკესი |
| **მცველები:** | | | |
| 2. | აბდელლილახ საბერი | 25 | სპორტინგი, პორტუგალია |
| 3. | აბდელკრიმ ელ ჰადრიუ | 27 | ალკმარი, ჰოლანდია |
| 4. | აბდელლილახ ფამი | 26 | ლილი, საფრანგეთი |
| 5. | რაშიდ ნექროიზი | 27 | ბარი, იტალია |
| 6. | ნურედინ ნაიბეტი | 29 | დეპორტივო, ესპანეთი |
| 15. | ლაკენ აბრამი | 30 | გენჩლერბირლიგი, თურქეთი |
| 20. | ტაჰერ ელ ხალეჯი | 31 | ბენფიკა, პორტუგალია |
| **ნახევარმცველები:** | | | |
| 7. | მუსტაფა ჰაჯი | 28 | ქოვენთრი, ინგლისი |
| 8. | საიდ ჩიბა | 29 | ნანსი, საფრანგეთი |
| 10. | ადილ რამზი | 22 | ტილბურგი, ჰოლანდია |
| 11. | ჰასან კაჩლული | 26 | საუთჰემპტონი, ინგლისი |
| 16. | იუსუფ მარიანა | 25 | კავკაბ მარაკეში |
| 17. | მოჰამედ ალ ბადარუ | 28 | ბურსასფორი, თურქეთი |
| 18. | იუსუფ ჩიპო | 26 | ქოვენთრი, ინგლისი |
| 21. | რაშიდ ბენმაჰმუდი | 28 | ალ აჰლი, ემირატები |
| **თავდამსხმელები:** | | | |
| 9. | აბდელჯილილ ჰადა | 27 | სპორტინგი, ხიხონი, პორტუგალია |
| 13. | აჰმედ ბაჰჯა | 29 | ალ ნასრი, საუდეთი |
| 14. | სალაჰედინ ბასირი | 27 | დეპორტივო, ესპანეთი |
| 19. | ჯემალ სელამი | 29 | ბეშიქთაში, თურქეთი |

*მწვრთნელი: ანრი მიშელი*

### ტუნისი

აფრიკის კონფედერაციის წევრი: 1960 წლიდან; აფრიკის თასზე მონაწილეობდა (8): 1962, 63, 65, 78, 82, 94, 96, 98; ჩემპიონი: არ ყოფილა; ფინალისტი (2): 1965, 96; სულ ფინალურ ეტაპზე: 27 თამაში, 7 მოგება, 9 ფრე, 11 წაგება, 36:38 ბურთები

| | | | |
|---|---|---|---|
| **მკარეები:** | | | |
| 1. | ჩოკრი ელ ქუარი | 35 | ესპერანსი |
| 16. | რადვან სალჰი | 32 | ეტოილ საჰელი |
| 22. | ნასერ ბედუი | 35 | CS სფაქსიენი |
| **მცველები:** | | | |
| 2. | ხალედ ბადრა | 26 | ესპერანსი |
| 3. | სამი ტრაბელსი | 31 | CS სფაქსიენი |
| 4. | მუნირ ბუკადიდა | 32 | ვალდჰოფი, გერმანია |
| 5. | ჰატემ ტრაბელსი | 22 | CS სფაქსიენი |
| 15. | რადი ჯაიდი | 24 | ესპერანსი |
| 17. | ტარეკ ტაბეტი | 28 | ესპერანსი |
| **ნახევარმცველები:** | | | |
| 6. | ბექირ მოგაადი | 21 | ეტოილ საჰელი |
| 7. | იმედ მედჰები | 23 | ეტოილ საჰელი |
| 8. | ზუბეირ ბაია | 28 | ფრაიბურგი, გერმანია |
| 10. | კაის გუდბანე | 24 | ეტოილ საჰელი |
| 12. | რაუფ ბუზეინი | 29 | კლუბ აფრიკანი |
| 13. | რიად ბუაზისი | 26 | ეტოილ საჰელი |
| 14. | სირაჯედინ ჩიჩი | 29 | ესპერანსი |
| 19. | ჰასან გაბსი | 25 | ესპერანსი |
| **თავდამსხმელები** | | | |
| 9. | ალი ზიტუნი | 19 | ესპერანსი |
| 11. | ადელ სელიმი | 27 | ფრაიბურგი, გერმანია |
| 18. | მაჰერ კანზარი | 26 | ესპერანსი |
| 20. | ზაიედ ჯაზირი | 21 | ეტოილ საჰელი |
| 21. | ვალიდ აზაიეზი | 23 | ესპერანსი |

*მწვრთნელი: ფრანჩესკო სკოლიო*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიკვდილის კოცნა



ანა კურნიკოვა

**როდესაც** ორიოდ დღის წინ პიტ სამპრასს ჰკითხეს, ანდრე აგასისთან ნახევარფინალში გარდაუვალ შეხვედრაზე რას იტყვითო, ამერიკელმა პასუხის გაცემა იუარა — ასე წინ გახედვა არ შეიძლება, ეს სიკვდილის კოცნის ტოლფასიაო.

მაშინ უიმბლდონის ექვსგზის ჩემპიონი, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა, თუ რა ახლოს აღმოჩნდებოდა კოცნის ამ ყველაზე უსიამოვნო სახეობასთან თავის მომდევნო შეხვედრაში, კლასიფიკაციით 151-ე ზიმბაბველ უეინ ბლექთან.

ბლექების საძმოს უმცროსი წარმომადგენელი ორი სეტის მანძილზე მიზანმიმართულად და ენერგიის ზედმეტი ხარჯვის გარეშე ანადგურებდა მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს და ცოტა მეტი თავდაჯერება რომ ჰქონოდა, ვინძლო ტურნირის უდიდესი სენსაციაც დაბადებულიყო.

„უეინი ჭკვიანურად თამაშობდა. ძნელი სათქმელი იყო, მომდევნო წუთს რას მოიმოქმედებდა, ბევრს მარბენინებდა და მოულოდნელად ბადესთანაც გამოდიოდა. მე კი სამიზნე ვერაფრით გავისწორე. როცა არაფერი გამოგდის, ბუნებრივია, მოგება ძალიან გაგიჭირდება“ — აღნიშნა მოგვიანებით სამპრასმა.

„პისტოლ პიტი“ თითქმის მთელი მატჩის მანძილზე მართლაც ძნელი საცნობი იყო: თავის მძლავრ ფორჰენდს მუდმივად აცილებდა, ბადესთან გასულს ბურთის მეორე მხარეს გადაგდება უჭირდა და, რაც მთავარია, ორიენტაციის გრძნობაც დაკარგული ჰქონდა — რამდენჯერმე მეტოქის დარტყმული შეცდომით გაატარა, კორტის გარეთ გადადისო, ერთი ორჯერ კი პირიქით, აშკარად აცილებული ბურთები მოაბრუნა უკან.

მესამე ხელის დასაწყისში, 1:1-ზე ბლექს ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, ერთი ქულაც და მის ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფდა, მაგრამ, როგორც არაერთხელ წარმატებული კარიერის განმავლობაში, სამპრასს მშველელად მძლავრი მოწოდება მოევლინა — ორი ეისი.

„ვიცოდი, რომ წინ მძიმე სამუშაო მელოდა. მთავარი იყო, ხავსს მოვჭიდებოდი, ცოტა ხანს გამეძლო. ძალიან გამიმართლა, რომ არ წავაგე, ჩემმა მოწოდებამ გადამარჩინა“.

მართლაც, ბოლო სამ სეტში პიტს 25 ეისი დაუგროვდა. ამასთან, მან თამაშის ტაქტიკაც შეცვალა: რაკი რისკიან და აგრესიულ დარტყმებს ხშირად აცილებდა, ამერიკელმა თამაშის ტემპი დააგდო, მოჭრილ და უსაფრთხო ბექჰენდზე გადაერთო და მეტოქე აიძულა, შეცდომები დაეშვა.

თანდათან თამაში გათანაბრდა, მერე გამარჯვების პირას აღმოჩენით განერვიულებულმა ბლექმაც (მეოთხე სეტში სულ ერთი გეიმის მოგებაღა სჭირდებოდა) აურია და ორი საათისა და 50 წუთის შემდეგ სამპრასმა მერვედფინალის საგზურიც დაიბევა 6:7 (9:11), 3:6, 6:3, 7:5, 6:3.

პიტმა კარიერაში მეხუთედ მოახერხა ორი სეტით ჩამორჩენის შემდეგ მატჩის მოგება, ავსტრალიაში კი უკვე რვავე ხუთ ხელად გაწელილ შეხვედრაში იმარჯვა: „რა თქმა უნდა, სასიამოვნოა ასეთი შედეგები, მაგრამ ამას მირჩევნია, ცოტა იოლად მოვიგო ხოლმე. ამ საფართან შეგუება ძალიან ძნელია. 1997-ში, მოიასთან ფინალში, გეგონებოდა, თიხნარზე თამაშობდი, ახლა კი კორტები მინისას ჰგავს. პირობები უიმბლდონზე უფრო სწრაფია, 36 ეისი ჩემი რეკორდია, ამდენი იქაც კი არასოდეს მომიწოდებია“.

ვერშემდგარი ტრიუმფატორი კი იხტიბარს არ იტეხდა: „რა მეთქმის, ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს ორი სეტით ვუგებდი, ეს მატჩი შესანიშნავად ჩავატარე, ამან კი იმის რწმენა მომცა, რომ ნებისმიერის დამარცხება შემიძლია. იმედგაცრუებული არ ვარ, 100 პროცენტით დავიხარჯე დაბედნიერი ვარ“ — განაცხადა უმცროსმა ბლექმა.

სამაგიეროდ, გაცილებით ხალისიანად ჩაიარა კაცებში კიდევ ერთი ფავორიტის — მარკ ფილიპუსისის შეხვედრამ თანამემამულე ენდრიუ ილისთან.

რუმინელი წარმოშობის ილი (ან თუ გნებავთ, ილიე) ჩოგბურთის შოუმენია. მას უყვარს მაყურებლების გართობა ათასგვარი გამოხტომებით, უცნაური მანჭვით, ღრიალით და სპორტში ერთი სიახლეც კი დაამკვიდრა — გამარჯვების ნიშნად მაისურის ტანზე შემოხევა.

ილიმ თავი ამჯერადაც გამოიჩინა: მეორე სეტში მოწოდების მიღებაზე მდგარმა მოულოდნელად როკ-ენ-როლის ცეკვა წამოიწყო ჩაკ ბერის სტილში. თუმცა გასახარი დაბალ ავსტრალიელის მატჩში ბევრი არაფერი ჰქონდა. „სკადი“ მონოტონურად აგრძელებდა მეტოქის ბომბვას ყუმბარისებული დარტყმა-მოწოდებებით, თანამემამულისთვის ერთი ბრეიკ-პოინტიც კი არ დაუნებებია და საბოლოოდ 6:4, 7:6 (7:4), 6:1 მოიგო.

მატჩის შემდეგ ფილიპუსისი მეტოქის ნაცვლად მაისურის შემოხევასაც აპირებდა და ორივე ხელი კისრისკენაც წაიღო, მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრა: „შემეშინდა, ვაითუ, ბოლომდე ვერ გავხიო, აქეთ-იქით ჩამომეკიდოს და ამდენ ხალხში შევრცხვე-მეთქი. ისე, ძალიან გამიხარდა, რომ მთელ მატჩში ყურადღება არ გამფანტვია და სულ უფრო ვუმატე თამაშს“.

თავის მხრივ, ილიმ ლამის ბოდიში მოუხადა მაყურებლ[illegible]ს, რომ უკეთესი სანახაობა ვერ შესთავა[illegible]ა: „თუ ვინმე ელოდა, რომ სუპერმენის სამოსელს მოვირგებდი და კორტის ირგვლივ ფრენას დავიწყებდი, იმედგაცრუებული დარჩებოდა, რადგან სუპერმენი ნამდვილად არ ვიყავი. მაგრამ რაც შემეძლო, ის გავაკეთე“.

ასპარეზობის მეხუთე დღეს მოულოდნელობა არც ქალებს შორის მომხდარა. განთესილთაგან მომდევნო წრეში გასვლა მხოლოდ ანა კურნიკოვას (11) გაუჭირდა.

ტანად დაბალი, მაგრამ კაცივით ჯანიანი ფორჰენდის პატრონი ჩეხი კვეტა ჰრდლიჩკოვა რუსს კარგა ხანს გაუძალიანდა, ერთი სეტიც მოუგო და წვიმით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენება რომ არა, შეიძლება ბოლომდე მიეყვანა საქმე.

კორტზე მობრუნების შემდეგ დაწყნარებულმა კურნიკოვამ შეცდომებს უკლო, მეტოქეს სისუსტეები გამოუნახა და თავისი მრავალრიცხოვანი ქომაგების გასახარად მერვედფინალშიც გავიდა 2:6, 6:3, 6:4.

ახლა რუსს გაცილებით სერიოზული გამოცდა ელის მსოფლიოს მეორე ჩოგნის, ლინდსი დევენპორტის სახით: „მიყვარს ლინდსისთან თამაში, წარსულში ბევრი კარგი მატჩი გვქონდა. დარწმუნებული ვარ, მძიმე შეხვედრა მელის, მაგრამ დანებებას არ ვაპირებ“.

კაცები. მესამე წრე: **ანდრე აგასი** (1, აშშ) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:4, 6:4, 6:2; **ტიმ ჰენმანი** (11, ინგლისი) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 6:1, 6:4, 4:6, 7:6 (8:6); **კრის ვუდრაფი** (აშშ) — რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) 6:1, 6:4, 7:6 (8:6); **ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 6:4, 6:4, 6:3; **ჰიშამ არაზი** (მაროკო) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:3, 6:3, 6:2; **სლავა დოსედელი** (ჩეხეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 7:5, 6:2, 6:3.

ქალები. მესამე წრე: **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:0, 6:1; **ჟული ალარი** (9, საფრანგეთი) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 3:6, 6:4, 6:2; **მარი პირსი** (4, საფრანგეთი) — მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 6:2, 6:4; **ჯენიფერ კაპრიატი** (აშშ) — ჟიან-ქიან უი (ჩინეთი) 6:4, 6:4; **პატი შნიდერი** (შვეიცარია) — ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) 7:6 (8:6), 4:6, 6:2; **აი სუგიამა** (იაპონია) — ასა კარლსონი (შვედეთი) 6:4, 4:6, 6:3.

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS მელბურნიდან

მარკ ფილიპუსისი: გამარჯვებულს სახეზე ეტყობა

## სხვადასხვა



ჯენიფერ კაპრიატის უხერხული ტრავმა

**ყოფილმა** ვუნდერკინდმა ჯენიფერ კაპრიატიმ გუშინ რამდენიმე სეზონის მანძილზე პირველად გააღწია ავსტრალიის ღია პირველობის მერვედფინალში და ეს მაინცდამაინც არ გასჭირვებია, სამაგიეროდ, მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე გაცილებით უსიამოვნო დრო გაატარა — კითხვები ხომ მეტწილად მის უკანალს შეეხებოდა.

23 წლის ჩაფსკვნილმა ამერიკელმა მესამე წრეში ჩინელი ჟინგ ქიან უი დაამარცხა ორ სეტში, თანაც საკმაოდ იოლად, მაგრამ მატჩის დროს სხეულის ზემოხსენებულ ნაწილში ექიმის ხანგრძლივი მასაჟი დასჭირდა.

„უბრალოდ, ზუსტად ამ არეში ოდნავ დაჭიმულობას ვგრძნობდი“ — აუხსნა კაპრიატიმ ჟურნალისტებს — „ყოველი შემთხვევისთვის, მსურდა დავრწმუნებულიყავი, რომ სერიოზული არაფერი მჭირდა“.

არა, ტრავმა, საბედნიეროდ, სერიოზული არ აღმოჩნდა, მაგრამ ამას ჟურნალისტებს ცნობისმოყვარეობა არა თუ გაუნელა, არამედ კიდევ უფრო გაუღვივა.

„გლუტეოს მაქსიმუს“ — აუღელვებლად დააზუსტა როლან გაროსისა და უიმბლდონის ყოფილმა ნახევარფინალისტმა და ღიმილით დაუმატა — „ეს სამედიცინო ტერმინოლოგიით, ადამიანურ ენაზე კი, დაჭიმული უკანალი“.

* * *

**საკმარისია,** ანა კურნიკოვა საზოგადოებაში რომელიმე მამაკაცი სპორტსმენის გვერდით გამოჩნდეს, რომ პრესა მაშინვე ახალი რომანის შესახებ ალაპარაკდება. ასე მიაწერეს თავის დროზე 18 წლის რუსს ურთიერთობები ფეხბურთელ რონანდოსთან, ჩოგბურთელ ნიკოლ ლაპენტისთან, ჰოკეისტ პაველ ბურესთან, რომ აღარაფერი ვთქვათ „დეტროიტ რედ უინგზის“ ვარსკვლავ სერგეი ფიოდოროვზე.

ავსტრალიის ღია პირველობაზე კურნიკოვას ახალი ბოიფრენდი შეუწყვილეს — გოლიათი ოზი მარკ ფილიპუსისი. იქაურ ყვითელ პრესაში გუშინ ცნობაც კი გაჩნდა, „მელბურნპარკის“ მანქანის სადგომზე ერთმანეთს ჩახვეული წყვილი უხილავთო.

მელბურნულმა გაზეთმა „სანდო, მაგრამ დაუსახელებელ წყაროზე“ დაყრდნობით განაცხადა, რომ კურნიკოვა და ფილიპუსისი „ერთმანეთს ვნებიანად ეხვეოდნენ და კოცნიდნენ“ „სკადის“ შავი სპორტულ „პორშეს“ სიახლოვეს.

ცხადია, ჩოგბურთელები ამ ამბავს პრესკონფერენციაზე გამოუხმაურებლად ვერ დატოვებდნენ. პარასკევს თავისი მატჩი პირველმა კურნიკოვამ დაასრულა, რომელსაც თავიდან ერთი-ორი საჩოგბურთო კითხვა დაუსვეს, მერე კი იმ თემაზე გადავიდნენ, რაც ყველას ძალიან აინტერესებდა.

„ჩვენ უბრალოდ მეგობრები ვართ — თავდაცვის ყველაზე გავრცელებული ხერხი აირჩია კურნიკოვამ —მე მას ფლორიდიდან კარგა ხანია, ვიცნობ, ყმაწვილობაში ერთად ვთამაშობდით“.

„ესე იგი თქვენ რომანზე ტყუილად ლაპარაკობენ?“ — გაგრძელდა დაკითხვა.

„თქვენთვის სათქმელი არაფერი მაქვს“ — თქვა კურნიკოვამ და ყურგამახვილებული ჟურნალისტები მათი ფანტაზიების ამარა დატოვა — „მე არაფერს ვამბობ, არ მსურს პირად ცხოვრებაზე საუბარი“.

ქერა რუსმა ისიც მშვიდად განმარტა, თუ რატომ ესწრება მელბურნში ფილიპუსისის მატჩებს: „ჩემმა მწვრთნელმა მირჩია, კაცების შეხვედრებისთვის მედევნებინა თვალყური და მათგან ტექნიკური ელემენტები გადმომეღო“.

რატომ მაინცდამაინც ფილიპუსისისგანაა სწავლა საჭირო და არა, ვთქვათ, აგასისგან ან სამპრასისგან ძნელი სათქმელია, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ჩოგბურთელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი სატრფო ოკეანის მეორე მხარეს იმყოფებოდა.

უარყო გავრცელებული ხმები ფილიპუსისმაც: „ის უბრალოდ ჩემი მეგობარია, დიდი ხანია ვიცნობ და სულ ეს არის. ასეთ ჭორებს ყურადღება არც უნდა მიაქციო კაცმა, გაიცინებ და მორჩა“.

* * *

**გორან ივანიშევიჩი** დაძაბული სატურნირო ატმოსფეროდან დასასვენებლად მახლობელ კინოთეატრში წასვლასა და რაიმე სასიამოვნო ფილმის ნახვას არჩევს ხოლმე, მაგრამ მელბურნში ამ ტრადიციამ უსიამოვნების მეტი არაფერი მოუტანა.

ცაცია ხორვატი ვაშინგტონ ირვინგის მოთხრობის მიხედვით გადაღებულ ფილმ „დამაძინებელი სიცარიელის“ ჩვენებაზე მოხვდა, რომელშიც მთავარ როლს ჯონი დეპი ასრულებს. შავი იუმორით შეჯერებულ საშინელებათა ფილმში უთავო მხედარი პატარა სოფლის მოსახლეობას ავლებს მუსრს, ბავშვების ჩათვლით.

„ეს კატასტროფა იყო. დარბაზიდან რომ გამოვედი, მაყურებლები შოკისაგან თავიანთ ადგილებს მიეჯაჭვნენ. ასეთ ფილმს არასოდეს ვნახავ“.

* * *

**როგორც** წესი, ყოველი მატჩის დაწყების წინ მთავარი მსაჯი მაყურებლებს მობილური ტელეფონების გამორთვას სთხოვს. მალე იგივე წინადადებით ისინი, ალბათ, ჩოგბურთლებსაც მიმართავენ.

ავსტრალიელ მარკ ფილიპუსისსა და ებრაელ ნოამ ოკუნს შორის დაძაბული ხუთსეტიანი შეხვედრის დროს ამ უკანასკნელს შუა გათამაშებაში საკუთარი სკამისკენ გაქცევა და ჩანთაში მოწკრიალე ტელეფონის გამორთვა მოუხდა.

„მე ვერ დავიჩივლებ, რადგან ასეთი რამ თავადაც დამემართა“ — თანაუგრძნო „სკადმა“ ებრაელს.

საქართველოს ჩემპიონატი

# 14 ტური

## ანონსი

22 იანვარი. ვერის ბაღი. 12.00
**დინამო — თსუ**

22 იანვარი. ვერის ბაღი. 14.00
**სსუ — გორი**

22 იანვარი. ვერის ბაღი. 16.00
**მაკაბი — აზოტი**

23 იანვარი. ვერის ბაღი. 12.00
**ვითა — ასკ**

23 იანვარი. ვერის ბაღი. 14.00
**შევარდენი — ბასკო**

23 იანვარი. ვერის ბაღი. 16.00
**სდასუ — სტუ**

ჯერ მხოლოდ დასაწყისია, სწორედ ახლა შედის ეშხში მეცხრე ეროვნული და გუნდებიც საბოლოო იერსახეს იძენენ მომქანცველი და უმნიშვნელოვანესი ბატალიების წინ. გათამაშების მეორე წრე კიდევ უფრო ცხადს გახდის ყოველივეს, სხვა თუ არაფერი, იმ ექვს გუნდს გამოავლენს, რომლებიც წლეულს უმაღლესი მიზნისთვის გაილაშქრებენ.

ამ შაბათ-კვირას გასამართი ტურისგან ძირეულ ცვლილებებს არ უნდა ველოდეთ. როგორც ყოველთვის, ახლაც არის შეხვედრები, რომელთა შედეგის წინასწარმეტყველებაც შედარებით იოლია. რა თქმა უნდა, საინტერესო დაპირისპირებაც გამოერია, თუმც ყოველივე ეს მხოლოდ უმნიშვნელოდ თუ შეცვლის რაიმეს სატურნირო ცხრილში.

სადღეისოდ უკვე გამოიკვეთნენ გუნდები, რომელთაც ექვსეულში შეღწევა ძალუძთ. მეორე წრის უმთავრესი ინტრიგა ცხრილის შუაგულში მიმდინარე პროცესებმა უნდა განაპირობოს. ამ ნაწილში კი შვიდგზის ჩემპიონი „ვითა“, სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი და „მაკაბი“ მოკალათებულან, რომელთაც მეტ-ნაკლებად თანაბარი შანსები აქვთ ელიტაში დასამკვიდრებლად.

მცირე იმედი „დინამოსაც“ შერჩენია, წინა ტურში სდასუ-სთან ორი ქულით დამარცხებული „შევარდენი“ კი, ალბათ, საბოლოოდ გამოეთხოვა ექვსეულზე ოცნებას.

ტურის ცენტრალური მატჩი უდავოდ სდასუ-სტუ-ს დაპირისპირებაა, რომელიც, იმედი უნდა ვიქონიოთ, პირველი წრის მსგავსად აღარ გაუწბილებს ქომაგს მოლოდინს. ამ გუნდების ბოლო შეხვედრაში ტექნიკოსთა უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მატჩის საბოლოო შედეგი ერთგვარ სენსაციად აღიქმებოდა. სტუ-ს გამარჯვებაში მოულოდნელი არაფერი გახლდათ, აი, ოცდარვაქულიანი სხვაობა კი, დამეთანხმებით — მეტისმეტი.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ახლა ეს ორივე სტუდენტური კლუბი იმ პოზიციებზე გამაგრდა, რაც მათ მშვიდად ყოფნის საფუძველს აძლევს. მესამე ადგილზეა სტუ და მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარ სდასუ-ს. ხოლო თუ ხვალაც გაიმარჯვა, ნაკლებად მოსალოდნელია, ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი პლეი ოფამდე მესამე ადგილს შეელიოს. არა, სდასუ-ს შეუძლია, სტუ-ს გაუსწროს, მაგრამ ეს ასევე ძნელი წარმოსადგენია. ამისათვის მოსეშვილის გუნდს პირველ ყოვლისა მეტოქის დამარცხება მართებს, თანაც ისე კი არა, სულ ცოტა ოცდაცხრაქულიანი სხვაობით. სხვა მხრივ ამ ტურში დაქვეითებაც არ უწერია სდასუ-ს, რადგან უარეს შემთხვევაში მხოლოდ ქულებით თუ გაუტოლდება „ვითა“.

რეალობის გათვალისწინებით უპირატესობა ამჯერადაც სტუ-ს უნდა მივანიჭოთ, საახალწლო შესვენების შემდეგ ჩინებული განწყობა შეიქნეს ტექნიკოსებმა. მათ „შევარდენს“ და „გორს“ ჯამში ოთხმოცდაერთი (!) ქულა მოუგეს, რაც თავისთავად ამ გუნდის სრულ მზადყოფნაზე მეტყველებს. ნაახალწლევს სდასუმაც გამარჯვებები დაიბედა, თუმც ახლა უკვე ძალიან რეალური საფრთხე დაემუქრა მოსეშვილის სამწყსოს წარმატებულ სერიას.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუგზარ ჭეიშვილს გაცილებით დიდი არჩევანი აქვს, ვიდრე მის კოლეგა ლევან მოსეშვილს. სტუ თანაბარძალიანი კალათბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია და არც სკამის სიმოკლე აფერხებს. მოწინააღმდეგის ბანაკში კი ამ მხრივ აშკარად ვერ არის საქმე კარგად.

მოსეშვილის მთავარი საწუხარი, ალბათ, ცენტრის პოზიციაა. ამ ამპლუაში თამაში შოთა მაჭარაძეს აკისრია, რომელიც არცთუ სტაბილურად გამოიყურება წლეულს. თუ მაჭარაძეს თამაში არ წაუვა, სდასუ ცენტრზე ახალბედა სუხიშვილს დაეყრდნობა, მას კი ახალგაზრდული ასაკის გამო ნამდვილად არ ძალუძს გამოცდილი მეტოქეების — კორძაძის, ოთიურიძის, ორმოცაძის, მინაშვილის წინააღმდეგობის დაძლევა. სდასუ-ს სიტუაციას ერთიორად ართულებს გიგი ნაცვლიშვილის ავადმყოფობა. ტექნიკოსები კი პირიქით, ნამატით შეხვდნენ მეორე წრეს, ბოლოს და ბოლოს, ჩუბინიძემაც მოიშუშა ტრავმა და თანაგუნდელებს შეუერთდა.

სავარაუდოა, რომ მოსეშვილი უკანახაზელებზე ააგებს თამაშს. სდასუ-ს წარმატებებს ძირითადად ეს რგოლი განაპირობებს და რაიმე ექსპერიმენტს არც ამჯერად უნდა ველოდეთ. ამ გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა ირაკლი ხოშტარიამ და შოთა უძილაური არიან, რასაც გიორგი ჩხეიძის დაცვაში ჩინებული თამაში ერთვის.

ჭეიშვილის გუნდი, ალბათ, ფარზე გაბატონებას შეეცდება, რაც ერთი შეხედვით არც უნდა გაუჭირდეს. ამაში ლომის წილი გამთამაშებელმა დავით თორთლაძემაც უნდა დაიდოს, იმ თვალსაზრისით, რომ დროული პასებით ნაყოფიერად დაასაქმოს ტანმაღალი თანაგუნდელები.

ორივე გუნდი კომბინაციური კალათბურთის მიმდევარია. მეტოქეებს გამორჩეული ტაქტიკა და ხელწერა აქვთ. აქედან გამომდინარე, მწვრთნელებზეც ბევრი იქნება დამოკიდებული. საბოლოოდ ის გუნდი იხეირებს, რომლის თავკაციც მატჩის მსვლელობისას დროულ და შეუმცდარ გადაწყვეტილებებს მიიღებს.

დანარჩენ შეხვედრათაგან „მაკაბი“ — „აზოტია“ გამოსარჩევი. ვიცე-ჩემპიონ რუსთაველებს, რა თქმა უნდა, წარმატების მეტი შანსი აქვთ, თუმც ექვსეულზე დაგეშილი „მაკაბი“ ამ სეზონში არავის ეპუება და მოსალოდნელია, რომ „აზოტსაც“ დიდ ბრძოლას გაუმართავს.

„მაკაბის“ ბრძოლის ჟინს ის ფაქტორიც გაუათკეცებს, რომ მისი უშუალო კონკურენტი თსუ ამ ტურში ბედს შეგუებულ „დინამოს“ შეხვდება და წესით და რიგით, მორიგ ორ ქულასაც შეიმატებს. გასულ უქმეებზე გათამაშების ლიდერ „ბასკოსთან“ დამარცხებული თსუ ახლა სწორედ მეექვსე ადგილზე იმყოფება და ოდნავი წაბორძიკებაც კი შესაძლოა ძვირად დაუჯდეს.

საკუთრივ „ბასკოს“ არაფერი აქვს სანერვიულო. დღემდე დაუმარცხებელი ზღვისპირელები ტომარაძის თაოსნობით პირველად ეწვევიან დედაქალაქს და „შევარდენს“ დაუპირისპირდებიან. ბრძოლისუნარიანობას ვერც საავიაციო ქარხნის გუნდს დავუკარგავთ, მაგრამ ყველაფერს, ალბათ, მაინც მეტოქეთა კლასი გადაწყვეტს. ამ მხრივ კი სხვაობა იმდენად თვალშისაცემია, რომ არც არავინ დაგვძრახავს, თუ ახლავე ბათუმელთა გამარჯვებას ვიწინასწარმეტყველებთ.

ზედიზედ სამჯერ დამარცხებული „ვითა“ კვირას ასკ-ს ეთამაშება და უნდა ვიფიქროთ, რომ ყველას ჯავრს სწორედ არმიელ კლუბზე ამოიყრის. დისკვალიფიცირებული მამუკა ტურაშვილის არყოფნაში ვითელთ ერთიორად გაუჭირდებათ ამოცანის გადაჭრა, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ასკ-სგან „ვითას“ ძლევას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენთ. ბოლო დროს ჩემპიონს ისე წაუვიდა საქმეები, რომ ექსპერიმენტებისთვის ნაკლებად სცხელა.

ჯერაც გაუხარებელი სსუ მორიგ იერიშს მიიტანს ნანატრ გამარჯვებაზე. ამ ტურში სოხუმელებს მეტოქედ „გორი“ ერგოთ და არაა გამორიცხული, ორ ქულასაც გამოჰკრან ხელი.

**გიორგი ბიძაშვილი**

რეგულარული ჩემპიონატი

# სტეფანია, გამოდი!




მილუოკი — სიეტლი. ერვინ ჯონსონი (მარცხნივ) და სიეტლელი ვინ ბეიკერი

20 იანვარი

**მილუოკი 96:104 სიეტლი**

მილუოკი: კასელი (19), ალენი (11 ქულა, 13 პასი), რობინსონი (21), ვილიამსი (13 ქულა, 11 მოხსნა), ჯონსონი (16 ქულა, 10 მოხსნა); ტომასი (14), დელ ნეგრო (10), მენინგი (2), ჰემი

სიეტლი: პეიტონი (22 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), ბერი (15), პატერსონი (16), ბეიკერი (31), გრანტი (4); მაკკოი (8), ლუისი (4), დევისი (4)

ეს გახლდათ მშვენიერი თამაში, მაგრამ უკეთესი იქნებოდა (ჩვენთვის), თუნდაც რამდენიმე წუთით გვეხილა ვლადიმერ სტეფანია. დიახ, თუნდაც რამდენიმე წუთით, რადგან „სიეტლის“ ქართველ ცენტრს ისე გაუხდა საქმე, ესეც სანატრელი აქვს. ვოვა „სუპერსონიქსის“ 40 შეხვედრიდან 18-ში მონაწილეობდა, ისიც ძირითადად ნოემბერსა და დეკემბერში, 2000-მა წელმა კი მას სკამზე ჯდომის მეტი არაფერი მოუტანა.

სტეფანიას გუნდმა მილუოკიში დაამარცხა იქაური „ბაქსი“. ნუთუ კვლავ ბედმა გაუღიმათ „ზებგერითებს“? მაგრამ ზედიზედ შვიდი მოგება არ შეიძლება მხოლოდ ბედის წყალობად ჩაითვალოს. მერე რა გუნდები მოინელა „სიეტლმა“. მხოლოდ ზოგიერთის ჩამოთვლაც იკმარებს — მებრძოლი „ფინიქსი“, ჩემპიონი „სან ანტონიო“ საჩემპიონოდ შემართული „ლეიკერსი“ და ახლა საკმაოდ სერიოზული მოწინააღმდეგე „მილუოკი“, რომელსაც ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო უკანა ხაზი ჰყავს.

მეტოქეებს სწორედ რომ ჰქონდათ დაპირისპირების რამდენიმე მიზეზი. პირველი ის, რომ სტუმართა თავდამსხმელმა ვინ ბეიკერმა თავისი კარიერის პირველი ოთხი სეზონი სწორედ მილუოკიში გაატარა და „სიეტლში“ სამი წლის წინ გადავიდა. მეორე და უმთავრესი — „მილუოკის“ მთავარი მწვრთნელი ჯორჯ კარლი შვიდი წელიწადი წვრთნიდა „სუპერსონიქს“ და 90-იან წლებში გუნდის წარმატებებიც სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული. იგი 1998 წელს დაითხოვეს კლუბიდან, რადგან ბოლო ორ პლეი ოფში გუნდი მეორე წრიდან ვარდებოდა. ამის შემდეგ მის ნაცვლად პოლ ვესტფოლი დაინიშნა, რომელმაც იმით გამოიჩინა თავი, რომ „სიეტლმა“ ბოლო რვა სეზონში პირველად გამოტოვა პლეი ოფი. ბუნებრივია, კარლი ყველანაირად შეეცდებოდა, დაემტკიცებინა ყოფილი გუნდის მამებისთვის, რომ ტყუილად თქვეს მასზე უარი.

მილუოკელთა თავკაცი მთავარ დარტყმას სტუმართა ლიდერისგან, გერი პეიტონისგან მოელოდა. მასზე კარგად ამ ბიჭს არავინ იცნობს, რადგან პეიტონი სწორედ ჯორჯ კარლის ხელში დავაჟკაცდა, სუპერვარსკვლავად იქცა. მასპინძელთა თავკაცმაც პეიტონს სემ კასელი მიუჩინა და სხვებიც დაარიგა, ყველაზე უფრო მაგ ბიჭს უფრთხილდით და მაქსიმალურად შეუზღუდეთ სათარეშო სივრცეები, თორემ შავ დღეში ჩაგვაგდებსო. მართალიც იყო, მაგრამ სტუმართა გამთამაშებლის დევნაში გართულ მასპინძლებს ხშირად ეპარებოდათ ვინ ბეიკერი, რომელმაც ფარი დაიპყრო, რადგან „ბაქსს“ აქ ხეირიანი არავინ ჰყავს და თავის ყოფილ გუნდს 31 ქულა უძღვნა.

მასპინძლებმა პირველი მეოთხედი 19:29 დათმეს, „მილუოკიმ“ მატჩის ბოლოსკა შეძლო სხვაობის გაქვითვა. თითქოს მის გამარჯვებას აღარაფერი უკლდა, რადგან ბეიკერს არაქათი გამოსცლოდა. სულ ორი წუთიღა რჩებოდა მატჩის დამთავრებამდე, საიმედოდ ამოკეტილმა პეიტონმა 15 ქულით მოაღწია აქამდე, მაგრამ ამბიციურმა გერიმ არ იკადრა მატჩის ამგვარად დამთავრება, ბოლო ორ წუთს მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება ჩააქსოვა და ამ მონაკვეთში მეტი სარგებლობა მოუტანა თავისიანებს, ვიდრე მთელ თამაშში. მან ზედიზედ შვიდი ქულა დაატეხა თავს „მილუოკის“, რამაც დაქანცულ სტუმრებს სულზე მიუსწრო. კარლის ბიჭებს მთელი გარჯა წყალში გადაეყარათ.

სტეფანიას გუნდმა ოთხმატჩიანი ალმოსავლური ტურნე გამარჯვებით დაიწყო. „სუპერსონიქსის“ მორიგი მეტოქე ტიტულიანი „ბოსტონ სელტიქსი“ გახლავთ.

**ვანკუვერი 89:94 იუტა**

ვანკუვერი: ჰარინგტონი (22 ქულა, 10 მოხსნა), ბიბი (22)

იუტა: მელოუნი (32 ქულა, 12 მოხსნა), რასელი (25)

**საკრამენტო 111:103 ორლანდო**

საკრამენტო: დივაცი (17 ქულა, 12 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (17 ქულა, 10 მოხსნა)

ორლანდო: მეჯიტი (18)

**ჰიუსტონი 122:115 დენვერი**

ჰიუსტონი: ანდერსონი (26 ქულა, 13 მოხსნა), ფრენსისი (22)

დენვერი: მაკდაიესი (40 ქულა, 12 მოხსნა), ვან ექსელი (31 ქულა, 11 პასი), მერსერი (22)

**ნიუ ჯერსი 122:120 დეტროიტი**

ნიუ ჯერსი: მარბერი (34 ქულა, 15 პასი), ვან ჰორნი (28)

დეტროიტი: ლეიტნერი (28), სტეკჰაუზი (28), ჰილი (23)

**შარლოტი 109:100 ფილადელფია**

შარლოტი: ჯონსი (23), კოულმენი (23)

ფილადელფია: აივერსონი (35)

„სიეტლ სუპერსონიქსთან“ ერთად იმ დღეს „საკრამენტო კინგმაც“ მოიგო და წყნარი ოკეანის დივიზიონის ცხრილში მესამე ადგილი შეინარჩუნა. კალიფორნიელები ლიდერის, ბომბარდირის და უპირველესი მომხსნელის, კრის ვებერის გარეშე დახვდნენ ქვეყნის საპირისპირო მხრიდან ჩამოსულ „ორლანდოს“. ვებერს, თურმე, თითი წამოსტკივდა დილის მსუბუქ ვარჯიშზე და ამ შეხვედრაში სულ არ უთამაშია. მისი ყოფნა იმ დღეს არც იყო საჭირო. „საკრამენტოს“ ჰყავს კრის ვებერი და ძლიერი სათადარიგოთა სკამი, შესაძლოა ყველაზე ძლიერი მთელს ლიგაში — ასე შეიძლება ამ გუნდის დახასიათება მოკლედ. მასპინძელთა სათადარიგოებმა 46 ქულა მოიხვეჭეს, მათგან კი ყველაზე უფრო ლორენს ფანდერბრუკმა გაილაღა. ისიც თავდამსხმელია, მაგრამ მასპინძელთა დამრიგებელმა ძირითად ხუთეულში ვებერის ადგილას იუგოსლავიელი პრედრაგ სტოიაკოვიჩი ათამაშა. ფანდერბურკმა მხოლოდ 21 წუთი დაჰყო მოედანზე, მაგრამ კარგად გაისარჯა და გუნდს 15 ქულა შესძინა. სტოიაკოვიჩმაც არ შეირცხვინა თავი. თანამემამულესთან, ცენტრ ვლადე დივაცთან ერთად თავისიანთა რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო. „ორლანდოს“ სამართლიანად აქვს კერკეტი გუნდის სახელი და დოკ რივერსის ბიჭებმა გვარიანადაც ანერვიულეს მასპინძლები. ფლორიდელები 89:84 უგებდნენ უვებერო მასპინძლებს. სწორედ აქ გადაირია ფანდერბურკი. მან ერთბაშად 10 ქულა მიითვალა ერთ მონაკვეთში, რომელიც მისმა გუნდმა 18:4 მოიგო. „საკრამენტო“ დაწინაურდა (102:93) და საბოლოოდ გაფანტა მის თავზე მოგროვილი საავდრო ღრუბელი.

ოთხწლიანი არსებობის მანძილზე მუდმივად უსუსურმა „ვანკუვერმა“ ერთხელაც ვერ მოუგო „იუტა ჯაზს“. არადა, ამის შანსი თექვსმეტჯერ ჰქონდა. ახლა, ამ გუნდების მეჩვიდმეტე შეხვედრაში კანადელებს იმედი მიეცათ, რომ ამჯერად მაინც შეიტანდნენ ცვლილებას ამ ერთფეროვან და მათთვის სამარცხვინო სერიაში. ამის საბაბი კი იუტელთა ლიდერი კარლ მელოუნი გახლდათ, რომელმაც ერთობ ცუდად ჩაატარა პირველი ნახევარი: ცხრა სროლიდან ორი ჩააგდო და ექვსი ქულას დასჯერდა. „ვანკუვერმაც“ ტაიმი სულ ორი ქულის სხვაობით, მაგრამ მაინც ხომ მოიგო — 39:37. მეორე ტაიმში კი მელოუნი ჩვეულად ათამაშდა და იოლად გაუსწორდა მასპინძლებს. „ფოსტალიონს“ მარტო მესამე მეოთხედში 18 ქულა მოუგროვდა და კიდეც გადაწყდა მატჩის ბედი. „იუტამ“ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გააგრძელა თამაში ბოლო თორმეტწუთეულში, თუმც ფხიზლად იყო და მასპინძელთა მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, არა და არ გაათანაბრებინა ანგარიში.

ერთობ უხვქულიანი გამოდგა შეხვედრა „ჰიუსტონსა“ და „დენვერს“ შორის. ამ მატჩში ორივე გუნდმა შეტევაზე უფრო გაამახვილა ყურადღება, ვიდრე საკუთარი ფარის დაცვაზე. გახსნილ თამაშში კი ფეხმარდი ყმაწვილკაცების წყალობით მასპინძლებმა იძალეს. „დენვერის“ თავდამსხმელმა ანტონიო მაკდაიესმა ერთბაშად 40 ქულა წაჰგლიჯა ტეხასელებს და სულ ექვსი ქულა დააკლდა კარიერის რეკორდამდე. მაკდაიესს კარგად აუბეს მხარი ნიკ ვან ექსელმა და რონ მერსერმა, მაგრამ სტუმართა რიგებში თუ მხოლოდ ამ სამმა ივარგა, მასპინძელთაგან ერთბაშად ექვსმა მოთამაშემ დააგროვა ათზე მეტი ქულა.

ასევე უხვქულიანობით გამოირჩა მატჩი ნიუ იორკის გარეუბან ისტ რეზერფორდში, იქაურ „ნიუ ჯერსი ნეტსსა“ და „დეტროიტ პისტონზს“ შორის, მხოლოდ აქ გუნდებს უფრო მეტად დააწყდათ ნერვები. „ნიუ ჯერსის“ აქამდე ზედიზედ სამი თამაში წაეგო და ახლა მთელი ძალით ეკვეთა დეტროიტელ სტუმარს. არც „პისტონზი“ აღმოჩნდა ჯაბანი. გუნდებმა ერთმანეთი საფუძვლიანად გააწვალეს და ბოლო წუთსაც თანაბარი ანგარიშით შეხვდნენ. აქ ივაჟკაცა მასპინძელმა სკოტ ბარელმა, რომელსაც სულ ექვსი ქულა ჰქონდა მარაგში. ბარელმა პირითი ხაზის კიდეზე დრიბლინგით აუარა გვერდის მეურვეს და ნახევარკაუჭით 122:120 გახადა. „დეტროიტს“ კიდევ წუთის სამი მეოთხედი რჩებოდა მატჩის სახსნელად, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ევროლიგა

II ჯგუფური ეტაპი. III ტური. 19-20 იანვარი

## E ჯგუფი

### ჟალგირისი 84:76 ცსკა

ჟალგირისი: ბატლერი (16), გარნერი (14), მასიულისი (2), ტიმინსკასი (17), ზიდეკი (4), ე. ჟუკაუსკასი (10), მ. ჟუკაუსკასი (21)

ცსკა: ალანოვიჩი (1), დაინეკო (3), ეინიკისი (8), კარასიოვი (25), კირილენკო (5), კუდელინი, პანოვი (18), სკელინი (4), ტიხონენკო (3), ვეტრა (9)

### ალბა 72:64 ბარსელონა

ალბა: ალექსისი (22), ბოგოევიჩი (11), დეჰია (9), ფემერლინგი (7), ჰამინკი (11), ოკულაია (3), პაპიჩი, როდლი (9)

ბარსელონა: ალსტონი (13), დე ლა ფუენტე (7), დიგბო (1), ელსონი (7), გასოლი (5), გუროვიჩი (15), ნავარო (2), რენციასი (4), როდრიგესი (10)

### თოფაში 86:65 ბენეტონი

თოფაში: ბაში, ერდენი (3), გრიფიტი (17), ქონუქი (9), ოქური (9), ფარსი (1), რიმაცი (21), რივერსი (14), როჯერსი (12)

ბენეტონი: დი სპალატრო (7), ედნი (11), მარკონატო (5), ნეესი (2), ნიკოლა (12), პიტისი (2), სანტოსი (1), შეპარდი (2), ტრაინა (23)

## F ჯგუფი

### პაოკ 69:77 პანათინაიკოსი

პაოკ: ალექსანდერი (15), ბალოიანისი (13), ბაზარევიჩი (9), ბ. ედვარდსი, იანულისი (16), მასლარინოსი (7), ნიკოლაიდისი (4), პერალი (4), პრელევიჩი (1)

პანათინაიკოსი: ალვერტისი (14), ბოდიროგა (17), ბუდურისი (2), ბერკი (9), ჯენტილე (2), კალაიძისი (2), კატაში (8), კოხი (6), რებრაჩა (6), როჯერსი (11)

### ცრვენა ზვეზდა 83:77 ოლიმპია

ცრვენა ზვეზდა: ალექსიჩი, ბოლიჩი (2), ბოშკოვიჩი (11), იესტრატიევიჩი (2), ლუკოვსკი (16), რადმანოვიჩი, სტანოევიჩი (30), ტიცა (14), ტოპალოვიჩი (5), ვუიაჩიჩი (3)

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (10), ბერი (5), ბრეჟეცი (9), გოლემაცი (11), იასიკევიჩუსი (5), კოტნიკი (18), მილიჩი (6), ზდოვცი (4)

### შოლე 83:90 რეალი

(ძირითადი დრო 81:81)

შოლე: ბილონი (8), დიუბო (9), გოტიე (26), ჰეიესი (6), ჟანო (2), მარკიზი, მიკუ (10), სტივენსონი (22)

რეალი: ა. ანგულო (8), ლ. ანგულო (1), ჯორჯევიჩი (11), გალილეა (1), იტურბე (11), მიხაილოვი (18), ნუნიესი (17), ბ. სკოტი (8), სტრიულენსი (15)

## G ჯგუფი

### ბუდუჩნოსტი 59:65 ვილერბანი

ბუდუჩნოსტი: ბრკიჩი (3), ბულატოვიჩი (4), პაიოვიჩი (3), რადონიჩი, შჩეპანოვიჩი (19), ტომაშევიჩი (16), ტოპიჩი (2), დრაგან ვუკჩევიჩი (12)

ვილერბანი: ბილბა (8), ბლომი (8), ლარანიაგა (15), ლოვერნი, მაქსი (14), პერსევო, პლუვი (6), სილსი (1), სონკო (13)

### პო ორტეზი 74:73 ოლიმპიაკოსი

პო ორტეზი: ფატუ (15), დ. გადუ (5), ტ. გადუ (6), გულიაში, მაზინგი (2), რიზაშე (24), სვინსონი (15), ტრუვიონი (7)

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (2), დე მიგელი (13), ტ. ედვარდსი (2), გრანტი (7), პაპანიკოლაუ (6), რობინსონი (14), ტარლაჩი (13), ტომიჩი (3), დუშან ვუკჩევიჩი (13)

### კახა სან ფერნანდო 51:75 მაკაბი

კახა სან ფერნანდო: კარგოლი, კორალესი (5), დიესი (3), ფერნანდესი (4), რომერო (7), შუტე (5), რ. სკოტი (16), სმიტი (3), სოლანა (6), ტერნერი (2)

მაკაბი: კომეგისი (4), ჰენფელდი (3), ჰაფმანი (27), ჯამჩი, მაკდონალდი (16), შარფი (9), შეფერი (2), შელეფი (14)

## H ჯგუფი

### პივოვარნა 68:81 ციბონა

პივოვარნა: დრაგშიჩი (11), გოლიოვიჩი (24), ჰაფნარი (12), იურაკი (3), კუნცი (2), ლისიცა (11), მილუტიჩი, ნახბარი (5), ჟარკოვიჩი

ციბონა: ალიჰოჯიჩი (6), გირიჩეკი (15), კრსტიჩი (14), მარცელიჩი (11), პრკაჩინი (10), სარლია (2), სესარი (10), ი.ვრანკოვიჩი (6), ჟურიჩი (7)

### ვარეზე 91:72 ფორტიტუდო

ვარეზე: კალამია, ფოიერა, კისურინი (10), კრეჟევიჩი, მენეგინი (22), პოცეკო (28), სანტიაგო (9), ვესკოვი (20), ვუხერერი (2), ზანუს ფორტესი

ფორტიტუდო: ბაზილე (5), ფუჩკა (14), გალანდა (9), გაი (2), კარნიშოვასი (18), იარიჩი (11), მაიერსი (13), პილუტი, რუჯერი, ს. ვრანკოვიჩი

### ულქერი 93:87 ეფესი

ულქერი: ალენი (17), აიდინი, ერდენაი (14), გონლუმი, კოტუროვიჩი (17), პოუპი (14), სარიჯა (15), თოფსაკალი (3), ილდირიმი (13)

ეფესი: ბეშოქი (14), დრობნიაკი (10), ქუთლუაი (18), მულაომეროვიჩი (19), ონანი (8), რიდი, თურქოღლუ (15), ვექილოღლუ (3)

| E ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 69:51 | 75:67 | 17.02 | 68:65 | 3.02 | 11 | 2 | 980:882 | 24 |
| 2 | ბენეტონი | 68:72 | | 61:81 | 3.02 | 16.02 | 88:75 | 8 | 5 | 929:902 | 21 |
| 3 | ცსკა | 76:72 | 77:75 | | 71:76 | 3.02 | 17.02 | 7 | 6 | 974:952 | 20 |
| 4 | ალბა | 72:64 | 66:76 | 10.02 | | 81:55 | 80:64 | 7 | 6 | 948:958 | 20 |
| 5 | თოფაში | 10.02 | 86:65 | 87:73 | 76:66 | | 77:73 | 6 | 7 | 953:944 | 19 |
| 6 | ჟალგირისი | 60:68 | 10.02 | 84:76 | 89:70 | 62:68 | | 3 | 10 | 938:983 | 16 |

| F ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 96:69 | 100:80 | 16.02 | 85:50 | 3.02 | 12 | 1 | 1040:870 | 25 |
| 2 | რეალი | 63:66 | | 76:74 | 3.02 | 17.02 | 98:78 | 7 | 6 | 973:976 | 20 |
| 3 | ოლიმპია | 71:86 | 73:63 | | 69:63 | 3.02 | 17.02 | 7 | 6 | 999:1003 | 20 |
| 4 | პაოკ | 69:77 | 72:71 | 9.02 | | 83:76 | 82:53 | 6 | 7 | 934:897 | 19 |
| 5 | შოლე | 10.02 | 83:90 | 66:77 | 48:66 | | 69:59 | 2 | 11 | 839:963 | 15 |
| 6 | ცრვენა ზვეზდა | 61:76 | 10.02 | 83:77 | 65:64 | 56:64 | | 2 | 11 | 858:1035 | 15 |

| G ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვილერბანი | | 70:65 | 61:54 | 75:64 | 17.02 | 2.02 | 10 | 3 | 912:840 | 23 |
| 2 | მაკაბი | 73:61 | | 54:65 | 17.02 | 3.02 | 65:55 | 9 | 4 | 980:879 | 22 |
| 3 | ოლიმპიაკოსი | 65:55 | 65:63 | | 3.02 | 89:61 | 16.02 | 8 | 5 | 896:827 | 21 |
| 4 | სან ფერნანდო | 10.02 | 51:75 | 65:66 | | 75:73 | 77:60 | 5 | 8 | 879:905 | 18 |
| 5 | ბუდუჩნოსტი | 59:65 | 59:67 | 9.02 | 88:65 | | 68:71 | 5 | 8 | 939:967 | 18 |
| 6 | პო ორტეზი | 72:61 | 10.02 | 74:73 | 79:74 | 68:72 | | 4 | 9 | 887:949 | 17 |

| H ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ეფესი | | 17.02 | 99:63 | 69:60 | 84:74 | 3.02 | 8 | 5 | 969:924 | 21 |
| 2 | ულქერი | 93:87 | | 76:68 | 9.02 | 79:70 | 68:78 | 8 | 5 | 1006:989 | 21 |
| 3 | ფორტიტუდო | 76:56 | 2.02 | | 92:78 | 16.02 | 81:63 | 7 | 6 | 950:933 | 20 |
| 4 | ციბონა | 71:69 | 64:81 | 71:61 | | 3.02 | 17.02 | 7 | 6 | 966:997 | 20 |
| 5 | ვარეზე | 9.02 | 82:86 | 91:72 | 89:77 | | 80:70 | 5 | 8 | 969:995 | 18 |
| 6 | პივოვარნა | 79:91 | 84:95 | 9.02 | 68:81 | 73:83 | | 2 | 11 | 922:1070 | 15 |

# საბჭოური რეტრო ევროლიგაში

საბჭოთა კალათბურთის 80-იანი წლების უდიდესმა დაპირისპირებამ ევროლიგაში გადაინაცვლა. ამ ტურნირის არსებობის მანძილზე კაუნასის „ჟალგირისი“ და მოსკოვის ცსკა ერთმანეთს პირველად შეხვდნენ, ცხადია, ამ ტურნირის ეგიდით, თორემ თავის დროზე, მათი უპრინციპულესი დავა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობისთვის კალათბურთის ჩარჩოებს მნიშვნელოვნად სცილდებოდა.

„ჟალგირისი“ ევროლიგის ჩემპიონი კი გახლავთ, მაგრამ წლეულს მერვედფინალში უკვე ნაღდად ველარ გავა. ცსკა-ს გაცილებით უკეთ აქვს საქმე, თუმცა მერვედფინალში ადგილი ჯერ არ დაუბევებია, ის კი არა, კონკურენტები კვალში ჩაუდგნენ და ახლა ერთ წაფორხილებასაც დიდი ფასი ადევს.

კაუნასში გამართული მატჩი დიდებულად დაიწყეს მეტოქეთა ცენტრებმა, ეროვნებით ლიტველებმა, ჟალგირისელმა ეურელიუს ჟუკაუსკასმა და არმიელმა გინტარ[illegible] ეინიკისმა, რომელიც ადრე „ჟალ[illegible]ისის“ ღირსებას იცავდა. როცა ან[illegible]ში 8:8 იყო, თითოეულ მათგანს ექვს-ექვსი ქულა ჰქონდა გაკეთებული. მერე და მერე მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა. მათ სულ ერთხელ დაკარგეს ბურთი, მეტოქემ — შვიდჯერ. „ჟალგირისმა“ ტაიმი 35:30 მოიგო. სხვაობა რვაქულიანი იქნებოდა, მაგრამ არმიელმა ვეტერანმა ვალერი ტიხონენკომ (მას მიუღია მონაწილეობა ცსკა — „ჟალგირისის“ განთქმულ სუპერფინალებში) ბოლო წამზე დაუჯერებელი სამქულიანი ჩააგდო.

მეორე ტაიმში ძლიერად ათამაშდნენ მინდაუგას ჟუკაუსკასი და მინდაუგას ტიმინსკასი. მათი მოსკოველი ოპონენტები ვალერი დაინეკო და ანდრეი კირილენკო პასიურობდნენ. რუსთა ლიდერობა ვასილი კარასიოვმა ითავა და ის მოახერხა, რომ 11-ქულიანი სხვაობა (60:49) ხუთ ქულამდე შეამცირა (67:62). „ჟალგირისმა“ ბოლო წუთებზე ძალიან მოინდომა და თამაშის იმტაზე მოსულ მეტოქეს გასაქანი აღარ მისცა.

ყოფილი იუგოსლავიის გუნდები ერთმანეთს ორ მატჩში შეხვდნენ. სლოვენიის ქალაქ ლაშკოში ადგილობრივი „პივოვარნა“ ხორვატულ „ციბონას“ დაუხვდა და წინააღმდეგობა მხოლოდ საწყის ათ წუთში გაუწია. ამ ხანში პივოვარნელებმა ზედიზედ ხუთი სამქულიანი ჩააგდეს და 22:21 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ „ციბონა“ მტკიცედ გაბატონდა ფარზე (35 მოხსნა 20-ის წინააღმდეგ) და სლოვენიელებს წარმატების მცირე შანსიც კი არ დაუტოვა. დებიუტი გამარჯვებით აღნიშნა „ციბონას“ ახალმა მწვრთნელმა ნევენ სპაჰიამ და მატჩის შემდეგვე გააკრიტიკა ყოფილი მწვრთნელი ვინკო იელოვაცი: ვერ გამიგია, ეს კაცი ივიცა ჟურიჩის გამოცდილებას რად არ იყენებდაო. თავად ჟურიჩმა 13 წუთი ითამაშა და შვიდ ქულას ექვსი მოხსნა დაუმატა.



ჟალგირისი — ცსკა 84:76. ჟალგირისელი მინდაუგას ტიმინსკასი (თეთრ ფორმაში) სერგეი პანოვის (№6) და ანდრეი კირილენკოს (№13) წინააღმდეგ

LIETUVOS RYTAS

სპაჰიას ყოფილი გუნდი, სლოვენიის დედაქალაქის ლიუბლიანას „ოლიმპია“ (სპაჰია ჯერ კიდევ წინა ტურში „ოლიმპიას“ მწვრთნელის ზმაგო საგადინის თანაშემწე იყო) ბელგრადს სტუმრობდა და „ცრვენა ზვეზდას“ ეთამაშა. ერთიანი იუგოსლავიის დროს „ცრვენა ზვეზდას“ მოგება, იქნებ, გასაკვირი სულაც არ ყოფილიყო, მაგრამ დღეს საქმე სხვაგვარადაა — „ოლიმპია“ ჯგუფში მეორეობისთვის იბრძვის, ბელგრადელებს კი აქამდე ერთადერთხელ მოეგოთ ევროლიგაში. ტაიმი სლოვენიელებმა 44:38 მოიგეს, მაგრამ „ცრვენა ზვეზდამ“ მეორე ტაიმში თითქმის იდეალურად ითამაშა და ქულებით წამოეწია ფრანგულ „შოლეს“, რომლის დასამარცხებლადაც მადრიდის „რეალს“ დამატებითი დრო დასჭირდა.



REUTERS ბელგრადიდან

ცრვენა ზვეზდა — ოლიმპია 83:77. ოლიმპიელი პრიმოჟ ბრეჟეცი (ბურთით) ნიკოლა იესტრატიევიჩმა (მარცხნივ) და ვლადიმირ რადმანოვიჩმა ხაფანგში გააბეს

ბოლონიის „ფორტიტუდოს“ იტალიის ჩემპიონატში კონკურენტი თითქმის არ ჰყავს, ევროლიგაში კი საქმე არცთუ კარგად მისდის. ბოლონიელები ამჯერად სასტიკად დამარცხდნენ, მათი გამაწბილებლები კი თანამემამულეები, „ვარეზეს“ კალათბურთელები იყვნენ. „ფორტიტუდო“ ევროლიგაში იტალიის მთავარ იმედად ითვლება, ახლა კი ამ ვარაუდს წყალი შეუდგა. რაც შეეხება „ვარეზეს“ სამერვედფინალო შანსებს, ისინი მიზერულზე მიზერულია. ნაკლებსავარაუდოა, რომ იგივე „ფორტიტუდო“ და „ციბონა“ დარჩენილი სამი მატჩიდან თითო-თითოს მაინც ვერ მოიგებენ. ამ შემთხვევაში კი „ვარეზეს“ ჯგუფში დარჩენა მოუწევს.

ათენის „პანათინაიკოსი“-სალონიკის პაოკი არასდროს ითვლებოდა კლასიკურ ბერძნულ დაპირისპირებად, მაგრამ თავთავიანთი ქალაქების უძლიერესი გუნდების შეჯახება მეტად საინტერესო უნდა ყოფილიყო. თუმცა, ვარაუდი არ გამართლდა: „პანათინაიკოსმა“ იოლად მოიგო და ამჯერადაც საკმაოდ დიდხანს ათამაშა სათადარიგოები. პაოკ-ის მწვრთნელმა კოსტას ფლევარაკისმა აღნიშნა, რომ მერვედფინალში უეჭველი გასულები ვართ და ამიტომ თავი აღარ მოგვიკლავსო.

„ულქერმა“ სტამბოლურ დერბიში დაამარცხა მეზობელი უბნის „ეფესი“ და შვიდამდე გაზარდა ზედიზედ მოგებული მატჩების სერია. პირველ ტაიმში თანაბარი ბრძოლა იყო. მეორის დასაწყისში ჯერ „ეფესმა“ ჩააგდო 7 უპასუხო ქულა, რასაც უმალვე მოჰყვა „ულქერის“ მიერ 10:0 მოგებული მონაკვეთი. საბოლოოდ, ულქერელები გრძელმა სკამმა იხსნა, ხოლო „ეფესი“ იგივე პრობლემამ დაღუპა. წაგებულმა გუნდმა შეხვედრა ხუთი პერსონალურით გავარდნილი მულაომეროვიჩის, ქუთლუაის და ონანის გარეშე დაასრულა.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისი. პრემიერლიგა. 23-ე ტური

22 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 024 | ასტონ ვილა-ჩელსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 025 | ბრედფორდი-უოტფორდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 026 | დერბი-ქოვენთრი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 027 | ლესტერი-ვესტ ჰემი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 028 | ლივერპული-მიდლსბრო | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 029 | საუთჰემპტონი-ევერტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 030 | ტოტენჰემი-უენსდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 031 | უიმბლდონი-ნიუკასლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

23 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 032 | სანდერლენდი-ლიდსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

24 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 033 | მანჩესტერი-არსენალი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 28-ე ტური

22 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 035 | ბარნსლი-ბლექბერნი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 036 | ბოლტონი-იფსვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 037 | ქრიუ-უოლსოლი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 038 | ფულემი-გრიმსბი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 039 | ჰადერსფილდი-ტრანმერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 040 | ნორვიჩი-ჩარლტონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 041 | ნოტინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 042 | პორტ ვეილი-ბირმინგემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 043 | შეფილდი-მანჩესტერ სიტი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 044 | სტოკპორტი-პორტსმუთი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 045 | ვულვერჰემპტონი-ქუინზ პარკი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 28-ე ტური

22 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 046 | ბრენტფორდი-ბერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 047 | ბრისტოლი-უიგანი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 048 | ბარნლი-ოლდემი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 049 | კემბრიჯი-ჩესტერფილდი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 050 | კოლჩესტერი-ბორნმუთი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 051 | ჯილინგემი-ბლეკპული | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 052 | ლუტონი-რედინგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 053 | მილუოლი-სტოკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 054 | ოქსფორდი-როვერსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 055 | პრესტონი-უიკომბი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 056 | სკანთორპი-ნოტსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 057 | რექსემი-კარდიფი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 28-ე ტური

22 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 058 | ბარნეტი-ლინკოლნი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 059 | დარლინგტონი-შრიუსბერი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 060 | ჰარტლპული-კარლაისლი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 061 | ჰალი-ჩელტენემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 062 | ლეიტონი-პიტერბრო | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 063 | მენსფილდი-საუთენდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 064 | ნორთჰემპტონი-ჩესტერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 065 | პლიმუთი-ჰალიფაქსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 066 | როჩდეილი-იორკი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 067 | როტერჰემი-ექსეტერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 068 | სუონსი-მაკლსფილდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 069 | ტორკი-ბრაიტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### იტალია. სერია "ა". მე-18 ტური

22 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 070 | რომა-პიაჩენცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 071 | კალიარი-ლაციო | 3,4 | 2,9 | 2,0 |

23 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 072 | ბარი-ფიორენტინა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 073 | მილანი-ლეჩე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 074 | რეჯინა-იუვენტუსი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 075 | ტორინო-ბოლონია | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 076 | უდინეზე-ვენეცია | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 077 | ვერონა-ინტერი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 078 | პარმა-პერუჯა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### იტალია. სერია "ბ". მე-20 ტური

23 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 080 | ატალანტა-კოზენცა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 081 | ფერმანა-ემპოლი | 2,3 | 2,5 | 3,2 |
| 082 | მონცა-ალძანო | 2,0 | 2,4 | 4,2 |
| 083 | რავენა-ნაპოლი | 2,4 | 2,5 | 3,0 |
| 084 | სალერნიტანა-კიევო | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 085 | სამპდორია-პისტოიეზე | 1,35 | 3,5 | 9,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 086 | სავოია-ბრეშა | 3,3 | 2,6 | 2,2 |
| 087 | ვიჩენცა-ტრევიზო | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

24 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 088 | ტერნანა-ჯენოა | 2,0 | 2,6 | 3,8 |

### იტალია. სერია "ც1/ა". მე-20 ტური

23 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 089 | ალბინოლეფე-ლივორნო ($17^{30}$) | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 090 | ბრეშელო-ჩიტადელა ($17^{30}$) | 3,2 | 2,5 | 2,3 |
| 091 | კრემონეზე-მონტევარკი ($17^{30}$) | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 092 | ლეკო-კარარეზე ($17^{30}$) | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 093 | ლუკეზე-ლუმეცანე ($17^{30}$) | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 094 | მოდენა-კომო ($17^{30}$) | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 095 | პიზა-რეჯანა ($17^{30}$) | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 096 | სანდონა-სპალ ($17^{30}$) | 3,0 | 2,5 | 2,4 |
| 097 | სიენა-ვარეზე ($17^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |

### იტალია. სერია "ც1/ბ". მე-20 ტური

23 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 098 | არეცო-ანკონა ($17^{30}$) | 2,2 | 2.6 | 3.3 |
| 099 | ასკოლი-გუალდო ($17^{30}$) | 1,5 | 3.2 | 6.5 |
| 100 | ატლეტიკო-დი სანგრო ($17^{30}$) | 2,3 | 2.6 | 3.1 |
| 101 | ბენევენტო-კატანია ($17^{30}$) | 2,6 | 2.6 | 2.7 |
| 102 | ფ.ანდრია-ვიტერბეზე ($17^{30}$) | 3,1 | 2,6 | 2.3 |
| 103 | ჯულიანოვა-პალერმო ($17^{30}$) | 2,5 | 2.6 | 2.8 |
| 104 | ლოდიჯანი-კროტონე ($17^{30}$) | 3,3 | 2.6 | 2.2 |
| 105 | მარსალა-აველინო ($17^{30}$) | 2,3 | 2.6 | 3.1 |
| 106 | ნოჩერინა-სტაბია ($17^{30}$) | 1,9 | 2.6 | 4.2 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 21-ე ტური

22 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 107 | დეპორტივო-ბეტისი | 1,6 | 3.2 | 5.0 |

23 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 108 | მალიორკა-რაიო ვალეკანო | 1,8 | 2.9 | 4.2 |
| 109 | სევილია-სელტა | 2,8 | 2.9 | 2.3 |
| 110 | ოვიედო-სარაგოსა | 2,6 | 2.9 | 2.4 |
| 111 | ბარსელონა-რასინგი | 1,2 | 5.0 | 9.0 |
| | 0:1 | 1,7 | 3.2 | 3.2 |
| 112 | ვალენსია-ესპანიოლი | 1,5 | 3,2 | 6.5 |
| 113 | მალაგა-ალავესი | 1,9 | 2,8 | 3.8 |
| 114 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,6 | 3.2 | 5.0 |
| 115 | ნუმანსია-რეალი | 3,2 | 2,9 | 2.1 |
| 116 | ატლეტიკო-სოსიედადი | 1,6 | 3.0 | 5.6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 23-ე ტური

22 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 117 | ლეიდა-ლევანტე | 2,3 | 2,9 | 2.8 |
| 118 | კორდობა-უელვა | 1,8 | 2,9 | 4.2 |
| 119 | ლეგანესი-ატლეტიკო "ბ" | 1,9 | 2,9 | 3.6 |
| 120 | ლას პალმასი-სპორტინგი | 1,9 | 2,9 | 3.6 |

23 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 121 | ესტრემადურა-ხეტაფე | 1,6 | 2,9 | 6.0 |
| 122 | ბადახოსი-ეიბარი | 1,6 | 2,9 | 6.0 |
| 123 | ალბასეტე-ელჩე | 1,7 | 3,0 | 4.7 |
| 124 | სალამანკა-ვილიარეალი | 1,6 | 2,9 | 6.0 |
| 125 | ლოგრონიესი-ტენერიფე | 2,5 | 2,9 | 2.5 |
| 126 | კომპოსტელა-ტოლედო | 1,5 | 3,4 | 5.6 |
| 127 | ოსასუნა-მერიდა | 1,8 | 2,9 | 4.2 |

### პორტუგალია. მე-18 ტური

22 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 129 | ბენფიკა-რიუ ავე | 1,2 | 5.0 | 9.0 |
| | 0:1 | 1,7 | 3.2 | 3.2 |
| 130 | კამპომაიორენსე-ჟილ ვისენტე | 2,0 | 2,9 | 3.4 |
| 131 | გიმარაეში-სეტუბალი | 1,35 | 3.8 | 7.0 |
| | 0:1 | 2,0 | 3.0 | 2.4 |
| 132 | სპორტინგი-სანტა კლარა | 1,2 | 5.0 | 9.0 |
| | 0:1 | 1,7 | 3.2 | 3.2 |

23 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 133 | მარიტიმუ-სალგეირუში | 1,5 | 3.2 | 6.5 |
| 134 | ბრაგა-ალვერკა | 2,0 | 2.9 | 3.4 |
| 135 | ლეირია-ფარენსე | 2,0 | 2.9 | 3.4 |
| 136 | პორტუ-ბოავიშტა | 1,5 | 3.4 | 5.6 |

### ბელგია. მე-20 ტური

22 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 138 | ლოკერენი-სენტ ტრუიდენი | 1,7 | 3,0 | 4.7 |
| 139 | გენტი-სტანდარდი | 1,9 | 2.9 | 3.6 |
| 140 | მეხელენი-მუსკრონი | 2,2 | 2.9 | 3.0 |
| 141 | გენკი-ბეელი | 1,25 | 4.4 | 8.0 |
| | 0:1 | 1,8 | 3.3 | 2.8 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 23 იანვარი | | | |
| 142 | ვესტერლო-შარლერუა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 143 | ჰარელბეკე-ბევერენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 144 | აალსტი-ლომელი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 145 | ანდერლეხტი-ლიერსი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | საბერძნეთი. მე-16 ტური | | | |
| | 22 იანვარი | | | |
| 151 | აპოლონი-პანათინაიკოსი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 23 იანვარი | | | |
| 146 | არისი-კალამატა (17$^{00}$) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 147 | ტრიკალა-აეკ | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 148 | იონიკოსი-ოფი (17$^{00}$) | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 149 | კავალა-პაოკ (17$^{00}$) | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 150 | ოლიმპიაკოსი-ქსანთი (17$^{00}$) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 153 | პანიონიოსი-ეთნიკოსი (17$^{00}$) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 154 | პროდეფტიკი-ირაკლისი (17$^{00}$) | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | 24 იანვარი | | | |
| 152 | პანილიაკოსი-პანაჰაიკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | თურქეთი. მე-17 ტური | | | |
| | 22 იანვარი | | | |
| 156 | ვანი-გიოზთეფე (14$^{00}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 157 | ქოჯაელი-ბურსა (15$^{30}$) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 158 | გაზიანთეფი-ადანა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,1 |
| | 23 იანვარი | | | |
| 159* | გენჩლერბირლიგი-სამსუნი (12$^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 160 | ისთანბული-გალათასარაი (15$^{30}$) | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| 161 | ალთაი-ანთალია (15$^{30}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 162 | ტრაბზონი-ანკარაგიუჯუ (15$^{30}$) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 163 | ბეშიქთაში-ერზურუმი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | შოტლანდია. 21-ე ტური | | | |
| | 22 იანვარი | | | |
| 164 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 165 | ჰართსი-დანდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 166 | რეინჯერსი-აბერდინი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 167 | სენტ ჯონსტონი-მოზერუელი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 23 იანვარი | | | |
| 168 | კილმარნოკი-სელტიკი | 6,5 | 3,4 | 1,45 |
| | საფრანგეთის თასი. I ეტაპი | | | |
| | 22 იანვარი | | | |
| 173 | ლავალი-სედანი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 174 | ნიმი-ლუანი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 175 | სოშო-ლე ავრი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | აფრიკის თასი. I ტური | | | |
| | 22 იანვარი | | | |
| 501 | განა-კამერუნი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | 23 იანვარი | | | |
| 502 | ნიგერია-ტუნისი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 503 | ეგვიპტე-ზამბია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 504 | ს.აფრიკა-გაბონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 24 იანვარი | | | |
| 505 | კოტ დივუარი-ტოგო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 506 | ალჟირი-დრ კონგო | 2,0 | 3,0 | 3,0 |

**** 159-ე წყვილზე გენჩლერბირლიგი-სამსუნი ფსონები მიიღება პარასკევს (21.01) და შაბათს (22.01)***

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კალათბურთი. NBA | | | |
| | 22 იანვარი | | | |
| 856 | ნიუ ჯერსი-დალასი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 857 | ფილადელფია-ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 858 | შარლოტი-ბოსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 859 | ატლანტა-ვაშინგტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 860 | ჩიკაგო-დეტროიტი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 861 | სან ანტონიო-ნიუ იორკი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 862 | ფინიქსი-კლივლენდი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 863 | ლეიკერსი-პორტლენდი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 864 | საკრამენტო-იუტა | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 865 | ვანკუვერი-ორლანდო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | 23 იანვარი | | | |
| 866 | ტორონტო-სიეტლი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 867 | დეტროიტი-დალასი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 868 | ჰიუსტონი-მაიამი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 869 | კლიპერსი-ორლანდო | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 870 | გოლდენ სტეიტი-მინესოტა | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| | 24 იანვარი | | | |
| 871 | ნიუ იორკი-სიეტლი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 872 | ჩიკაგო-ინდიანა | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 873 | დენვერი-ვანკუვერი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 874 | იუტა-ლეიკერსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 875 | პორტლენდი-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ჰოკეი. NHL | | | |
| | 22 იანვარი | | | |
| 881 | კაროლინა-ბუფალო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 882 | ტორონტო-ვაშინგტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 883 | მონრეალი-პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 884 | ოტავა-დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 885 | აილენდერსი-ტამპა ბეი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 886 | ფლორიდა-ბოსტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 887 | სენტ ლუისი-რეინჯერსი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 888 | ედმონტონი-ვანკუვერი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 889 | სან ხოსე-ანაჰაიმი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| | 23 იანვარი | | | |
| 890 | ლოს ანჯელესი-კოლორადო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 891 | პიტსბურგი-ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 892 | ჩიკაგო-დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 893 | ფინიქსი-სან ხოსე | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 894 | ვანკუვერი-ნეშვილი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| | 24 იანვარი | | | |
| 895 | ბოსტონი-კალგარი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 896 | ვაშინგტონი-ტამპა ბეი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 897 | ტორონტო-ოტავა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 898 | კაროლინა-მონრეალი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 899 | ატლანტა-რეინჯერსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 900 | ედმონტონი-ნეშვილი | 1,6 | 4,4 | 2,7 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით, შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# რიგგარეშე ისევ რიგშია

დასაწყისი პირველ გვერდზე

სხდომის პრეზიდიუმი ფრიად წარმომადგენლობითი იყო. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ზურაბ აზმაიფარაშვილისა და ორი ვიცე-პრეზიდენტის, დავით გურგენიძისა და კახა ჩიგოგიძის გარდა მასში შედიოდნენ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი, მისი მოადგილე, მურთაზ მნათობიშვილი და სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი. სხდომაზე დამსწრენი, ცხადია, მძაფრი დებატების მოლოდინში იყვნენ, თუმც თავიდან ყველაფერი მშვიდობიანად დაიწყო. ილაპარაკეს ვიცე-პრეზიდენტებმა. დავით გურგენიძემ გაიმეორა თავისი გადაწყვეტილება გადადგომის თაობაზე და მალე მას კახა ჩიგოგიძემაც მიჰბაძა, თუმცა ორივეს და განსაკუთრებით ჩიგოგიძეს დარბაზიდან მაშინვე მრავალი თბილი სიტყვა მიაგებეს და ქართული ჭადრაკისადმი გაწეული მისი ღვაწლიც სათანდოდ შეფასეს. სხდომის ამ ყველაზე დაუძაბავი ნაწილის გასრულებისთანავე სიტყვა ზურაბ აზმაიფარაშვილმა აიღო და თავისი შარშანდელი საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა. მის საუბარში ნეგატიური უფრო ფიგურირებდა, ვიდრე პოზიტიური. აზმაიფარაშვილმა აღიარა, რომ მან დაუშვა შეცდომები ევროპის ჩემპიონატისთვის ნაკრებების დაკომპლექტებისას, რაც ბათუმში ქართული ჭადრაკის ჩავარდნის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევა. ამასთანავე, აზმაიფარაშვილმა ოპოზიციას არაობიექტურ, ზოგჯერ აბსურდულ კრიტიკაში დასდო ბრალი და ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისად ნანა ალექსანდრია დაასახელა. მთავარი კი ფედერაციის პრეზიდენტის გამოსვლაში იყო ის, რომ მან თანხმობა განაცხადა რიგგარეშე ყრილობის მოწვევაზე, ოღონდ მისი გამართვა ნოემბერში მოითხოვა, რაც იმით ახსნა, რომ საჭიროა გარკვეული დრო, რათა ფედერაციის პრეზიდენტობის ყველა მსურველმა მოიფიქროს სამოქმედო პროგრამა, რომელსაც თავისი კანდიდატურის წამოყენების დროს წარმოადგენს და გარდა ამისა, მას, როგორც ფედერაციის პრეზიდენტს, გააჩნია გარკვეული გეგმები, რომელთა განხორციელებასაც აპირებს. ოპოზიციის რეაქცია ერთსულოვანი იყო. ზურაბ სტურუამ პრეზიდენტი ფედერაციის ტრიბუნის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებაში დაადანაშაულა, ნანა ალექსანდრიამ — საქმისადმი უპასუხისმგებლო მიდგომაში, ხოლო დიდოსტატმა თამაზ გიორგაძემ აზმაიფარაშვილს პირად ურთიერთობებში გამოჩენილ უტაქტობებზე მიანიშნა. ფაქტობრივად, ოპოზიციაშივე ვიხილეთ დღეს მაია ჩიბურდანიძეც, რომელიც, მოგეხსენებათ, ადრინდელ კონფლიქტებში მუდამ ნეიტრალური იყო. ჩიბურდანიძემ უარყო პრეზიდენტის ნათქვამი, რომ ბათუმის ჩემპიონატში საქართველოს ქალთა პირველი ნაკრები მასსა და ნანა იოსელიანს შორის რაღაც პიროვნული უთანხმოების გამო ვერ დაკომპლექტდა.

„ჩვენ კვლავ მეგობრები ვართ“ — განაცხადა ჩიბურდანიძემ.

მოგვიანებით ჩიბურდანიძის ოპოზიციის მხარეზე გადასვლა ნინო გურიელმაც დაადასტურა. საერთოდ, ოპოზიცია ერთსულოვანი იყო შემდეგში: რაც უფრო ჩქარა დამთავრდება ყოველივე ეს, მით უკეთესი. ამიტომ ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა რაც შეიძლება მალე უნდა გაიმართოს, სავარაუდოდ თებერვალში ან მარტში.

კამათი დილხანს გაჭიანურდა, სიცივემაც იმძლავრა და იქნებოდა უკვე ნაშუადღევის 4 საათი, როცა სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. ამ მომენტისთვის დამყარებული სტატუს-კვო ასეთი გახლდათ: არსებობდა ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის გამართვის ორი თარიღი — მარტი და ნოემბერი. სანამ ალმასკომის წევრები მუხლს გაშლიდნენ, უნდა დამზადებულიყო ბიულეტენები კენჭისყრისთვის, რომელიც ფარული ფორმით შედგებოდა. შესვენება დასვენებად გადაიქცა, თითქმის ორი საათი ჭადრაკის სასახლის ჰოლში უწყვეტად ხმაურობდნენ ალმასკომის რიგითი წევრები, ხოლო კულუარებში ანუ პრეზიდენტის კაბინეტში, თუ იქიდან გამოსულთა ემოციური გამონათქვამებით ვიმსჯელებთ, გვარიანი შეხლა-შემოხლა გაჩაღებულიყო, თუმცა იქ არ ვიცი და სხდომის მიმდინარეობისას, წინააღმდეგობათა მიუხედავად, ეთიკის ნორმებიდან რაიმე მნიშვნელოვანი გადახვევა არ შეგვინიშნავს. რაც შეეხება თავად კულუარული დავის საგანს, იგი იმაში მდგომარეობდა, რომ, ოპოზიციის აზრით, ჯერ უნდა დადგენილიყო, საერთოდ ჩატარდებოდა თუ არა რიგგარეშე ყრილობა, რასაც ხმათა ორი მესამედი სჭირდებოდა, ხოლო შემდეგ ყრილობის გამართვის თარიღი უბრალო უმრავლესობას გადაეწყვიტა. აზმაიფარაშვილი კი სწორედ ამ უკანასკნელი ვარიანტისთვის მოითხოვდა ხმათა ორ მესამედს. პრეზიდენტმა ეს კამათი მოიგო და დაიწყო ცალ-ცალკე კენჭისყრები მარტისა და ნოემბრისთვის. მარტში ყრილობის გამართვას მხარი დაუჭირა 46-მა დელეგატმა, ხოლო 28 წინააღმდეგ წავიდა, ანუ ოპოზიციის ვარიანტმა მიიღო ხმათა ნახევარზე მეტი, მაგრამ არა ორი მესამედი. მეორე მხრივ, აზრი დაკარგა ნოემბრის ვარიანტზე კენჭისყრამაც, რადგან იგი ხმათა ნახევარსაც ვერ მიიღებდა. წარმოიქმნა ერთგვარი ჩიხი, ანუ ალმასკომმა გადაწყვეტილება ვერ მიიღო. ამას დაემატა მურთაზ მნათობიშვილისეული ფედერაციის წესდების ანალიზიც, საიდანაც ერთობ უცნაური რამ გაირკვა: თურმე ალმასკომი საერთოდ „არ არსებობს“, რიგგარეშე ყრილობის დანიშვნა კი არის არა მისი, არამედ ფედერაციის 15-კაციანი პრეზიდიუმის პრეროგატივა. დარბაზიდან პროტესტმა არ დააყოვნა, თუ ასეა, მთელი დღე აქ რაღას გვყინავდითო. თუმცა, ნათელია, რომ ამ პროტესტის პირდაპირი ადრესატი მაინცდამაინც სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვერ იქნებოდა. მნათობიშვილი რომ ლაპარაკობდა, იმ დროს ხალხი უკვე სანახევროდ ფეხზე იდგა, ოპოზიციას თავისი იმდღევანდელი მისია უკვე ამოწურულად ჩაეთვალა და გასასვლელისკენ მიიწევდა. ერთადერთი, რაც დადგინდა, იყო ის, რომ საკითხს ფედერაციის პრეზიდიუმი განიხილავს და იქნებ იქ მაინც გადაწყდეს რამე, სადღეისოდ კი მეტ-ნაკლები ალბათობით მხოლოდ ერთი შეიძლება ითქვას, რომ წინა პერიოდებთან შედარებით ოპოზიცია გაძლიერებული მოჩანს, ხოლო პოზიცია — შესუსტებული. ამაზე თუნდაც კენჭისყრის შედეგები მეტყველებს, თუმცა, ცხადია, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა, ვინც გუშინ მარტის ვარიანტს მიემხრო, ყრილობაზეც აზმაიფარაშვილის წინააღმდეგ წავა.

ეს ყველაფერი როდია. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა დღეს პრესკონფერენციაზე გვიხმო და ალბათ მალე გაახლებთ ინფორმაციას მიმდინარე პროცესებზე.

**დავით გულუა**



ნანა ალექსანდრია



მაია ჩიბურდანიძე

[illegible] ფოტოები



ეროვნული ბიბლიოთეკა



ალეკო ბოყოჩაძემ (13) ბელარუსებს ხუთი ბურთი გაუტანა

# ქართველები მხოლოდ აჯახუნებენ

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი**

თბილისი. ასკ-ს დარბაზი

**საქართველო — ბელარუსი**

**30(15):27(14)**

**საქართველო:** ერაძე, თევზაძე; ქობელაშვილი (2), ყიფიანი (1), გვაზავა (3), მეიფარიანი, დათუკაშვილი (4), კალანდაძე (7), გელაშვილი, ბოყოჩაძე (5), ორჯონიკიძე, თურქია (8)

**ბელარუსი:** გოლმაკი; კურჩევი (8), რადკევიჩი (2), ბროვკო (2), შარნიკოვი (1), კასტიუჩიკი (2), ნეხაიჩიკი, მაქსიმოვი, უბოჟენკო (5), სინიაკი (7)

**გაფრთხილება:** გვაზავა, ბროვკო, შარნიკოვი

**მსაჯები:** ბორისოვი, მედვედევი (რუსეთი)

**EHF-ს დელეგატი:** ა. გაზარიანი (სომხეთი)

დასაწყისი პირველ გვერდზე

ჩვენი არ იყოს, ბელარუსიც მეტისმეტად გაჭირვებულია ფინანსურად და ისრაელსა და შვეიცარიასაც მხოლოდ სტუმრად ეთამაშა. ოღონდ ქართველებისგან განსხვავებით, გრიპის ეპიდემიას გადაურჩა და ებრაელებს ორჯერვე აჯობა, შვეიცარიასთან კი დაძაბულ ბრძოლებში დამარცხდა. თავიდან ჯგუფის ფავორიტადაც ის იყო მიჩნეული, მაგრამ... ჰოდა, ამ ბელარუსს საქართველომ მთელი თავით აჯობა, აჯობა თითქმის ყველა კომპონენტში. ეჰ, მიხედვა უნდა ჩვენს ხელბურთს. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, ყოველი დიდი ტურნირის თუ არა, ზოგიერთის ფინალურ ეტაპზე მაინც მოხვდება საქართველოს ნაკრები.

ახლა უფრო დაწვრილებით გუშინდელ მატჩზე. იგი არმიის სპორტული კლუბის გაყინულ დარბაზში გაიმართა ასიოდე მაყურებლის თვალწინ. დარბაზის ტემპერატურა თითქმის არ განსხვავდებოდა ქუჩის ყინვისგან. ამან პატარა გაუგებრობაც გამოიწვია. სტუმრებს ისე შესცივდათ, ზოგიერთმა ორ-ორი მაისურა ჩაიცვა და მოედანზე ისეთი ნომრებით გამოვიდნენ, განაცხადში რომ არ ეწერა. რა თქმა უნდა, მათ სახეზე ვერ ვცნობდი და მთელი პირველი ტაიმი არ ვიცოდი, მე-15 ნომერი, რომელმაც შესვენებამდე 7 გოლი გაგვიტანა, რა გვარი იყო. თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა, მაგრამ მაინც. შესვენებისას კი ყველაფრის დადგენაში ბელარუსთა გუნდის ექიმი დამეხმარა.

თამაში სტუმრებმა დაიწყეს და ანგარიშიც მათ გახსნეს. სინიაკმა (რომლის გვარიც მაშინ არ ვიცოდი) შორიდან ძლიერი ტყორცნით აჯობა გრიპმოხდილ ერაძეს. თურქიამ მალე გაათანაბრა. უნდა ითქვას, რომ ხელბურთელები სათანადოდ გახურდებოდნენ, მათ თამაშში ტექნიკური წუნი მრავლად იყო. ორივე გუნდის წევრებს ბურთი ხელიდან უვარდებოდათ და ხშირად ისეთ სიტუაციებში ვერ გაჰქონდათ გოლი, გული დაგწყდებოდათ. თუმცა ამით სულ არ მინდა მეკარეებს დავუკარგო დამსახურება — ერაძემაც და გოლმაკმაც საკმაოდ კარგად ჩაატარეს მატჩი.

შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში გაგრძელდა და 10 წუთის გასვლის შემდეგ წინ სტუმრები იყვნენ — 5:4. ისინი ფიზიკურად ქართველებზე უკეთ გამოიყურებოდნენ, რაშიც, კიდევ ერთხელ ვიტყვი, ნამდვილად გრიპია დამნაშავე. თუმცა ჩვენები ნელ-ნელა გონს მოეგნენ და ტექნიკის ხარჯზე დაჯაბნეს მეტოქე. ქართველები ძირითადად ცენტრიდან უტევდნენ და დათუკაშვილის, კალანდაძისა და თურქიას ძლიერი ტყორცნების შემდეგ ბურთი ხშირად ეხვეოდა გოლმაკის კარის ბადეში. ნამდვილად საქებარი სიტყვების ღირსია ჩვენი ნაკრების ხაზის ახალგაზრდა მოთამაშე გვაზავა, რომელმაც მთელი მატჩი ჩინებულად ჩაატარა და რამდენჯერმე ოსტატურად დაუსხლტა



ზაზა დოლიძე: ეს ერთი მაინც მოვიგოთ...

მეტოქის მცველებს. მისთვის ცოტა იღბალსაც რომ გაეღიმა, გაცილებით მეტ გოლს შეაგდებდა. საინტერესოა, რომ პირველ ტაიმში არც ერთ ჩვენი ფრთის მოთამაშეს გოლი არ გაუტანია, რაც იმას ადასტურებს, რომ ფრთებიდან შეტევას ქართველები ერიდებოდნენ. ისე, მეორე ტაიმშიც იგივე ტაქტიკით მოქმედებდნენ ზაზა დოლიძის შეგირდები და თუ ბოყოჩაძეს ჯამში 5 გოლი მოუგროვდა, უმრავლესობა მან ხაზზე გადასვლის შემდეგ გაიტანა.

პირველი ტაიმის მე-20 წუთზე საქართველო 11:10 იგებდა და აქედან მოყოლებული აღარც მიუცია მოწინააღმდეგისთვის წინ გასვლის შესაძლებლობა. ტაიმი მინიმალური უპირატესობით მოვიგეთ. განახლდა თუ არა მატჩი, გვაზავამ, ყიფიანმა და ბოყოჩაძემ სამი გოლი შეაგდეს და მატჩის ბედიც ფაქტობრივად მაშინ გადაწყდა. ბელარუსთაგან პირველ ტაიმში საუკეთესო სინიაკს მჭიდრო მეურვეობა დაუწესეს და მანაც ვეღარაფრით გამოიჩინა თავი. სამაგიეროდ, კურჩევმა აიწყვიტა და 5 გოლი გაგვიტანა. უნდა ითქვას, რომ ქართველები დაცვაში საკმაოდ კარგად ირჯებოდნენ და რომ არა თამაშის მიწურულს დაღლილობის გამო მოდუნება, ანგარიშში სხვაობა გაცილებით მეტი იქნებოდა. საფინალო სირენამდე (რომელიც ტექნიკური მიზეზების გამო არ გაისმა) ხუთიოდ წუთით ადრე საქართველო 29:24 იგებდა. შემდეგ ბელარუსებმა ზედიზედ სამი გოლი გაიტანეს. წერტილი კი მატჩს ბოყოჩაძემ დაუსვა — 30:27.

შესარჩევი ტურნირის ბოლო შეხვედრას ჩვენები ხვალ, ასკ-ს გაყინულ დარბაზში, 17 საათზე ჩაატარებენ. ჯგუფიდან პლეი ოფის საგზური შვეიცარიამ მოიპოვა, რომელმაც ისრაელს 25:21 მოუგო.

**გაიოზ თალაკვაძე**

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი**

III ჯგუფი. მეხუთე ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 5 | 5 | 0 | 0 | 124:107 | 10 |
| ისრაელი | 5 | 2 | 0 | 3 | 119:112 | 4 |
| ბელარუსი | 5 | 2 | 0 | 3 | 125:127 | 4 |
| საქართველო | 5 | 1 | 0 | 4 | 105:127 | 2 |

# ტაისონმა ამერიკას წაართვა

## ეგ თქვენი ამერიკული ცხოვრება ვირთხების დოღია, თქვა რკინის მაიკმა, რომელმაც იცის: ფული ბითურობის წამალი არ არის

შუა ლონდონის სასტუმროში გამართულ მეტად არეულ-დარეულ პრესკონფერენციაზე მაიკ ტაისონმა განაცხადა, რეფერი როი ფრენსისს სულ ტყუილად ჰგონია, რომ ჭუჭყიანი ტაქტიკის მიმდევარი ვარო.

მაიკმა ეს იმიტომ თქვა, რომ მისი და ჯულიუს ფრენსისის შეხვედრის რეფერედ დანიშნულმა 64 წლის როი ფრენსისმა განაცხადა, ტაისონს ჭუჭყიანი ილეთების გამოყენების საშუალებას არ მივცემო.

„უნამუსობას არ ვაპირებ. განგებ არაფერი ჩამიდენია რინგზე. მე პატივს ვცემ რეფერის და მხოლოდ კარგ სანახაობაზე ვფიქრობ", თქვა მაიკმა.

თავის მოწინააღმდეგეზე კი ტაისონი არცთუ მაღალი აზრის ყოფილა!

„რაღაც ძალიან ბევრს ლაპარაკობს. ციხეში ვიჯექიო, ასეო, ისეო. ერთი ვნახოთ, რა ბიჭია, როგორი ძველი ბიჭია".

მაიკი ამერიკული ცხოვრების წესსაც გადაწვდა და აღნიშნა, იქ ყველაფერს კადრულობენ ფულის გულისთვისო. თუმცა, ვერ ხვდებიან, რომ კაცი რა ბითურიც არის ფულის შოვნამდე, მერეც იმ ბითურად რჩებაო. საერთოდ, ამერიკული ცხოვრება ვირთხების დოღს შეადარა.

ჟურნალისტებმა ლენოქს ლუისთან შესაძლო შეხვედრაზეც ჩამოუგდეს სიტყვა.

დღეს ყველამ იცის, რომ ლენოქსი და მაიკი ერთადერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს და ისიც სპარინგის ამბავში. მაშინ თხუთმეტი წლისანი იყვნენ და მათი გაჯიბრება მწვრთნელთა სურვილი იყო. მაიკმა ნოკაუტით დასცა ლენოქსი.

„მაგარი მოკრივეა", თქვა ტაისონმა, „მომინდება ხოლმე მასთან ჩხუბი. ამდენი წელია მივიწევთ ერთმანეთისკენ და არ შეგვახვედრეს. მაგარი ბიჭია, ნაღდი ჯიბიდან მსროლელი. ეს სადავო არ არის".

აქვე ტაისონის გონებასა და ვალებზეც ვთქვათ. მანჩესტერის რინგზე რომ იბრძოლებს, მაიკი და ამ საქმისთვის შეპირებულ 7,5 მილიონ დოლარს მიიღებს, ეს ფული ჯერ საგადასახადო ამბავს გაივლის და მერე ამერიკული ტელეკომპანია „შოუტაიმის" ხელში გადავა. „შოუტაიმი" სწორედ ის კორ-



ლენოქს ლ[illegible]ისი ჯიბიდან ისვრის, ამტკიცებს მაიკ ტაისონი

პორაციაა, „პირველ სროკიდან" გამოსული მაიკი ვალების ხაროდან რომ ამოათრია.

ასე რომ, ტაისონი „შოუტაიმის" მოვალეა. ამ მანჩესტერული ჩხუბის ფულს რომ გადაურიცხავს ტელეკორპორაციას, გასასტუმრებელი 8,5 მილიონი დარჩება. იმ „პირველი სროკიდან" გამოსულმა ტაისონმა აღმოაჩინა, რომ საგადასახადო სამსახურების ვალი 100 მილიონი დოლარი აქვს. მან ორი დიდი მამული გაყიდა და 40 მილიონი გადაიხადა. შემდეგ, ბრუნოსთან და ჰოლიფილდთან ჩატარებულ ბრძოლებში ტაისონმა 50 მილიონი იშოვნა და პირწმინდად გადაიხადა. დარჩენილ 10 მილიონს ტაისონმა სამიც დაამატა, რახან მანქანები და ვერსაჩის სამოსი იყიდა. ეს 13 მილიონი „შოუტაიმმა" დაფარა. ასე რომ, ტაისონი ჯერაც ვალებს ისტუმრებს.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



*კოლუმბიაში დღე არ გავა, რაიმე დიდი დანაშაული არ მოხდეს. [illegible] ყაჩაღთა სამიზნე ხშირად ს[illegible]ნებიც ხდებიან. გაიხსენეთ თუნდაც 1994 წელს ფეხბურთელ ანდრეს ესკობარის მკვლელობა, აქაოდა, საკუთარ კარში გოლი რატომ გაიტანაო.*

# კოლუმბიაში ახალი არაფერია ისევ იტაცებენ

ველომრბოლ ოლივეირო რინკონს თავისი ქვეყნის ნაკრები არ უზარალებია, მაგრამ, ეტყობა გაიგეს, ბევრი ფული აქვსო და 20 იანვარს სამმა შეიარაღებულმა უცნობმა გაიტაცა. 32 წლის სპორტსმენი, ვინც რამდენიმე წელია ტურნირებში აღარ გამოდის, „ტურ დე ფრანსზე" საკმაოდ კარგად ასპარეზობდა. მასთან ერთად ბოროტმოქმედებმა მისი რძალიც გააყოლეს ხელს, მაგრამ მალევე გამოუშვეს.

„ჯერჯერობით გამტაცებლებს არანაირი მოთხოვნები არ წამოუყენებიათ, მაგრამ ეჭვგარეშეა, მათ ეს საქმე გამოსასყიდის მიღების მიზნით გააკეთეს" — განაცხადა ბოიაკას შტატის პოლიციის უფროსმა. თუ რამდენად შეაფასებენ ყაჩაღები რინკონის თავისუფლებას, ალბათ, უახლოეს მომავალში გაირკვევა.

**გაგი გურული**



# მე ღმერთს შევავედრებ...



ოტაველთა მეკარე რონ ტაგნატმა ფილადელფიელ ჯონ ლეკლერს ცოცხალი თავით არ გაატანინა

20 იანვარი

**კაროლინა — რეინჯერსი 1:4**

0:2 0:0 1:2

0:1 დვორჟაკი 7'30 (8); 0:2 იორკი 9'01 (13); 0:3 მაკლინი 42'11 (11); 1:3 ფრენსისი 55'55 (12); 1:4 მაკლინი 59'58 (12)

**ფილადელფია — ოტავა 1:1**

0:0 1:1 0:0 0:0

0:1 მაკიჩერნი 33'59 (19); 1:1 ზელეპუკინი 34'33 (7)

**ტამპა — ბოსტონი 2:4**

1:2 0:0 1:2

0:1 მაკსორლი 10'11 (1); 1:1 შვეიკოვსკი 12'59 (2); 1:2 ტორნტონი 17'17 (12); 1:3 სავაჟი 48'32 (2); 2:3 შვეიკოვსკი 58'30 (3); 2:4 დიმაიო 58'51 (4)

**ფინიქსი — ბუფალო 2:1**

1:0 1:0 0:1

1:0 ტკაჩუკი 15'06 (20); 2:0 დრეიკი 34'26 (8); 2:1 ტეილორი 50'55 (1)

**ლოს ანჯელესი — დალასი 2:5**

0:0 0:2 2:3

0:1 სიდორი 23'18 (6); 0:2 ჰალი 33'55 (16); 0:3 სლოუნი 43'17 (4); 1:3 გელი 43'40 (5); 2:3 ტუომაინენი 17'36 (7); 2:4 მოდანო 54'49 (17); 2:5 მოროუ 58'49 (5)

რეინჯერსის მილიონერმა ჰოკეისტებმაც ნელ-ნელა დაიწყეს იმ უდიდესი თანხის ანაზღაურება, რომელიც კლუბის ხელმძღვანელობამ ზაფხულში გაიღო შემადგენლობის გასაძლიერებლად. მართალია, ჯერ ვერ ვიტყვით, რომ რეინჯერსი საბოლოოდ გამოკეთდა, მაგრამ ზედიზედ ოთხი მოგება და, რაც მთავარია, გუნდის დამაჯერებელი თამაში ბევრს ნიშნავს. კაროლინასთან ზედიზედ მეორე მატჩში ნიუიორკელებმა ტერიტორიული უპირატესობა მეტოქეს დაუთმეს, სწრაფ კონტრშეტევაზე ააგეს თამაში და ამ ტაქტიკამ გაუმართლათ. ისევე როგორც წინა მატჩებში, მოგებას საფუძველი „ჩეხურმა ხაზმა" ჩაუყარა. გუნდის ახალბედამ რადეკ დვორჟაკმა პირადი ანგარიში გახსნა ახალ კლუბში, ხოლო ვეტერანმა დუგ მაკლინმა ორი გოლით (ორივეჯერ ვალერი კამენსკის პასებით) თავისი ნჰლ-ური მარაგი 400-მდე გაზარდა. აღსანიშნავია, რომ რეიჯერსს ზედიზედ ოთხი მატჩი 1998 წლის ნოემბრის შემდეგ არ მოუგია.

„ისლა დამრჩენია, ეკლესიაში წავიდე და სანთლები დავანთო" — თქვა ტამპას საბრალო თაკაცმა სტივ ლადზიკმა, რომელიც მართლაც არასახარბიელო მდგომარეობაშია. „ელვების" ხელმძღვანელობამ თითქოს ყველაფერი გააკეთა, რათა გუნდური პროგრესისთვის მიეღწია. ტამპა პლეი ოფში გასვლის შანსებსაც დიდხანს ინარჩუნებდა, მაგრამ დეკემბერ-იანვარი მათთვის ერთობ მძიმე გამოდგა (ბოლო 14 თამაშში 1 მოგება). ამჯერად ტამპას ვერც ახლახან შეძენილი იაროსლავ შვეიკოვსკის (2+0) იღბლიანმა დებიუტმა უშველა. საინტერესოა, რომ 23 წლის სლოვაკი, რომელსაც, ზოგიერთის აზრით, დიდი პოტენციალი აქვს, ოთხი სეზონის განმავლობაში ვერა და ვერ დამკვიდრდა ვაშინგტონში და დედაქალაქელებმა საბოლოოდ მისი გაყიდვა ამჯობინეს. ტამპას ბოლო ორ მატჩია ძირითადი მეკარე დენ კლუტიე აკლია, რომელმაც წინა კვირას აილენდერსთან შეხვედრაში ჩხუბი ატეხა და 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

რაოდენ სუსტ ფორმაშიც არ უნდა იყოს დალასი და რამდენი ლიდერიც არ უნდა აკლდეს, ლოს ანჯელესი მისთვის მაინც იოლი დასამარცხებელია. „მეფეთა" ძლევის შემდეგ „ვარსკვლავებმა" მათთან წაუგებელი სერია კლუბისთვის სარეკორდო — 21 მატჩამდე გაზარდეს. მიუხედავად თანაბარი ბრძოლისა, შაიბები მეტწილად მასპინძელთა კარში გადიოდა, დალასელთა შორის საუკეთესო კი ის, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტული სამეული იყო, რომელშიც გამოჯანმრთელებულ მაიკ მოდანოსთან (1+2) ერთად ახალბედა ბრენდან მოროუ (1+1) და ასევე ახალგაზრდა ბარი სლოუნი (1+2) ასპარეზობდა.

ოტავასა და ფილადელფიას 65-წუთიან ორთაბრძოლაში ორი შაიბა 34-წამში გავიდა. ოტაველებმა შონ მაკიჩერნის გოლით გამოწვეული სიხარულიც ვერ იგრძნეს, რომ ვალერი ზელეპუკინის მოულოდნელი დარტყმის შემდეგ, გაოგნებულ რონ ტაგნატს შაიბა გამოჰქონდა კარიდან.

როგორც იქნა, ფინიქსს ორი ძირითადი მეკარიდან ერთი, შონ ბურკი დაუბრუნდა (მანამდე სამ თამაშში კარს გამოუცდელი რობერტ აშე იცავდა). სწორედ ბურკის დამსახურებაა, რომ „კოიოტებმა", ნეშვილთან შეხვედრისგან განსხვავებით, მოპოვებული უპირატესობა მესამე პერიოდშიც შეინარჩუნეს და კვლავ წყნარი ოკეანის დივიზიის სათავეში დარჩნენ.

**სამველ ლარიბიანი**

# იდიოტიზმი!

## ჟურნალისტზე გამქაჩველმა მწვრთნელმა ჯერ საკუთარ მოთამაშეებს მიხედოს

მოთამაშეთა დისკვალიფიკაციები წლეულს ერთობ გახშირდა. მწვრთნელის დასჯა კი განსაკუთრებული რამაა და ლიგამ ეს რომ გადაწყვიტოს, თავკაცმა რაღაც არაჩვეულებრივი დანაშაული უნდა ჩაიდინოს. სწორედ ასეთი რამ მოხდა წინა კვირას კოლორადოსა და პიტსბურგის შეხვედრაში. ერთ-ერთ პერიოდში კოლორადოელი ალექსეი გუსაროვი პიტსბურგის „პოლიციელ" მეტიუ ბარნაბის ეუხეშა, რაც ორმატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა, მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა. თამაშის ერთ-ერთ ტელეარხზე ტრანსლაციისას კომენტატორმა ჯონ კელიმ ბარნაბის სიმულანტი უწოდა, რითაც პიტსბურგის მწვრთნელ ჰერბ ბრუქსის რისხვა გამოიწვია.

თამაშის დამთავრებისთანავე ბრუქსი ჟურნალისტის საძებრად გაეშურა, ნახა იგი და საქმეში წესრიგის დამცველნი რომ არ ჩარეულიყვნენ, გვარიანადაც მიბეგავდა. ცხადია, ლიგამ ეს უყურადღებოდ არ დატოვა და ბრუქსს ასევე ორი მატჩით აუკრძალა თავკაცობა. ამასობაში პიტსბურგის ზოგიერთმა ჰოკეისტმა უკმაყოფილებაც გამოთქვა ახალი მწვრთნელის მუშაობის მეთოდებზე. მაგალითად, გერმან ტიტოვმა ბრუქსის ვარჯიშებს იდიოტური უწოდა და დასძინა, რომ ასეთი დონის მოთამაშეებისთვის პრიმიტიული სავარჯიშოების მიცემა სრული არაკომპეტენტურობაა. გარდა ამისა, ტიტოვმა განაცხადა, რომ მწვრთნელი შეგნებულად გვავიწროებს მისთვის არასასურველ ჰოკეისტებს.

## ბელგია

XX ტური

ბეერსხოტი 5:3 ბრიუგე

## თურქეთი

XVII ტური

დენიზლი 1:1 ფენერბაჰჩე

## იტალია

სერია B. XX ტური

პესკარა 4:0 ჩეზენა

## ინგლისი

I დივიზიონი XXVIII ტური

სუინდონი 2:4 კრისტალ პალასი

## საფრანგეთი

თასი. I ეტაპი

ამიენი 1:0 ოსერი

ლორიანი 2:1 მონპელიე

რენი 2:0 შატორუ

გენიონი 1:0 კრეტეი

## ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| ზაგრები | რიეკა |
| ესპანეთი 27:22 ხორვატია | რუსეთი 27:26 დანია |
| გერმანია 24:24 უკრაინა | შვედეთი 31:23 ისლანდია |
| საფრანგეთი 24:21 ნორვეგია | პორტუგალია 28:27 სლოვენია |



REUTERS ზაგრებიდან

გერმანია — უკრაინა. უკრაინელმა ოლეგ ველიკიმ (№9) გერმანელ მიკ ბექდიჩეკს ტყორცნა არ დაანება



## სამახსოვრო

წინა პარასკევს 81 წლისა გარდაიცვალა ასოშეიტედ პრესის ლეგენდარული ფოტოგრაფი ჰენრი ბაროუზი. ამ ღვაწლმოსილ კაცს უმუშავია ამერიკის პრეზიდენტების ტრუმენის, კენედისა და ჯონსონის ფოტოგრაფად. მის მიერ 1964 წლის 13 აპრილს გადაღებულ ფოტოზე ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ხსნის თავის ნატყორცნით პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი ბეისბოლის ამერიკული ლიგის მორიგ სეზონს.

## ჰაშეკის ყელი

არა და არ უშუშდება ყელის ტრავმა ნჰლ-ს გუნდ „ბუფალო სეიბრზის" ჩეხ მეკარეს დომინიკ ჰაშეკს. აი, ახლაც პირველად უვარჯიშია სრული დატვირთვით და მწვრთნელი ჯოზეფ ბრუკი ყელს უსინჯავს. ჰაშეკი იმედოვნებს, რომ თებერვალში მაინც გავა ყინულზე და ეგებ ტორონტოში დაგეგმილ „ოლ სტარზის" შეხვედრაშიც ითამაშოს.





## კორტინაში

იტალიურ კორტინაში, თხილამურობის მსოფლიოს თასის მონაწილენი გაცხარებით ემზადებიან, ვარჯიში ხომ წარმატების საფუძველია. კანადელი მელანი ტარჯონი კმაყოფილია, ვარჯიშობისას საუკეთესო დრო უჩვენებია.

## ბელადი

ამერიკული ბურთაობის დიდების დარბაზმა თავისებური ცოცხალი გამოფენა მოაწყო. მან დარბაზში მიიწვია ეროვნული საფეხბურთო ლიგის ოცდათერთმეტივე კლუბის თითო სუპერგულშემატკივარი და მათ სამახსოვრო დაფები გადასცა. ეს ფანი უდავოდ ყველაზე კოლორიტული იყო. „ვაშინგტონ რედსქინზის" ძირძველი გიჟი, ზემა „ჩიფზი" უილიამსი „რედსქინზის" სადიდებელ სიმღერებს ამბობდა. წითელკანიანთა ბელადად შერაცხული ეს კაცი, ნაღდად უდრის ბარე ოცი ათას საშუალო გულშემატკივარს.





## სპორტთან კავშირი

ლოს ანჯელესში, რალაც მუსიკალურ ყეენობაზე ერთმანეთს ნაყრიან ამერიკელი მსახიობი კარმენ ელექტრა და ესპანელი მომღერალი ხულიო იგლესიას უმცროსი. ამ ამბავს სპორტთან ის კავშირი აქვს, რომ ელექტრა ნაგიჟარი კალათბურთელი დენის როდმანის ყოფილი ცოლია, ხულიო უმცროსი კი მომღერალ ხულიო უფროსის შვილი, იმ ხულიოსი, რომელიც ოდესლაც მადრიდის „რეალის" მეკარე გახლდათ.

## დიეგისა და კოკაინისა



ჰავანის „ლა პრადერას" სანატორიუმის ბაღში ერთი იქ დამკვიდრებული ოჯახი სეირნობს. აბა, ვინ არ იცის ამ ოჯახის ამბავი. ქმრის ახირებებით ტანჯული კლაუდია ვილაფანე აუზისკენ მიუძღვის, აჰ, რამხელა ღიპიან მეუღლეს, რომელსაც ერთი შეხედვით სულაც არ ეტყობა, რომ კოკაინით ტანჯული 40 წლის ჰიპერტონიკია. უკან კი მოდის ჭაღარა ძია, რომელსაც ასევე დიეგო ჰქვია და ასევე მარადონაა, შინაურები კი ჩიტოროს ეძახიან. მოკლედ, მარადონათა გადაქანცული ოჯახი კუბაზეა. ექიმები ამბობენ, რომ შვილ-დიეგოს მდგომარეობა სტაბილურია.

აქედან არცთუ ახლოს კი, ბუენოს აირესში, კასა როსადას საპრეზიდენტო სასახლეში ქვეყნის ახალი პრეზიდენტი ფერანდო დე ლა რუა მარადონიანთ ქალიშვილებს დალმასა და იანას გადიობს. აქაოდა, მშობლები შინ არ არიან და გოგონებმა არ მოიწყინონო. ქვეყნის წინა პრეზიდენტი კარლოს მენემი დიეგოს პირის ზიარებაა, ჩანს, ამჟამინდელსაც არ სურს რომ ქვეყნის უპოპულარულესი კაცი მოშორებით იყოს.




**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli